

716 /4  
1986

  
Hors commerce

WZRWL0060

XXI

PARIS - 1986



# საქართველო

XXI

1783 - 1983

PARIS - 1986

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

# ბურთიასკის ტრაქტატი 200




ერეკლ მეორე.



ბარსევან ჭავჭავაძე.

**1783 - 1983**



თელავი. ერეკლე II ის სასახლე



Mariam de Géorgie (épouse de Georges II)  
+ en exil en Russie (1851)

დედა უფალი  
 ხარ დედოფალი,  
 წმინდანის ხმალით ქრისტეს ჯვარიდან  
 ცრემლების სხივთა გამონამკრთალი,  
 საქმე მართალი,  
 მეფეთ გვარიდან.  
 მძიმე უღელი,  
 ბრძოლით უხველი,  
 ნაწი მუხლებით ზიღე ბოლომდე,  
 სანამ ბოროტი  
 წმინდა საწოლთან  
 ხანჯლით გასწორდა დაუნდობელი,  
 იყო რომელი. . . .  
 თუ არა იგი,  
 მეფეთა რიგი ვინც უეიწირა, —  
 მოგესმა წირვა ზეცითურ მხვედრის  
 ერეკლეს ხმები  
 როგორც ვეფხები

მიწის უხეხვით მთებს გადმოეშვა  
 თაყარის ეშხმა გაკრცა უშულზე  
 და მთვარის უშუქო  
 კრწანისის მიწაჲ  
 კვლავ დაიფიცა ბაზრათიმწე.  
 უმომგსავია შავი ლანდები,  
 მძიმე ბრალდებით  
 ბისინჯავს კუნთებს  
 ნაქალაღები,  
 დგას ლაზარევი  
 და გზა ნარევი, სისხლი სდის გულზე.  
 დედა უფალი  
 ხარ დედოფალი!  
 წმინდანის ხმალით ქრისტეს ჯვარიდან  
 ცრემლების სხივთა გამონამკრთალი,  
 საქმე მართალი მეფეთ გვარიდან!

ბ. ჟ.



რ უ ს ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

1783 - წლის

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა .

ამ ხელშეკრულებაზე ბევრი რამ დაწერილა, როგორც ქართულ ისე ევროპულ ენებზე და მისი იურიდიული მხარე ღირსეულად შეფასებული. ამ მხრივ ახალი ბევრი არაფრის თქმა შეიძლება. დასკვნა შეიძლება თავშივე გავიმეოროთ: ხელშეკრულება დადებულია ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის. ის არის მფარველობითი, სამეგობრო და საკავშირო. რომ მფარველობა არ ნიშნავს ვასალურ დამოკიდებულებას და რუსეთის მფარველობაში შესული საქართველო არ ჰკარგავს თავის იურიდიულ პიროვნებას, ოღონდ ნაწილობრივ შეკვეცილია მისი უფლებები საგარეო პოლიტიკის წარმოებაში, სხვა მხრივ ის რჩება როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო.

ხელშეკრულების ტექსტის გადაკეთება არავის შეუძლია, ხოლო სხვა და სხვაგვარი ინტერპრეტაცია კი შეიძლება და აქაც მის იურიდიულ მხარეს, კრიტიკა ვერ შესცვლის. ეს შეიძლება შეეხოს პოლიტიკურ მხარეს.

ჩვენი მიზანია საკითხი განვიხილოთ მიუდგომლად. განხილვის საგანია შემდეგი საკითხები:

1. ხელშეკრულების წარმოშობის მიზეზები ორივე მხრისათვის .
2. ხელშეკრულების იურიდიული ანალიზი.
3. მიახწია თუ არა ხელშეკრულებამ თავის მიზანს?
4. ხელშეკრულების პოლიტიკური შედეგები.

1

ისტორიულ სინამდვილისადმი პირველი შეუსაბამოა გამოიხატა ინაში თითქოს ხელშეკრულების ინიციატივა მოდიოდა საქართველოდან. ეს არის რუსების დებულება და სამწუხაროდ ამას იმეორებს ზოგი უცხო მეცნიერი საქმეში ჩაუხედავი ქართველიც, რაკი გარეგნულად ეს ასე ზოხდა. არსებითი მხარე კი სულ სხვა იყო.

2

პარიზის უნივერსიტეტის პროფესორმა ლე ფიურმა, რომელმაც სხვა მხრივ ღირსეულად შეაფასა ხელშეკრულება, გაიმეორა რუსების დებულება. ის სწერს: „მე 18 საუკუნის ბოლოს საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით კრიტიკული შეიქმნა- სამხრეთის

მეზობელთა შემოტევებმა ისე დაასუსტეს, რომ იძულებული გახდა დახმარება ეძებნა ძლიერ ჩრთილოვითის მეზობელთან, რუსეთთან“

ეს დებულება სინამდვილეს არ გამოხატავს. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს (როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთის) მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო ვიდრე მეჩვიდმეტე საუკუნეში. აღმოსავლეთ საქართველოს ცოტა კრიტიკული მდგომარეობა ნადირ შახის დროს და ეს იყო მე 18 საუკუნის პირველ ნახევარში, რაც თეიმურაზ მეორემ და ირაკლიმ შესანიშნავად მოაგვარეს ქართლ - კახეთის თავისუფლება და აღორძინება დაზღვეულიყო.

საქართველოს აღორძინება და გაძლიერება უფრო ადრე იყო დაწყებული ქართლის სამეფოში, რომელსაც მეთაურობდა დიდი კულტუროსანი მეფე ვახტანგ მეექვსე და რომლის ძლიერება შეწყდა სწორედ პეტრე დიდთან სამხედრო კავშირის შედეგად. და ეს იყო პირველი სასტიკი მარცხი საქართველოსი რუსეთთან კავშირში.

მე 18 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა სწორედ საწინააღმდეგო იმისა, რასაც რუსები სწერენ. ამ დროს მეფე ერეკლემ გააერთიანა ქართლისა და კახეთის სამეფოები და ნადირის შემდეგ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. საქართველო ნელ - ნელა ძლიერდება. ამას ადასტურებს ეკატერინე მეორის წერილი, სადაც ერეკლეს დიდ ხოტბას ასხამს და ერეკლემაც ხომ დაამტკიცა ეს ძალა სამოცდაათიანი წლების რუსეთ - ოსმალეთის ომის დროს, რო. დესაც მთელი სამხედრო ფრონტი მიუნგრია თურქებს! მოხდა კიდევ მეტიც: გაერთიანებული ქართლ - კახეთის სამეფოს ამ დროს ემორჩილებოდნენ მთელი რიგი კავკასიის სახანოებისა და სპარსეთის ერენის სახანოც ერეკლეს ხარკს უხდიდა. ერეკლე სპარსეთის აზერბეიჯანის დიდ ნაწილზეც, თავრიზამდე თავის გავლენას ავრცელებდა. ამ დროს მეფე ერეკლე ისე ძლიერი იყო, რომ სპარსეთის კრიზისის დროს, მთელს ევროპაში მოელოდნენ, რომ ირაკლი დაიკავებდა სპარსეთის ტახტს. ამაზე ბევრს სწერდენ მაშინ ფრანგულ პრესაში, ნაკრამ ირაკლიმ ეს ავანტურა უარჰყი.



ასე **მ. მ. მ.** საქართველოს უკიდურესი გაჭირვებისა და მეთვრამეტე საუკუნეში კი არ უდგა, არამედ მეჩვიდმეტეში. გაიხსენეთ შახ აბაზის ოთხი შემსევა საქართველოში, მარაბდის სასტიკი დამარცხება, კახეთის მოსახლეობის გადასახლება და სხვა, და ბოლოს თეიმურაზ პირველი თავის ფეხით ეწვია რუსეთის მეფეს და მის ამ მძიმე წუთებში მისგან ვერავითარი დახმარება მიიღო. სიტყვით კი რუსები მუდამ ტრაბახობდნენ, რომ ისინი იყვნენ საქართველოს მფარველები.

პეტრე დიდი თავის ტიტულატურაში იხსენიება როგორც „მფარველი იმერთა მიწებისა“ რუსოფალები რუსეთის მაშინდელ მდგომარეობას იმით ამართლებენ რომ მაშინ ისინი თვითონ იყვნენ გასაჭირში. ეს არის სწორი. რუსეთი მაშინაც საკმაოდ ძლიერი იყო რომ საქართველოს დახმარებოდა სპარსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება რომ რუსებს დახმარება კი არა უფრო საქართველოს დასუსტება აინტერესებდათ რომ მერე ას ადვილად ჩაეგდოთ ხელში. ეს არის სინამდვილე. ვისაც ყური სძენად აქვთ, ისმინონ!

აღნიშნული „მზრუნველობა“ და „მფარველობა“ რუსებმა მხოლოდ მაშინ გადასწყვიტეს, როდესაც კავკასიის დაპყრობის პოლიტიკა აქტუალური გახდა. ხოლო კავკასიის ძირითადი პოლიტიკური ბირთვი ირაკლის სამეფო იყო და მისი რაიმე ფორმით შემომტყიცება იქნებოდა ბაზა კავკასიის საბოლოო დაპყრობისა. მე 18 საუკუნის მეორე ნახევარში ეს საკითხი მომწიფებული იყო. ამან ირად რუსები თვითონ ეძიებდნენ რომ მეფე ერეკლე შესულიყო რუსეთის მფარველობაში. და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის რომ ირაკლის თვითონ ეთხოვა მფარველობაში შესვლა, ამისთვის ისინი დიდ პროპაგანდას სწევდნენ. ეს მათ აქამდე აინტერესებდათ რომ თვითონ ხელშეკრულების შინაარსიდან და მტკიცდა, რადგან ერთის შეხედვით ყველაზე მეტ შეღავათებს ითვალისწინებს საქართველოსთვის.

მაგალითად: გენ. პატიომკინმა 1782 წელს საქართველოში გამოგზავნა წარმომადგენელი, ექიმი **რეინექსი** სპეციალური დავალებით: ემოქმედა ირაკლისა და სოლომო-ნზე, რომ შესულიყვნენ რუსეთის მფარველობაში და ამ მიზანს მიაღწიეს კიდევ. მეფე ერეკლეს ეს თვითონ ათხოვინეს. ამას ხელი შეუწყო ამ დროს სპარსეთში შექმნილმა მდგომარეობამაც, სპარსეთში ალა მაჰმად ხანის გამეფებამ. რუსებმა ეს ყველაფერი კარგად იანგარიშეს. ირაკლი კი ალა მაჰმად ხანისაგან კარგს არაფერს მოელოდა. ის უთუოდ მოინდომებდა საქართველოს ვასალობის აღდგენას და სხ.

ირაკლიმ იცოდა რუსეთის ფასი და არც ისე ადვილად გადასწყვიტა ეს საკითხი. შექმნილ პირობებში მან მთელი

ორი ცდებისა აწარმოა, დასავლეთის სახელმწიფოებისაგან მიელო დახმარება, დაწყებული ავსტრიიდან, ვენეციის რესპუბლიკით გათავებული და როდესაც ამ ცდებიდან არაფერი გამოვიდა, მხოლოდ მაშინ გადასწყდა მიელო რუსეთის წინადადება.

შეიძლება ის რუსეთისაგანაც არ მოელოდა დიდ სიკეთეს, მაგრამ ერთი რამ შეიძლება სწამდა, რომ თუ ის რუსეთის მფარველობას მიიღებდა სათანადო საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებით, სპარსეთი აგრესიას ვეღარ გაბედავდა. მაგრამ ეს რწმენა ირაკლის არ გაუმართლდა. მაგრამ ასეთი რწმენა ყველას შეიძლება ჰქონებოდა. ასეთ პირობებში მოხდა რუსეთ - საქართველოს შორის 1783 წლის ხელშეკრულების დადება. (დაწერილებით იხ. ჩვენი წიგნი: „რუსეთი და საქართველო“ პარიზი 1951წ.)

— 2 —

1782 წლის ბოლოში ირაკლიმ ეკატერინეს თავისი პირობები წარუდგინა, რომელსაც საფუძვლად უნდა დასდებოდა მომავალ ხელშეკრულებას.

29 დეკემბერს 1782 წელს ეკატერინემ გენ. პატიომკინს ნება დართო ირაკლისთან ხელშეკრულება დაედო. სამაჰრილს 1783 წელს პატიომკინმა ირაკლის ხელშეკრულების პროექტი გამოუგზავნა და თან გამოაყოლა თავისი ახალი წარმომადგენელი **ბერნაშევი**, რეინექსის შესაცვლელად.

ხელშეკრულების დასადებად პატიომკინმა, დანიშნა თავისი ბიძაშვილი გენ. პატიომკინი, ხოლო ირაკლიმ გენ. ივანე ბაგრატიონი და გენ. გარსევან ჭავჭავაძე.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ქ. გეორგიევსკში 24 ივლისს 1783 წელს, ხოლო ოც აგვისტოს იმავე წლისა მოხდა მისი რატიფიკაცია. ზოგიერთი ფორმალბის შესრულების შემდეგ ირაკლი და დარეჯანი იღებენ საჩუქრებს. ხოლო გენ. პატიომკინი ამ „სასახლო მონაპოვარისათვის, რომლისაგანაც სარგებელი აუცილებლად მოსალოდნელია“ (დებროვინი. ტ. 2 გვ. 11.), დაჯილდოებული იქმნა 6000 მანეთითა და ძვირფასი სათუთუნით! ...

3 ნოემბერს, თანაგრძობ ხელშეკრულებისა თბილისში ჩამოვიდა ორი ბატალიონი რუსის ჯარი. მის უფროსად დანიშნა ბურნაშევი, რომელიც შევიდა ირაკლის მორჩილებაში.

მოვიყვანოთ ხელშეკრულების მოკლე შინაარსი მცირე ანალიზით. ხელშეკრულების შესავალი ასე იწყება: „უძველესი დროიდანვე რუსეთის იმპერია, მატარებელი იმავე სარწმუნოებისა, როგორც საქართველოს ხალხები, აძლევდა თავშესაფარსა და დახმარებას უწევდა აღნიშნულ და მათ მეფეებს, მათი მეზობლების მიერ შევიწროების წინააღმდეგ“ ...

აქვე აღნიშნულია რომ გარეშე მტრისაგან შევიწროებულმა ქართლისა და კახეთის მეფე ირაკლიმ თვითონ მიმართა რუსეთს, რათა ის და მისი ქვეყანა მიიღოს თავის იმპერიის მფარველობაში. რომ რუსეთის იმპერატორცამ ეს თხოვნა დააკმაყოფილა, ინება დაედო მასთან სამეგობრო ხელშეკრულება და შეესრულებინა ქართველი მეფის თხოვნა, რათა ორივე მხარეს დაენიშნათ მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლები, რომელთაც ხელი მოაწერეს ქვემოთ ხელშეკრულებას:

1. პირველ მუხლში მეფე ირაკლი თავისი და მისი მემკვიდრეების სახელით უარპყოფს ვასალურ და სხვაგვარ დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოებთან და აღიარებს უმაღლეს ხელისუფლებას და მფარველობას რუსეთის იმპერიისა, თავის მხრივ აღუთქვამს რუსეთს თავის დახმარებას.

2. რუსეთი კისრულობს ქართლ - კახეთის სამეფოს მფარველობას. ივალებს დაიცვას მისი დღევანდელი ტერიტორია. ამავე გარანტიას გაავრცელებს იმ ტერიტორიაზედ რომელიც მომავალში გარემოების წყალობით მის მიერ იქნება დაბყრობილი და მისად დამტკიცებული.

3. ერთგულების დასამტკიცებლად მეფე ქართლისა და კახეთისა, მემკვიდროების წესით ტახტზე ასვლის დროს, უშუალოდ ელჩის მეოხებით ამცნობს იმპერატორს და მისგან იღებს დამტკიცებას და სამეფო ნიშნებს.

4. ქართლისა და კახეთის მეფე სცნობს რა იმპერატორის მფარველობას, ივალებს არ იქონიოს არავითარი ურთიერთობა მეზობელ მფლობელებთან, „საზღვარზე მყოფი (რუსის ჯარის) პირველ მეთაურთან ან მის კარზე მყოფ, მისი საიმპერიო აღმატებულების მინისტრთან წინასწარი შეთანხმების გარეშე“.

5. ხდება ურთიერთ ელჩების გაცვლა, თანახმად თავისუფალ სახელმწიფოთა შორის მიღებულ წესისა.

6. „მისი საიმპერიო აღმატებულება, სურს რა მიიღოს უმაღლესი ხელისუფლება და მფარველობა ქართლისა და კახეთის სამეფოზე, თავისი და მისი მემკვიდრეების სახელით იძლევა პირობას“:

1) რუსეთი საქართველოს მტრებს სცნობს თავის საკუთარ მტრებად და უცხო სახელმწიფოებთან ზავის შეკვრის დროს დაიცავს ქართლ - კახეთის სამეფოს ინტერესებს.

2) სამეფო ტახტზე დაიცავს ირაკლის და მის მემკვიდრეთა მეფობას.

3) რუსეთი ივალებს არ ჩაერიოს ირაკლის სამეფოს შინაურ საქმეებში, არც აღმასრულებელი, არც ფინანსიური და არც მართლმსაჯულების საქმეებში.

7. ქართველი მეფე თავის მხრივ ივალებს რუსეთისადმი სამხედრო დახმარებას, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს.

8. რუსეთი აღიარებს საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის რუსეთის წმ. სინოდის წევრად და რუსეთის არქიეპისკოპოსთა რიგში უთმობს მერვე ადგილს.

9. რუსეთი სცნობს საქართველოს პრივილეგიურ წოდებას, რუსეთის პრივილეგიურ წოდებასთან თანასწორ უფლებებში.

10. ქართლ - კახეთის მცხოვრებთ თავისუფლათ შეუძლიათ მოგზაურობა რუსეთში და იქ დასახლება.

11. ქართველი ვაჭრები რუსეთში სარგებლობენ იმავე უფლებებით, როგორც რუსის ვაჭრები საქართველოში.

12. ხელშეკრულება იდება სამუდამოდ. იმ შემთხვევაში თუ საჭირო შეიქმნა რაიმე ცვლილების შეტანა, ეს უნდა მოხდეს ორივე მხარის ურთიერთ თანხმობით“.

13. ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოხდეს ექვს თვეში და სხვა . . . გარდა ძირითადი ხელშეკრულებისა არსებობს ოთხი საიდუმლო მუხლიც:

1. რუსეთი ივალებს არბიტრის იმერთის მეფესთან კეთილი განწყობილების დასამყარებლად.

2. რუსეთი უგზავნის მეფე ირაკლის ორ ბატალიონ ჯარს, გარეშე მტრის თავდასხმისაგან დასაცავად.

3. ომიანობის შემთხვევაში, საზღვრებზე მდგომ (კავკასიის ხაზზე) რუსის ჯარის სარდალს აქვს მინიჭებული სრული უფლებები, როგორც ქართველ მეფესთან ურთიერთობის, ისე ომის და თავდაცვის საქმეში დახმარებისათვის.

4. რუსეთი ივალებს ომის დროს იარაღით და ზავის დროს გავლენით დაუბრუნოს ქართულ სამეფოს მისი აღრიცხული და შემდეგ დაკარგული ტერიტორიები. (ირაკლის მხედველობაში ჰქონდა სამცხე - საათაბაგოს დაბრუნება). ამ მუხლებს ისეთივე ძალა აქვთ როგორც ძირითად ხელშეკრულებას.

რას წარმოადგენს ეს ხელშეკრულება? მასზე ორი აზრი არ არსებობს. მიუდგომელი ევროპელი იურისტები ყველა ერთი აზრისაა. ხელშეკრულების ტექსტი ამტკიცებს რომ ის არის დადებული ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის საერთო თანხმობით. ორივე მხარე ნიშნავს თავის წარმომადგენლებს, ორივე მხარე აღიარებს თავის განსაზღვრულ უფლება - მოვალეობათ და ბოლოს მეთორმეტე მუხლში ისიც აღნიშნულია რომ ხელშეკრულებაში რაიმე ცვლილების შეტანა უნდა მოხდეს ორივე მხარის თანხმობით და როგორც პროფესორი ლე ფიური დასკვნის: „აქედან უდავოა, რომ ჩვენს წინაშეა საერთაშორისო ხელშეკრულება დადებული, ორ სრულუფლებიან სახელმწიფოს, და საერთაშორისო უფლების სუვერენულ პიროვნებათა შორის“

ეს აზრი საერთოა ყველა ევროპელი იურისტისათვის. საქართველო ხელშეკრულებით შედის რუსეთის იმპერიის

მფარველობაში, ხოლო ზღუდავს თავის უფლებებს საგარეო პოლიტიკის წარმოებაში. სახელდობრ ის ივალეს: სანამ რაიმე საგარეო ნაბიჯი გადადგას, უნდა შეუთანხმდეს რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს. მაშასადამე, საგარეო პოლიტიკაშიც საქართველოს უფლება მხოლოდ ნაწილობრივ არის შეკვეცილი და იგივე იურისტები იმასაც დასძენენ: რომ საქართველოს ის მთლიანად შეეკვეცა, მისი იურიდიული პიროვნება ამით მაინც არ უქმდებოდა და იგივე ლე ფიური განაგრძობს: „1783 წლის ხელშეკრულების შემდეგაც საქართველო განაგრძობს უშუალოდ საერთაშორისო უფლებით სარგებლობას. მას შერჩა სახელმწიფოს ხასიათი საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით“.

რაც შეეხება შინაგან უფლებებს აქ საქართველოს არაფერი შეუცვლია. პირიქით, ტრაქტატის შექმნის შემდეგ ამტკიცებს მის ხელშეუხებლობას. ამ მხრივ საქართველო რჩება სრული დამოუკიდებელი.

რუსეთის მიერ მისი სუვერენობის ცნობას ისიც ამტკიცებს, რომ ხელშეკრულება აწესებს არბიტრაჟს ორივე მხარის შორის უთანხმოების ჩამოვარდნის შემთხვევაში. ასეთი რამ კი დამახასიათებელია მხოლოდ ორ თავისუფალ სახელმწიფოთა შორის.

საქართველოს სუვერენობას ის ფაქტიც ამტკიცებს რომ ამ ხელშეკრულებას აქვს მეგობრობისა და კავშირის (შესავალი) ხასიათი, რაც აგრედვე შეიძლება მოხდეს ორ თავისუფალ სახელმწიფოს შორის.

ამ მცირე განმარტებიდან სჩანს რომ ერთის შეხედვით ხელშეკრულებაში ყველაფერი რიგზეა. არავინ არავის თავზე არაფერს ახვევს და არავის ღირსება არ არის შელახული.

მაგრამ ის პირობები, რასაც საქართველოს მეფე სთავაზობს რუსეთს, უდრის იმას რომ რუსეთმა შეაარაღებული ძალით დაიკავს საქართველო გარეშე მტრებისაგან, დაიკავს მისი ტერიტორია და ის მიწებიც რასაც საქართველო მომავალში შეიძენს?

ერთის შეხედვით ეს მოვლენა რუსეთის მოქმედებას ეჭვის ქვეშ აყენებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის ფაქტით რუსეთი იადვილებს მომავალში მის სრულ დეჟულაციას. ალბად იმ სარგებელს გულისხმობდა დუბროვინი, ხელშეკრულებას რომ მიაწერდა!

მაგრამ გარდა ამ ზოგადი დებულებისა, ხელშეკრულებაში არის აგრეთვე ზოგიერთი მითითება, რაც პროფესორ ნიტილი და რასაც ერთს შემდეგ ჩვენც დაუმატებთ. ყველა ეს კი ცხადს ჰყოფს რუსეთის ძირითად მიზნებს და რაც ისე მოხერხებულად არის

შეტანილი, რომ ის დაფარული რჩება ხელშეკრულების ძირითადი და ოფიციალური მიზნების დასახვით.

ხელშეკრულების მეორე მუხლით რუსეთი იძლევა გარანტიას დაიკავს საქართველოს ტერიტორია, ის რაც შედის დღეს საქართველოს სამეფოში, აგრეთვე ის ტერიტორია, რომელიც ამა თუ იმ გარემოების წყალობით საქართველო შეიძენს.

ეს მეორე ნახევარი ეჭვს ბადებს, მფარველი სახელმწიფო რომ კისრულობს მოპოებული ტერიტორიის დაკვას, ეს გასაგებია. ხოლო დაპირება იმ ტერიტორიის დაკვისაც, რომელსაც საქართველო მომავალში შეიძენს, ეს გადაჭარბებულ გულუხვობაა. ნიშნავს, რაც მსგავსი ხელშეკრულებისათვის გაუმართლებელია.

საქართველოსათვის ეს მოჩვენებითი დაპირება მოსაწონი იქნებოდა, მაგრამ რუსეთი ამ დაპირებით სულ სხვა რამეს უმიზნებდა; ის რომ საქართველოს მიერ მომავალში შეიძენილი მიწებიც (შეიძლება რუსებისავე დახმარებით) მომავალში რუსეთის საკუთრება გახდებოდა, და გასაგებია ამ საქმეში რუსეთის დახმარება!

მესამე მუხლში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სუვერენობა მთლიანად დაცულია და ის აღიარებულია როგორც მფარველობაში მყოფი სახელმწიფო, ამავე დროს ხელშეკრულებაში არის ნიშნები, რაც უფრო ვასალურ სახელმწიფოს ახასიათებს, სახელდობრ: ქართველი მეფის ტახტზე ასვლის დროს ის უნდა იყოს დამტკიცებული, იმპერატორის მიერ (მას შეეძლო არ დაემტკიცებინა და რაც მერე ფაქტიდაც დამტკიცდა, როდესაც დავით ბატონიშვილი ტახტზე არ დაუშვეს!) და მისგანვე უნდა მიიღოს ინვესტიტურის ნიშნები. ამაზე პროფესორი ნიპოლდა შენიშნავს: „ეს ფორმულა, ეტყობა ავგიროგინებს რომ რუსეთის თვალში საქართველო იღებს ვასალის ფორმას... ცხადია იბადება ჰიპოტეზა, რუსეთის ნამდვილი მიზანი აქით არის მიმართული“ (მისი წიგნის გვ. 23).

ასეთივე ეჭვი შეიტანა ნიპოლდმა ხელშეკრულების მეცხრე მუხლზე, რითაც რუსეთი საქართველოს თავდაუზნაურობას უფლებრივად ათანასწორებს რუსეთის თავად - აზნაურობასთან. ეს ალბად მომხიბლველი იქნებოდა ქართველი თავად - აზნაურობისათვის და ეს ხელს შეუწყობდა რუსეთთან უფრო დაახლოებას.

ყველა ამას ჩვენ ერთი საეჭვო მუხლიც უნდა დაუმატოთ, მით უმეტეს რომ აქამდე ის არავის შეუნიშნავს, ამიტომ სიფრთხილით მასაც ვეხებით.

ხელშეკრულების მერვე მუხლით რუსეთი აღიარებს საქართველოს კათალიკოს პატრიარქს რუსეთის წმ. სინოდის წევრად და რუსეთის არქიეპისკოპოსთა რიგში უთმობს მერვე ადგილს.

ეს ხელშეკრულება საკავშიროა და მეგობრული, ამიტომ საქმარისი იყო საქართველოს სამღვდელთაზე გაეთანხმებინა რუსეთის საღმრთოებთან, სხვა არაფერი, თუმცა არც ეს იყო საჭირო რადგან ერთ სარწმუნოებასთან გვაქვს საქმე. დანარჩენი ყველაფერი დამორჩილებას ნიშნავს.

ყველამ იცის და რუსეთმაც იცოდა რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იყო, როგორც რუსეთისა, ორივე ერთნაირად უკავშირდებოდნენ კონსტანტინეპოლის (რომისაგან გაყრის შემდეგ) ისოფლიო მართლმადიდებელთა პატრიარქს. მაშასადამე ამ ორ ეკლესიის შორის არსებობს თანასწორობა საეკლესიო თვალსაზრისით. აღნიშნულით კი რუსეთი ერევა საქართველოს ეკლესიის შინაურ საქმეებში, როდესაც ხელშეკრულებას საქმე არ აქვს ეკლესიასთან, ხოლო თუ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სინოდის წევრად აღიარება ნიშნავს რაიმე პატივს, მაშინ საეკლესიო იურისდიქციით თანასწორი რუსეთის პატრიარქთან, რატომ უნდა იყოს გათანასწორებული რუსეთის არქიეპისკოპოსებთან და ისიც მხოლოდ შერვე ადგილის დათმობით! თუ საქართველოს კათოლიკოსის პატივს დაცავდნენ, მაშინ რუსეთის პატრიარქის შემდეგ მას უნდა სჭეროდა პირველი ადგილი და არა გათანასწორებული რუსეთის არქიეპისკოპოსებთან. ამნაირად ეს მუხლიც რუსეთის ნამდვილ განზრახვებს ამხელს, რომ ქართული ეკლესიაც უნდა დაექვემდებაროს რუსეთის ეკლესიას!..

### 3.

ახლა ვნახოთ როგორი იყო შედეგები აღნიშნული ხელშეკრულებისა: როგორც დასაწყისში აღვნიშნე, რუსეთთან კავშირის საკითხში საქართველოში ერთსულოვნება არ სუფევდა და როგორც მერე ვნახავთ ქართველების სრული უკმაყოფილება ძრავალი ფაქტით აღინიშნა: ისიც აღვნიშნეთ რომ თვით მეფე ირაკლიც ამ დასკვნამდე იძულებით მივიდა.

ხელშეკრულების დადებას მრავალი უბედურება მოჰყვა, როგორც კავკასიის ისე სხვა მეზობელ ხალხებთან ურთიერთობაში. ხელშეკრულებას თანახლდა საქართველოში ორი ბატალიონი რუსის ჯარი. ამან შეაშფოთა მთელი კავკასიის მუსულმანობა, ასევე სპარსეთ - ოსმალეთი და ყველამ კბილების ალესვა დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ.

რუსის ჯარის შემოყვანაში ამ ხალხებმა დაინახეს საქართველოს გადაცემა რუსეთისადმი და რაც ყველას ერთნაირად ემუქრებოდა. ამან პირველი ააღელვა ახალციხის სულეიმანი ფაშა. ამ ამბებამდე სულეიმანი იმის ცდაში იყო, რომ ოსმალეთს ჩამოსცილებოდა და კვლავ

თავისი მოძმე ქართველებს დაახლოებოდა. რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლის შემდეგ კი კაცი აფრინა სულთანთან და დახმარებას სთხოვდა. სულთანს ამ დროს რუსეთთან ზავი ჰქონდა და დახმარებაზედ ოფიციალურად უარი უთხრა: ხოლო დახმარებას დაჰპირდა ჩუმად და კავკასიის მუსულმანებსაც მოწოდება დაუგზავნა სულეიმანს დახმარებოდნენ. სულეიმანის მიზანი იყო საქართველოდან რუსების განდევნა. ის დაუკავშირდა ლეკებს. შუშის იბრაიმ ხანს სწერდა რომ რუსებს თუ ახლავე არ შეეებრძოლეთ, მომავალში ჩვენ ყველას გაგვანადგურებენო. ყველა ხედავდა რომ რუსები მოიწვედნენ და მაგრდებოდნენ კავკასიაში.

1784 წელს გენ. პ. პატიომკინი დაინიშნა სარატოვისა და კავკასიის გენერალ - გუბერნატორად. მთელი მისი მოღვაწეობა იქით იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება კავკასიის მეტი მთავრები შეეყვანა რუსეთის მფარველობაში. ასე უვნებელი გზით უნდოდა მთელი კავკასიის ხელში ჩაგდება. ამავე მიზნით იყო, რომ ირაკლისთან ასე „შელავათიანი“ ხელშეკრულება დასდო და უხვი დაპირებები მისცა რომ სხვებიც წაექეზებინა...

მთელი კავკასია შეინძრა. ჩეჩნეთში გაჩნდა წინასწარმეტყველი მანსური და მთელი ჩრდილო კავკასია რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბა.

დაიწყო ლეკების შემოსევები. კავკასიის სახანოებიდან გინც ირაკლის მეგობრობდა ან ხარკს აძლევდა, ყველამ დაიწყო ჩამოშორება.

შამშადილი აღარ ემორჩილება ირაკლის. აზერბეიჯანშიც (სპარსეთის) დაკარგა გავლენა, რაც თავრიზამდე უწევდებოდა. განჯაც ჩამოშორდა. ერევნის ხანმა ხაკი შეუწყვიტა და შუშის ხანი, რომელიც ირაკლის დიდი მოკავშირე იყო, ზურგს აქცევს.

სულეიმანმა დიდი ჯარი შეკრიბა, მათ შორის 12000 ლეკი და ირაკლის დაემუქრა. ირაკლიმ რუსებს მიმართა დახმარებისათვის. დახმარება რომ ვერ მიიღო, სულეიმანთან მოლაპარაკება გამართა და დაჰპირდა, ოღონდ დამეხსენ და საქართველოში მეტ რუსის ჯარს აღარ შემოვიყვანო.

ირაკლის მოქმედება პატიომკინს არ მოეწონა. მაგრამ რა კი ფაქტიურად ირაკლის არ ეხმარებოდნენ, სხვა გზა არ ჰქონდა პირდაპირ უნდა მოელაპარაკა სულეიმან ფაშასთან, ხოლო პატიომკინს დაჰპირდა ელჩებს უკან გამოეწვეო.

ირაკლი მაინც შეეცადა მდგომარეობა გამოეწვინა. და რუსებმა რომ ნახეს ირაკლი ფეხზე დგებოდა, მათი ჯარი უკან გაიყვანეს, იმ საბაბით თითქოს რუსის ჯარის გაყვანით მდგომარეობა დაწყნარდებოდა.

ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა საქართველო აღნიშნული ხელშეკრულების გამო.

ბოლოს მაინც მიხვდა ზოგიერთ შეთანხმებას ახალციხის ფაშასთან და თავისი შვილები და გარსევან ჭავჭავაძე რუსეთიდან დაბრუნდა.

სწორედ ამ დროს დაირღვა ზავი თურქეთსა და რუსეთს შორის და დაიწყო ომი, რაც დამთავრდა 1791 წლის იასის ხელშეკრულებით. მაგრამ მეფე ირაკლიმ ამ ჯერად ზაინც გადაარჩინა ქვეყანა თურქებისა და ლეკების თავდასხმისაგან.

კიდევ განსაკუთრებული იყო სპარსეთ - საქართველოს ურთიერთობა და რუსეთის მფარველობაში შესვლის შედეგად საქართველოს მთავარი დარტყმა სპარსეთისაგან მოელოდა.

#### 4.

როგორ შეასრულა რუსეთმა დადებული პირობები. კინც რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიის იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ისინი არასოდეს არ ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს. ისინი მას არ იცავენ მანამდე, სანამ მათთვის ის ხელსაყრელი იყო. როდესაც ეს ინტერესი ჰქონდა, საბაბს გამოიხატავდნენ და დადებულ ხელშეკრულებას არღვევენ. ამას აკეთებენ მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე აქვთ მათზე სუსტ ქვეყნებთან ასე უნდა გათავებულყო საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების ბედიც, რადგან საქართველოსთან მათ კიდევ მეტი ანგარიშები ჰქონდათ.

ამ ხელშეკრულებაში ერთად ერთი და ძირითადი მიზანი საქართველოსთვის იყო რუსეთის სამხედრო დახმარება. მით უმეტეს რომ ხელშეკრულებით საქართველოს მტრები აღიარებული იყო რუსეთის მტრებად და უკუღმა.

მაგრამ სულ მალე გამოიჩინა, რომ რუსებს, სულ სხვა მიზნები ჰქონდათ. მათ მიზანს საქართველოს დაცვა და გამაგრება კი არ წარმოადგენდა, არამედ მისი დაცემა და დასუსტება. ეს ადვილი იქნებოდა თუ მფარველობაში შეყვანილ მტრებს კიდევ მეტად გადაჰკიდებდა.

რუსეთმა თავის პირობა დასაწყისში დაარღვია: ხელშეკრულების გამო გასაჭირში ჩავარდნილ ქართველ მეფეს დახმარების მაგიერ შემოყვანილი ჯარიც უკან გაიწვიეს და აღელვებული მეზობლების პირის - პირ დასტოვეს. როგორც აღვნიშნე, ირაკლიმ ამ დროს თავი არ დაკარგა და ახალციხის ფაშასთან მოლაპარაკებით თურქების რისხვა თავიდან აიცილია, ეს კი ვერ შესძლო სპარსეთის მიმართ, რადგან სპარსეთი თავის ძველ ვასალურ დამოკიდებულებას საქართველოსი არა სთმობდა, თუმცა ნადირის შემდეგ საქართველო სრულიად დამოუკიდებელი იყო.

როგორც ცნობილია, სპარსეთის იმპერია ამ დროს დაეცემას განიცდიდა, მაგრამ ეს დაცემა დიდხანს გაგრძელდა. პერიოდულად მას გამოუჩნდებოდა ხოლმე ძლიერი ბელადი და დროებით კიდევ ფეხზე აყენებდა მომაკვდავ იმპერიას. შახ ნადირის შემდეგ სპარსეთი დიდად იყო დასუსტებული. თეიმურაზ მეორემ და ირაკლიმ არა მარტო მოახერხეს საქართველოს ხსნა, სრული დამოუკიდებლობაც მოაპოვეს.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში სპარსეთში კვლავ დაიწყო ანარქია და ბოლოს სპარსეთის ტახტს დაეპატრონა ყაჯარი, ალა მაჰმად ხანი. ირაკლიმ ადრე იგრძნო ალა მაჰმად ხანის გაძლიერება და ხანში შესულ მეფეს შეიძლება იმედი არ ჰქონდა რომ მასაც ისე მოინელებდა, როგორც ნადირის შემთხვევაში. შეიძლება ან მდგომარეობამაც აიძულა მეფე შესულიყო რუსეთის მფარველობაში, იმ იმედით რომ სპარსეთი რუსეთის შიშით აგრესიას ვეღარ ვაბედავდა; ეს არ გამართლდა, თუ ეს იყო ირაკლის ანგარიში...

ხელშეკრულების დადების შემდეგაც ირაკლი მაინც დაწყნარებული არ იყო, როგორც კი ალა მაჰმად ხანმა თავი შესად გამოაცხადა, ირაკლიმ ადრევე დაიწყო ზოების მიღება და თანახმად ხელშეკრულებისა რუსეთს სთავადა დახმარებას შახის მოსალოდნელი შემოსევისათვის.

რუსებმა ყველა მისი თხოვნა უყურადღებოდ დასტოვეს. რუსები იმასაც ფიქრობდნენ რომ ირაკლი თავის ძალებს არ იყენებს და რუსებს ემყარებაო. თუმცა ისიც მართალია რომ რუსეთთან კავშირის გამო ბევრი ქართველი გულგრილად ხედებოდა ირაკლის მოწოდებას. მიუხედავად იმისა რომ ალა მაჰმად ხანმა იცოდა ირაკლის რუსეთის მფარველობაში შესვლა, ის ამას ყურადღებას არ აქცევდა და ქართლ - კახეთის სამეფოს კვლავ სპარსეთის ვასალად სთვლიდა. ამიტომ გვირგვინის დადგმის დღისათვის ირაკლის მიმართა რათა ის ბლებოდა მას სპარსეთში და ვასალის მოვალეობა შეესრულებინა. ვასალ ნიშნებს ყველას თავისი მოვალეობა ჰქონდა. ქართველ მეფეს შახისათვის ხმალი უნდა შემოერტყა ცერემონიის დროს.

ირაკლიმ შახის მოწოდებაზე თავი შორს დაიჭირა; ის უკვე ხელშეკრულებით რუსეთის მფარველობაში იყო შესული და უარყოფდა ყოველგვარ კავშირს სპარსეთთან, ამან შახი მეტად განარისხა და გადასწყვიტა შემოსევა. ისტება საკითხი: როგორ გაბედა შახმა ასე უტბად შესეოდა რუსეთის მფარველობაში მყოფ საქართველოს, ან თვით მისი ულტიმატუმი?

ეჭვი არ არის, მას ჰქონდა სათანადო ცნობები, რომ რუსეთი საქართველოს არ დაეხმარებოდა.



ირაკლიმ მოუხშირა თხოვნები იმპერატორსთან დახმარებისათვის. ხელშეკრულების თანახმად კავკასიის ხაზის ჯარების უფროს მიცემული ჰქონდა სრული უფლებები ირაკლის მოთხოვნა შეესრულებინა. ამ ჯარების უფროსი იყო გ უ დ ო ვ ი ჩ ი (რომელიც გვიან კავკასიის მთავარმართებელი გახდა,) და ალა მაჰმად ხანის შე მოსევის კარგა ხნით ადრე ეკატერინესაგან ბრძანება ჰქონდა მიღებული ირაკლის არ დახმარებოდა (ბუტკოვი).

ცხადია ეს ამბავი შახს არ გამოეპარებოდა. რუსეთმა კი ეს მოფიქრებულად ჩაიღინა. დაესუსტებია საქართველო და მერე მას დაუფლებოდა.

ალა მაჰმად ხანი შემოესია საქართველოს და 1795 წ. 12 სექტემბერს თბილისი გაანადგურა, დიდძალი ხალხი ამოჰლიტა და ბევრიც ტყვედ წაიყვანა.

რადგან ირაკლი რუსებს მოსვენებას არ აძლევდა, დაბოლოს რუსებმა გადაწყვიტეს „დახმარება“. ეკატერინე ბრძანებას აძლევს გუდოვიჩს ირაკლის დაეხმაროს. ამ საბუთსთარიღად აზის 4 სექტემბერი და გუდოვიჩმა ის მიიღო პირველ ოქტომბერს: 12 სექტემბერს კი ყოველივე გათავებული იყო. მაჰმინ ტელეგრამა არ არსებობდა და არც მატარებელი. პეტერბურგიდან კავკასიაში ბრძანების მოსვლას თვეები სჭირდებოდა და ალა მაჰმად ხანის შემოსევის დღეებში ბრძანების გაცემას მოჩვენებითი ხასიათი ჰქონდა.

ასე შეასრულეს რუსებმა ნაკისრი ვალდებულებანი. მეფე ირაკლი კი ბოლომდე მათი ერთგული დარჩა და რუსეთის მიერ პირობის დარღვევა ვერ გამოიყენა თავისუფლად ემოქმედა. გუდოვიჩს კი სწერდა: რომ მას რუსეთის იმედი არ ჰქონოდა, სხვა გზას გამონახავდა თავდაცვისათვის; ხოლო პეტერბურგში მირიან ბატონიშვილს და გარსევან ჭავჭავაძეს სწერდა: „თქვენ თვითონ იცით, რომ ჩვენ რუსეთთან ფიცით დაკავშირებული არ ვყოფილიყავით და ალა მაჰმად ხანთან თანხმობა გავგეცხადებინა, ეს უბედურება არ დაგვატყდებოდა თავსაო“ (დუბროვინი. გიორგი 12).

ამის შემდეგ ირაკლიმ გაბედა და შახს მაინც მისწერა წერილი. შაჰმა თავისი პირობები გამოუგზავნა და ირაკლის ჰპირდებოდა ყველაფრის ანაზღაურებას და მეგობრობის დამყარებას, ხოლო მოითხოვდა რომ რუსეთთან კავშირი გაეწყვიტა. ირაკლიმ მას უარი შეუთვალა. ამიტომ საქართველოს უარესი ნოელოდა. ირაკლი პირდაპირ ემუდებოდა გუდოვიჩს, თუ დროზე ჯარს არ მომაშველებ, ძძულებული ვიქნები მივიღო შახის პირობე-

ბიო: გუდოვიჩმა კვლავ უარი უთხრა (ჯერ ეკატერინეს ბრძანება არ ჰქონდა მიღებული)

სახელმწიფო საბჭომ 18 ოქტომბერს 1795 წელს დაადგინა დაეხმაროს ირაკლის და 18 ნოემბერს საქართველოში შემოვიდა რუსის ორი ბატალიონი ჯარი. როდესაც ეს ჯარი დღუშეთში მოვიდა, ალა მაჰმად ხანი სპარსეთში გაბრუნდა, ხოლო რუსები ისევ უკან გაბრუნდნენ.

ასე დრამატიულად დამთავრდა რუსეთ - საქართველოს „მეგობრობა“. რუსეთმა ყოველი ჰქმნა საქართველოს დასუსტებ - დაქცევისათვის, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ ეს ხელშეკრულება ახდლილად ცალმხრივად ქართველებისათვის თავზე გადაეხიათ და საქართველოს სრული ანექსია მოეხდინათ.

**დ ა მ ა ტ ე ბ ა.**

1796 წელს ომი გამოუცხადა სპარსეთს. ორომც ათასიან ჯარს ხელმძღვანელობდა ზ უ ბ ო ვ ი. რუსის ზოგი ისტორიკოსი სწერს, თითქოს ეს იყო საქართველოს აოხრების სამაგიეროს გადახდისათვის. ეს არ არის სწორი. ომის გამოცხადების მანიფესტში ახდლილად არის ნათქვამი მათი მიზანი, რაც შეეხება მათ სავაჭრო ინტერესებს და არაფერი საქართველოზე. რასაკვირველია, რუსებს რომ საქართველოზე ეფიქრათ აქამდე არ მიიყვანდნენ და დასახმარებლად არც ამდენი ჯარი დასკირდებოდათ - ეს ექსპედიცია მაინც უშედეგო აღმოჩნდა და რუსის ჯარები უკანვე წავიდნენ.

ალა მაჰმად ხანი მიხვდა რუსების ზრახვებსაც რომ ისინი არ იყვნენ საქართველოს დამცველნი: ამიტომ მან შემოიკრიბა თავისი ძალები და კვლავ დაიძრა საქართველოსაკენ. მთელი კავკასიის ხალხებს შიშის ზარი დასცა.

1797 წლის დასაწყისში ირაკლიმ კიდევ გავზავნა პეტერბურგში გარსევან ჭავჭავაძე დახმარების სათხოვნოდ, რაც აგრეთვე უშედეგო იყო.

ალა მაჰმად ხანმა კი წერილით მიმართა ირაკლის: მოდი ჩემთან, ბოდიში მოიხადე, ქვეყანა დამიმორჩილე და მერე მოვრიგდეთო. მერე ეს პირობა შეცვალა. სთხოვდა მხოლოდ წერილობით პირობას. ირაკლი კვლავ გაჯიუტდა და უშედეგოდ აწუხებდა პეტერბურგს.

ამ დროს ალა მაჰმად ხანი გამოჩნდა არაქსთან და საქართველოს კვლავ უბედურება მოელოდა, რომ ის არ ყოფილიყო მოკლული. ფიქრობენ რომ მკვლეელი ქართველი იყო. ასე გადაჩნა საქართველო მეორედ აოხრებას.

**აღ. მანველიშვილი.**

სან ფრანცისკო, სექტემბერი 1982 წელი.



## IL Y A DEUX CENTS ANS QUAND MOSCOU ANNEXAIT LA GÉORGIE

Etrange anniversaire que célèbre actuellement, bon gré mal gré, la République soviétique de Géorgie : le bicentenaire du traité russo-géorgien de 1783, conclu entre l'impératrice Catherine II et le roi Erêklê. Le processus ainsi entamé devait aboutir, moins de vingt ans plus tard, à la pure et simple annexion du royaume de Géorgie par la Russie des tsars, mettant fin à l'existence deux fois millénaire d'un Etat indépendant et le promettant à plus d'un siècle d'humiliation nationale et d'étouffement culturel. Il faudra attendre 1918 pour que la Géorgie retrouve sa souveraineté et son indépendance... pour une durée de trois ans.

Etrange commémoration, et pour nous incompréhensible : comme si la France avait mis au nombre de ses solennités nationales l'anniversaire du désastre d'Alésia, des plus sombres moments de la guerre de Cent Ans ou de la capitulation de 1940 !

La Russie des tsars était plus minutieuse dans l'administration de sa mémoire historique : c'est l'acte d'annexion de 1801 qu'elle célébrait en 1901, et non le traité de 1783, qui par lui-même n'impliquait aucune mainmise sur la souveraineté géorgienne. Il s'agissait en effet d'un acte sanctionnant l'entrée du royaume de Géorgie sous le protectorat de l'Empire russe. « *Il présente*, écrivait le juriste Louis Le Fur, *le caractère d'une convention bilatérale passée entre deux Etats souverains.* » L'initiative en revenait au roi de Géorgie, Erêklê II. Pourquoi ?

Le royaume de Géorgie, au sud de la grande chaîne du Caucase, entre la mer Noire et la Caspienne, est issu de la réunion, dans les premiers siècles de l'ère chrétienne, de la Colchide (actuelle Géorgie occidentale) et de l'Ibérie (Géorgie centrale et orientale). Chrétienne depuis la fin du IV<sup>e</sup> siècle, elle se donna peu après une écriture originale adaptée à une « *langue merveilleusement riche et souple* » (G. Dumézil), singulière aussi — appartenant à la famille caucasique, étrangère donc au monde indo-européen comme au monde sémitique ou turc.

### Un contrepoids à la Perse

En dépit de redoutables invasions, mais sans doute aussi à leur faveur, elle réussit à inventer et à maintenir, toujours selon Dumézil, cette « *brillante civilisation qui n'a pas cessé, depuis la conversion au christianisme, de se nuancer sous les influences alternées de l'Orient et de l'Occident* ». Si cette culture et la langue qui la véhicule ont pu survivre aux vicissitudes d'une histoire tourmentée et résister à d'aussi mutilantes agressions que celles des Mon-

gols ou des Perses, c'est que l'Etat géorgien avait fait preuve d'une remarquable continuité : la monarchie des Bagratides s'était maintenue sans interruption jusqu'à l'annexion russe de 1801.

Mais, au XVIII<sup>e</sup> siècle, l'existence de la nation et la lignée même de l'Etat sont menacées. Seule chrétienté au sud du Caucase depuis la chute de Byzance et l'étouffement de l'Arménie, la Géorgie devenait une proie naturelle pour les grands voisins musulmans, surtout la Perse (avec la Turquie, le roi Erêklê était parvenu à une entente, bien précaire, il est vrai). Il fallait donc trouver un contrepoids à la pression incessante de la Perse. Constatant l'insuccès des précédentes tentatives en direction de l'Europe occidentale, le roi Erêklê II dut se résoudre à négocier avec la Russie un traité de protectorat et d'alliance, celui-là même qui est aujourd'hui commémoré en Union soviétique.

Conclu à Moscou en juillet 1783 entre Potemkine, d'une part, et les princes Bagration et Tchavtchavadzé, de l'autre, contresigné en janvier 1784 à Tiflis par le roi Erêklê, il stipulait notamment : l'établissement du protectorat russe sur la Géorgie; la reconnaissance de la souveraineté de l'Etat géorgien par la Russie et l'engagement de celle-ci à ne pas s'immiscer dans ses affaires intérieures; l'indépendance de l'Eglise géorgienne, autocéphale depuis sa fondation au IV<sup>e</sup> siècle, la garantie militaire par la Russie des frontières du royaume; la notification préalable à la Russie de l'avènement des rois de Géorgie; l'accord préalable de la Russie à toute nouvelle alliance contractée par la Géorgie, etc.

Pour la Géorgie, les avantages étaient clairs, mais les dangers ne l'étaient pas moins. D'un tel traité pouvait résulter le meilleur ou le pire. A vrai dire, il n'en résulta rien, du moins dans l'immédiat. Car la Russie ne tint pas ses engagements, bien que l'urgence d'une aide militaire se soit fait vite sentir.

### Une machine infernale

Le traité de 1783, avec le choix du roi Erêklê en faveur de l'Occident le plus proche et le plus dangereux, agit en Orient à la façon d'une machine infernale. La Turquie se départit de sa bienveillance, et les incursions de la Perse, avec celles de tous ses féaux d'Azerbaïdjan et du Daghestan, ne laissèrent plus trêve à la Géorgie livrée à elle-même. Les armées russes se gardèrent d'intervenir, le nouveau protégé du tsar fut abandonné aux incessantes invasions de ses voisins orientaux. Jusqu'à la prise et à l'impitoyable sac de Tiflis par les troupes perses d'Agha Mohammed Khan en 1795, puissamment évoqués dans le roman historique de Tynianov, *la Mort du Vazirmoukhtar*. La Géorgie des dernières années du siècle se retrouvait littéralement exsangue, réduite à l'état de proie sans défense.

C'est en janvier 1801 que le tsar Paul 1<sup>er</sup>, se prévalant et mésusant du traité de 1783, fit publier le fameux manifeste sur l'union de la Géorgie à la Russie : *Par la Grâce de Dieu, Nous, Empereur et Autocrate de toute la Russie...* Il ne s'agit ni plus ni moins que de l'annexion de la Géorgie, confirmée et aggravée par le manifeste du tsar Alexandre 1<sup>er</sup> du 12 septembre 1801. Désormais, la Géorgie était condamnée à devenir une province de l'Empire russe. On connaît la suite : déportation de la famille royale, implantation de l'administration russe, occupation militaire des principautés géorgiennes épargnées en 1801, puis russification brutale, répression sanglante de toute manifestation nationale. Et un comble : le premier acte du tsar, protecteur de la religion orthodoxe — l'une des raisons d'être du traité —, fut de mettre fin, dès 1801, à l'autocéphalie de l'Eglise géorgienne, rattachée au Synode russe; en 1811, un exarque russe était investi à Tiflis et le slavon remplaçait le géorgien dans la liturgie.

### Les « conséquences progressistes »

Cela étant, quelles sont les raisons incitant le pouvoir soviétique de 1983 à commémorer le traité qui devait servir aux tsars à légitimer l'annexion ? On connaît au moins les arguments officiels, clairement formulés à travers les ouvrages « historiques » qui se multiplient depuis un an, et que résume bien le titre de l'un d'eux : *Conséquences progressistes de l'union de la Géorgie à la Russie* (Tiflis, 1982). Ces *conséquences progressistes* sont au nombre de six :

1. — L'union a apporté une paix éternelle à la Géorgie, à l'abri désormais de toute guerre étrangère.
2. — Elle a préservé l'intégrité nationale de la Géorgie, lui conservant pratiquement ses frontières historiques.
3. — Elle a assuré le développement social de la Géorgie, lui offrant notamment les bénéfices des réformes tsaristes.
4. — Elle a permis à la Géorgie de mener à bien l'unification nationale, par l'éviction de toute tendance centrifuge.
5. — Elle a puissamment favorisé la renaissance et le développement de la culture géorgienne.
6. — Elle a amené la Géorgie à participer aux luttes révolutionnaires contre l'autocratie tsariste.

Telle est la doctrine officielle. On sait ce que fut la réalité.

Les Géorgiens connurent la paix, celle même que subit tout peuple militairement occupé par une puissance étrangère. Le territoire de l'ancienne Géorgie se vit partiellement préservé, mais ce n'était plus qu'une surface russe, une aire coloniale dépourvue de toute existence nationale.

Il est par ailleurs étonnant de voir un Etat qui se veut socialiste se livrer à la défense et illustration de la « politique sociale » des tsars de Russie au XIX<sup>e</sup> siècle ! Avec Nicolas 1<sup>er</sup> et Alexandre III ! Jamais la Géorgie, depuis l'époque mongole, n'avait subi une telle régression sociale, encore aggravée par le fait qu'elle était l'œuvre d'une puissance d'occupation. Si la tentation « centrifuge » fut épargnée à cette province de l'Empire tsariste, c'est le lot de toute colonie.

Le cinquième point relève de la provocation. Voici un « historien » officiel géorgien se faisant le chantre de la politique culturelle des Nicolas et des Alexandre ! Nul n'ignore pourtant ce que fut la russification dans cette « prison des peuples ». La langue géorgienne interdite, la culture nationale russifiée par la force. Certes, cette oppression agit comme un levain suscitant une belle et vigoureuse littérature géorgienne : mais contre la Russie tsariste et malgré la terreur intellectuelle à laquelle de plus en plus elle recourait.

Dérision donc, et si flagrante que l'on a peine à comprendre ce qui la motive et l'autorise. C'est le dernier point qui livre l'explication. Toute le reste n'est que vaine argumentation.

Il est exact, en effet, que si en 1801 la Russie n'avait pas annexé la Géorgie celle-ci n'aurait pas subi l'oppression tsariste. Et donc l'occasion ne se serait pas offerte d'en secouer le joug. Elle n'aurait pas participé à la révolution de 1917, qui lui a fourni les moyens de restaurer son indépendance nationale et de redevenir un Etat souverain, de 1918 à 1921. Il fallait que l'histoire n'eût pas pris un autre cours entre 1783 et 1801 pour que la Russie de 1921 pût mettre fin, par les méthodes habituelles, à l'indépendance retrouvée.

Si donc la Géorgie soviétique se voit invitée, contre toute raison, à célébrer le bicentenaire de son annexion à la Russie des tsars, c'est en vertu d'une théorie de l'histoire où l'on reconnaît la doctrine de la prédestination, plus proche de Bossuet que de Marx. Ce n'est en tout cas pas la nôtre.

Georges CHARACHIDZE.

*Le Monde*, dimanche 23 octobre 1983.





# სკვისტოს აჯანყება

1924 - 1984





### ქაჭუცა — ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ეკუთვნოდა საქართველოს ისტორიაში დიდად ცნობილ ჩოლოყაშვილების გვარს, რომელმაც მრავალი ღვაწლი დასდო სამშობლოს.

ის დაიბადა მამაპაპურ სოფელ მატანში, 1888წ. და იყო შვილი იოსებ და დარია ჩოლოყაშვილების. სწავლა მიიღო ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ოცდაერთი წლის რუსულ ჯარში იყო გაწვეული, სამხედრო ბეგარას ნოსახდელად და მსახურობდა ტფერის დრაგუნთა პოლკში, საიდანაც დაბრუნდა სახლში ოფიცრის ხარისხით. 1913წ. შერთო ილია მეღვინეთ უხუცესის ერთადერთი ასული ნინო და დაბინავდა მამულში.

1914 წელს, დიდი ომის ატების დროს, როგორც ოფიცერი ისევე ჯარში იქმნა გაწვეული და მთელი ომი ბრძოლის ველზე გაატარა. 1914წ. დაჭრილი იქმნა ავსტრიის ფრონტზე და გადმოყვანილი კავკასიის ფრონტზე. როგორც დაჭრილი, ის უფროსობდა ზურგის ჯარის ასეულს და ამ დროს დაიწყო ოსმალეთის ჯარის ერიშები სარაყამიშზე. რუსის ჯარი ცოტა იყო; ოსმალები აშკარად სჭარბობდნენ. მათ უკვე შემოუარეს რუსებს ზურგიდან და აი

ამ დროს, იღებს იგი ბრძანებას; თავის მუშა - ჯარისკაცებს თოფები დაურიგოს და ფრიად სტრატეგიული მნიშვნელობის „არწივის ბუდის“ მთა ოსმალებისაგან უკან დაიბრუნოს. ჩოლოყაშვილმა ეს ბრძანება ბრწყინვალედ შეასრულა და „არწივის ბუდე“ დაიბრუნა. ოსმალებმა ისევე განახლეს „არწივის ბუდის“ იერიშები, ჩოლოყაშვილი ფეხში დაიჭრა. მას წინადადებას აძლევენ უფროსობა სხვას გადასცეს და თვითონ ლაზარეთში წავიდეს. იგი თავის პოსტზე რჩება და ისევე იღებს ჭრილობას, ამხელად მკერდში და ფრიად მძიმეს, მაგრამ „არწივის ბუდე“ მას რჩება.

მძიმედ დაჭრილი ჩოლოყაშვილი წმიდა ნინოს ქართულ საავანტყოფოში მოირჩინეს თავს და როდესაც ქართული ცხენოსანი რაზმი არსდება, ერთი პირველთაგანი შედის მასში. ამიერიდგან იგი სპარსეთის ფრონტზედ არის. აქ ნან შეასრულა თავის შესანიშნავი რეიდი; თავისი ასულით მან გაიარა მესოპოტამიის უდაბნო და ინგლისელებს შეუერთდა.

დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა. ის უკვე ქართულ ჯარში მსახურობს და ამ ხნიდან, როგორც ერთი



შესანიშნავი ოფიცერთაგანი, ნონაწილეა ყველა იმ ომებისა და სამხედრო საქმეებისა, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ჰქონდა.

1921 წელს, ეროვნული კატასტროფის დროს, როდესაც რუსეთის წითელმა ლაშქარმა საქართველო დაიკავა, ის საქართველოში რჩება.

მის თავში იბუდებს საქართველოს განთავისუფლებისა და მტერთან იარაღით შებმის აზრი. ანის მზადებას, პირველი მებრძოლი ჯგუფის შედგენას, და იმ პირობებში ამ მეტად ძნელი საქმის მოწყობას მთელ წელიწადს ანდონებს. იმ დროს საქართველოში მძაფრი ტერორი მძინვარებს; იჭერენ ყველას და განსაკუთრებით სამხედრო პირებს. ჩოლოყაშვილი პირველთაგანი სწერია დასაჭერ პირთა სიაში, - დაგვიანება აღარ იქნებოდა და 1922წ. მარტის 12 ს თავისი „საქართველოს შეფიცულებით“ ჩოლოყაშვილი ტყეში ვადის.

ეს ნიშნავდა ბოლშევიკურ რუსეთთან ონის გამოცხადებას. მალე, იმავე წლის ივნისში, ქალაქ სიღნაღთან, ბოლშევიკების ძალებთან დიდი შეტაკებაც მოუხდა და დაიწყო ის გმირული ეროვნული ბრძოლა, რომლის დროშა ჩოლოყაშვილი იყო.

ამ დღიდან ქართველი ერის გულისყური, მისი მამული-შვილური ზრახვა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, მის გმირულ რაზმთან და იმ სხვა რაზმების მოქმედებასთან იყო გადაბმული, რომლებიც მისი გასვლის შემდეგ, საქართველოს სხვა კუთხეებში გაჩნდნენ. ვისაც მამულისათვის გული უცემდა და ბრძოლისათვის მკლავი უჭრიდა - ქაქუცასაკენ იწვედა. მაგრამ პარტიზანული ბრძოლის სისტემა ნებას არ იძლეოდა, რომ ჩოლოყაშვილს დიდი რაზმი ჰყოლოდა, ან ყველა ეს რაზმები ერთად ჰყოლოდა, ბრძოლისათვის მნიშვნელობა ქონდა არა მარტო მებრძოლ რაზმში ყოფნას არანედ კარგად მოწყობილ კავშირს; სურსათისა და იარაღის მოწოდებას, საიმედო ბინების ქონას, პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობას და საზოგადოთ, ხალხის დახმარებას. ხალხის სიმრავლე აი აქ სჭიროდა ამ ძნელსა და რთულ საქმეს, და ბრძოლის მსურველთა ამ უამრავლობამაც, აი ეს ფუნქციები დაინაწილა; შეიქმნა და გაიზარდა ქვემარბტად ის დიდი კავშირი ბრძოლისა, რომლის სიმტკიცე თვით ხალხის წიაღში იდო.

ეს ორგანიზაცია რომ მართლა ხალხური და მართლა ძლიერი იყო, „ხევსურეთის აჯანყების“ დროს გამოჩნდა, რონელიც 1922 წელს, თითქმის მთელ საქათველოს აჯანყებად არ იქცა. რუსის წითელმა ჯარმა ხევსურეთი ვადასწვა, მაგრამ ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი ვერ მოსპეს.

შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა ჩოლოყაშვილს დროე-

ბით უნდა შეენელებია თავისი მოქმედება. ამით ისარგებლა მან და ჩაჩანში გადავიდა, რათა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებთან კავშირი გაეხა. იმავე წლის ღვინობის თვეში საქართველოში დაბრუნდა და ბოლშევიკებმაც განაახლეს მისი დევნა.

ერთი შეტაკების დროს მოკლული იქმნა მისი ძმა სვიმონი (სიკო), რომელიც გასვლისთანავე მის რაზმში იმყოფებოდა. ქაქუცამ ძმა ტყეში დამარხა და ბრძოლა განაგრძო. კიდევ სხვა შეტაკების გამო, რომლის დროს ბოლშევიკების მდევარი სასტიკად დაამარცხა, დატუსაღებული იქმნა მისი მეუღლე და ორი მისი პატარა ასული. გაშმაგებული ბოლშევიკები მისი ასულის ცოცხლად დათარხვას მოითხოვდნენ. ეს აღარ მოხდა, მაგრამ სამაგიეროდ დაატუსაღეს ჩოლოყაშვილის დედა, მისი სიდედრი და სიმამრი. ეს უკანასკნელი, 1924 წლის აჯანყების დროს დახვრიტეს კიდევ.

1923 წლის ქრისტესშობის თვეს, ჩოლოყაშვილი თავის ორი შეფიცულით თბილისში გაჩნდა. ეს ყველაზე თამამი ნისი საქციელი; - ეს ჩამოსვლა გამოწვეული იყო დამოუკიდებლობის კომიტეტთან მოსალაპარაკლებად და აჯანყების საერთო გეგმის შესამუშავებლად. რა იცოდა ბოლშევიკურმა ჩეკამ, რომ ის ვისაც კიდით - კიდემდე ეძებდა, ერთი კვირა თბილისში ცხოვრობდა, ახალის გეგმით და ახალის ენერგიით ტფილისიდან შვიდობით გავიდა?.

დადგა ბოლოს 1924 წელიც. ჩოლოყაშვილი მანგლისის შიდამოებში დაბანაკდა და ტფილისიდან გამუდმებული კავშირი ჰქონდა. 24 აგვისტოს, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე ტფილისიდან ჩოლოყაშვილის ბანაკში გავიდნენ.

28 აგვისტოს, ბედენის მთაზედ, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ს თავმჯდომარემ კ. ანდრონიკაშვილმა ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილს ატანყების დროშა გადასცა და იმავე ღამით დაიწყო აგვისტოს გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში.

ეს აჯანყება დამარცხდა. ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმელებმა საქართველო დასტოვეს. აღარ არის თვით ჩოლოყაშვილიც, მაგრამ დროშა, რომელიც მას ეჭირა ისევ ფრიალებს; ხმალი რომელსაც ის იქნევდა ისევ ელავს. მისი სახელი სამუდამოდ გადანებულია ქართველი ერის ბრძოლების ისტორიასთან თავისუფლებისათვის და ამ ისტორიაში ის შევა როგოც მისი ბრწყინვალე ეროვნული გმირი!

„სამშობლო“ №8.

შალვა ამირეჯიბი.

მე რომ ბედი ქჷნებოდა,  
 აგვისტო არ დადგებოდა.  
 ვინც მიყვარდა, ის მომიკლეს,  
 მეტი რაღა იქნებოდა!  
 მეკუბოვე! კუბოს ნუ თლი,  
 მესაფლავე! ნუ ხარ ფლიდი,  
 არ მომკვდარა ჩემი სატროფო  
 და იმისთვის საფლავს ნუ თხრი.

**ხალხური**

ლამემ გრიგალი განიმეორა,  
 შემოიმღვრია ღრუბლების ჯარი,  
 თითქოს დაადგეს გულს გუმბათებად  
 განცდა ოცნებით ნაბილიკარი.  
 ვემორჩილები 'შავ ბედისწერას,  
 მიწას მკერდ გახსნილს ცეცხლის ღილებად,  
 რა მიზანი აქვს ლექსების წერას,  
 თუ არ სიმართლის ქვეყნად მხილება!  
 ვის რას ვერჩოდით! ვინ რას გვერჩოდა!  
 როცა სიცოცხლის სისხლი დაგღვარეთ!  
 რისთვის გაგვწირა ჩვენ ჩრდილოეთმა!  
 გთხოვთ შეეკითხოთ თებერვლის ღამეს.

— მზეს ქარიშხალი მოასკდა ოხვრით,  
 ზეცამ გრიგალი განიმეორა  
 და მოჩვენება სიკვდილის ჩონჩხი,  
 აძლევდა მიწას სამხედრო სალამს.  
 ავარდა ტალღა უეცარ ომის,  
 გრიგალმა გმირებს ზურგიდან დაჰკრა  
 და საქართველო ახლად ნადგომი,  
 ცეცხლის თხრალებად გადაისანგრა.  
 რა მოხდა განა გაუგებარი!  
 სიტყვის გამტეხი წყეულ ქვეყნიდან,  
 როს საქართველოს ბედის მზვერავი,  
 ჩრდილოეთიდან შემოესია!  
 დაბრუნდა დროთა განმეორება  
 შევლს ვერ შევლოდა სისხლი ნუკრების,  
 წმინდა გიორგის ფიცის თავდებად,  
 ემსხვერპლებოდნენ მტერს იუნკრები.  
 დამგლოვიარდა დროშა სამფერი,  
 დამარცხდა ჯარი, თავს არვინ ხრიდა,  
 გადაიმალა გულში ქართველი,  
 გულ - დაისრული თებერვლის დღიდან.

როცა ოცნებით გადაშლი ფურცლებს,  
 მოგონებები გულს მოაწყდება,  
 ძვლების კორძიად მიწა ცას უცქერს,  
 განწირულ გმირთა გამოდის წყება.  
 წინ მიუძღვება თეთრი რაინდი,  
 წმინდა ლაშარის ნაკურთხი ხმალით,  
 ჩოლოყაშვილი, მთების არწივი,  
 აგვისტოელთა მთავარსარდალი.

შეფიცულთ გუნდი მტერს შეემიზნა,  
 ცამ გადასახა ვაზისა ჯვარი,  
 გულს ამოჰქონდა ქვეყნის დიდება,  
 ვით უცოდველა თეთრი ხანჯალი.  
 ქართული მოდგმა სიმართლით მძლეობს,  
 ქართული სისხლი, დედის აკვანი,  
 იწევდა მტერზე მხნე საქართველო,  
 ერთი კაცივით ნაქანდაკარი.  
 ამხედრდა ხალხა გარეთ და შიგნით,  
 სოფლები აღსდგა ცეცხლის ძალებად,  
 რუსული ხიშტით ღამე ნაშიგნი,  
 ჩამოდოდა სისხლის ღვარებად.  
 ბრძოლაში მოჰკლეს სოფლისა ბიჭი,  
 დახრილი მთები ჰკრეფდა იარაღს,  
 გამარჯვებაში არ იყო ეჭვი,  
 მაგრამ ქალაქმა დაიგვიანა.  
 იმ ბნელ ღამეში საბურთალოზე,  
 იდგა სიჩუმე და დროთა ხიდი,  
 მიწა ბადებდა შავ ანგელოზებს,  
 საუკუნეთა დგებოდა რიგი.  
 ბრძანება — ცეცხლი — სუნთქვა შეჩერდა  
 განგების ძალამ დაიწყა ღელვა,  
 ხელებ გაკრული ტუსაღებიდან  
 ცამ შეიხიზნა სულის სიმღერა:

**ჯალათებო! დავეცემით,**  
**დავეცემით მშაბელ მიწას,**  
**დედა ღმერთის თეთრი ცრემლი**  
**ჩვენ მიგვიღებს, არ გაგვწირავს.**  
**გვედარებით მეუფეო,**  
**წმიდა ქვეყნის საღმრთო რჯულსა!**  
**ნუ გასწირავ ჩვენ ქვეყანას,**  
**ქრისტეს ჯვარით დატანჯულსა;**

თვალწინ ვხედავთ სასაკლავოს,  
ძვლებში აქნილ განსაცდელსა,  
გაუმარჯოს საქართველოს! ..  
გაუმარჯოს ქართველ ერსა!

ტყვიამ დაცხრილა ხმა სამაისო,  
სიკვდილის შიშით გადაუმშრალი,  
ქართული მიწა ძვლებით აივსო,  
ქართული მიწა ნაჯაშუშარი.

ბრძოლა მომავალს გადაეხიზნა.  
გამარჯვებული იდგენ ბრბოები,  
ამოეფარა სამშობლო მიწას  
ათი ათასი აგვისტოელი.  
ალარც მზე იყო და ალარც მთვარე,  
ლამე ეკიდა შავი რქებივით  
და ჯალათები ქალაქის გარეთ  
მოსჩანდნენ წითელ წერტილებივით.

გ. ყიფიანი — 1922წ.

## კარლო ინასარიძე

### ა ბ ვ ი ს ტ ო ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა

აჯანყება, თუ ის ერის გულიდან, როგორც ვულკანი ამოხეთქავს, როგორც ეს საქართველოში 1924 წლის 28-29 აგვისტოს მოხდა, - თავისუფლებისათვის თავგანწირვის უკიდურესი ფორმაა, რომლის ფიზიკური დამარცხება შეუძლებელი, ნაგრამ იდეურ - მორალური დამარცხება შეუძლებელია.

— 1 —

1924 წლის 28 — 29 აგვისტოს აჯანყების 60 წლისთავთან დაკავშირებით, მაგონდება ერთი ამბავი:

— სისხლი უნდა დაიღვაროს, მტერმა კედელზე უნდა მიგვაყენოს, თორემ მივიძინებთ, და ეროვნულ თავისუფლებას ვერ ველირსებითო, - თქვა სამიდან ერთმა ახალგაზრდამ, ოთხმოციან წლების დასაწყისში, პარიზში, საქართველოს, ქართველი ერის ბედ - იღბალზე საუბრისას, რომლის მოწინე, სრულიად შემთხვევით, მეც გავეხდი..

— ჩვენ, როგორც ელინისტურ - ქრისტიანული სამყაროს განუყოფელმა ნაწილმა, უნდა დავეყრდნოთ დასავლეთის დემოკრატას, რომ ეს ქვეყნები დავაინტერესოთ საქართველოს ეროვნული თავისუფლების პრობლემით და ამ გზით უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება, - თქვა ნეორე ახალგაზრდამ.

— საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მოპოებისათვის ყველაზე უფრო რეალურია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობიდან გამოსვლა: საქართველომ, როგორც საბჭოთა კავშირის ერთერთმა მოკავშირე რესპუბლიკამ, ყოველი ძალით და ღონით, ყოველი კანონიერი მოქმედებით უნდა შეეცადოს, ჯერ სხვა კომუ-

ნისტური ქვეყნების - ბულგარეთის, უნგრეთის თუ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრივი სტატუსის მოპოვებას, და ამ გზით საერთოშორისო ასპარეზზე განოსვლას, ხოლო შემდეგ - უნდა შეეცადოს თანდათანობით დაამყაროს დემოკრატიული წესწყობილება საქართველოში, - თქვა მესამე ახალგაზრდამ.

— 2 —

მეორე ფაქტი:

**იასე ფალავანიშვილი:** ბატონებო! ვინაიდან ყველამ ვიცით ის ნიზანი, რომლისკენაც მიმართულია ყველა ჩვენთაგნის აზრები, ვიყოთ გულახდილნი. დღეიდან ჩვენ მეგობრები ვართ, ჩვენ შორის არაფერი არ უნდა იყოს დამალული. დრო ჩვენთვის ძვირფასია; ისტორია გვიჩვენებს, რომ დავვიანებას ყოველთვის საქმე ჩაუშლია. ჩვენ ეხლა ვსთხოვთ ყველას, რომ გამოსთქვან თავისი აზრი საშუალებების შესახებ, რომ, . . . .

**დიმიტრი ერისთავი:** - რომ საქართველო განვათავისუფლოთ რუსეთისაგან, ცხადია.

**ელიზბარ ერისთავი:** - ხომ გაიგეთ, ბატონებო! აი მიზანი ჩვენი შეკრების. ინებეთ გამოთქვათ თქვენთქვენი აზრი ....

ასე დაიწყო ერთერთი ფარული სხდომა ტფილისის გუბერნატორის ფალავანიშვილის სახლის ქვემო სართულში, გუბერნატორის ძმის ია ფალავანიშვილის თავმჯდომარეობით. ეს 1832 წლის დეკემბრის 9 - ს შეთქმულება, მისმა ერთერთმა მთავარმა ორგანიზატორმა იასე ფალავანიშვილმა გასცა. დააპატიმრეს ას - ორმოცდა - ათამდე მონაწილე, ეროვნული შემადგენლობისა მიხედვით, ქართველების გარდა ამათში იყო: თათარი, სომეხი, უკრაინელი, პოლონელი, და ბრალი ედებოდა აგრეთვე ფრანგსაც კი. (გ. ნოზაძე: „კავკასიონი“, პარიზი 1932, ნომერი 8 ) „ეს მოძრაობა განმეორება თუ არა, უეჭველი გამოძახილია ნაინც საერთოდ იმ დროის ევროპაში გავრცელებული ლიბერალური იდეებისა . . .“ (გ. გოზალიშვილი: „1832 წლის შეთქმულება“ 1935წ.)

— 3 —

მესამე ფაქტი:

**1924 წლის 28 - 29 აგვისტოს აჯანყება საქართველოში.**  
„ . . . რით იყო გამოწვეული ეს აჯანყება?“ ქართველი ერის ახელმწიფოებრივი უფლებების აღსადგენათ და დასაცავათ მოვალე იყო გამოსულიყო როგორც ნაციონალისტები ისე სოციალისტები. და ნართლაც, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეერთდნენ ყველა ქართული პოლიტიკური პარტია: სოციალდემოკრატები, ნაციონალდემოკრატები, სოციალფედერალისტები, სოციალრევოლუციონერები, და დამოუკიდებელი სოციალდემოკრატები (სხიველები) . . . მათგან დაარსებულმა დამოუკიდებლობის კომიტეტმა გადაწყვიტა 1924 წლის აგვისტოში აჯანყების მოხდენა . . . ეს აჯანყება იყო ეროვნული, მასიური, ძლიერი . . .“

ასე განუცხადა, სხვათაშორის, დამოუკიდებელი კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე ანდრონიკაშვილმა „გერმანულ დელეგაციას“ მეტეხის ციხეში, 1925 წლის 5 აგვისტოს 1924 წლის 28 - 29 აგვისტოს აჯანყების მიზნის შესახებ.

— 4 —

ამგვარად აღნიშნული სამი ფაქტიც ადასტურებს, რომ ქართველი ხალხის მიზანი იყო, არის და რჩება ეროვნული თავისუფლების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მიღწევა, შენარჩუნება, განმტკიცება. ქართველი ხალხი და მისი ხელმძღვანელობა ამ მიზნისათვის იბრძოდნენ, საქართველოს უახლოესი ისტორიული ფაქტები რომ მოვიგონოთ, 1832 წელს, 1924 წელს და დღესაც, საბჭოთა საქართველოს პირობებში არსებული შესაძლებლობის ფარგლებში. მიზანი რჩება უცვლელი, ტაქტიკა ბრძოლისა კი სხვადასხვაგვარი იყო და დარჩა, გამომდინარეობდა რა ყოველთვის არსებული საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის რაობიდან.

საქართველოს, ქართველი ხალხის ბრძოლამ დამოუკიდებლობისა და სუვერენობისათვის განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო იმის გამო, რომ რუსეთის მთავრობამ საქართველოსთან ორჯერ დადო საერთაშორისო ხელშეკრულება - ჯერ - 1783 წლის 24 ივლისს და - შემდეგ - 1920 წლის 7 მაისს და ორივეჯერ ცალმხრივად დაარღვია ეს ხელშეკრულებები, იარაღის ძალით დაიპყრო საქართველო და იგი რუსეთის პროვინციად აქცია. 1783 წლის ე. წ - ლი „გიორგევსკის ტრაქტატი“ რუსეთის მთავრობამ დაარღვია, როგორც ცნობილია, 1801 წელს და საქართველოს ანექსია მოახდინა, ხოლო რუსეთ - საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება 1921 წლის თებერვალ - მარტში დაარღვია, როცა საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა საქართველოს და იგი ისევ რუსეთის პროვინციად აქცია.

და თუ საქართველოს 1801 წლის ანექსიას ქართველი პატრიოტების 1832 წლის შეთქმულება მოჰყვა და მთელი მე -19 საუკუნის განმავლობაში აჯანყებები არ ცხრებოდა, დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის თებერვალ - მარტში დაპყრობის შემდეგ ქართველი ხალხი არაერთხელ ანხედრდა უცხო ბატონობის წინააღმდეგ, რომლის კულმინაციური წერტილი აჯანყება იყო.

ანდენად, ქართველმა ერმა რუსეთის მთავრობის ნდობა, მასთან კეთილმეზობლური კავშირის დამყარების იმედი დაჰკარგა და იარაღს ნოკიდა ხელი. აჯანყება კი, როგორც ავღნიშნეთ, თუ ის ერის გულისაგან, როგორც ვულკანი - ამოხეთქავს, როგორც ეს მოხდა საქართველოში 1924 წლის 28 - 29 აგვისტოს, თავისუფლებისათვის თავგანწირვის უკიდურესი ფორმაა, რომლის ფიზიკური დამარცხება შესაძლებელი, ნაგრამ პატრიოტების მორალური დამარცხება შეუძლებელი.

— 6 —

„ქართველი ერი მუდამ ბრძოლით მიდიოდა სიცოცხლის გზაზე. ის ხან იმარჯვებდა, ხან მარცხდებოდა. დამარცხება მას გულს არ უტეხდა, გამარჯვება არ აბნევდა. ქართველმა ხალხმა სისხლით დასწერა ცხოვრების ფურცლებზე, რომ სურს იყოს თავის თავის პატრონი, თავის ქვეყნის ბატონი. ბორკილებდადებული დემოკრატია ამტკრევს ჯაჭვებს და აცხადებს თავისუფლებას . . დემოკრატის გამარჯვება, ხალხის გაბატონება თავისთავად ნიშნავს მოსკოვის საქართველოდა განდევნას, დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენას . . . დიახ, საქართველო მაინც ბრუნავს! ეს ნათელჰყო აგვისტო - სექტემბრის ამბებზე მსოფლიოს გამოხმაურებამ . არც ერთ პატარა ერს არ ღირსება ასეთი საყოველთაო თანავრძნობა . . . საქართველოს საკუთხეველზე დიდი მსხვერპლია მიტანილი; იქ ანთებუ-



ლია ლამპარი სისხლით მორწყული; იქ ირეკება გლოვის ზარი; იქ ილოცება წამებულთა წინაშე და იდება ფიცი, ფიცი გაუტეხარი . . . “ ასეა ნათქვამი სხვათა შორის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის - ნოე ჟორდანიას მიმართვაში ქართველი ერისადმი, რომელიც გამოქვეყნდა პარიზში 1924 წლის ნოემბერში, თავის შენაჯამებელ წერილში „რა მოხდა“ კი, რომელიც პარიზში, 1925 წლის 15 იანვარს გამოაქვეყნა, ნოე ჟორდანია დაასკვნის:

„დამოუკიდებელმა საქართველომ შინჯა ერთი გზა ტყვეობისაგან განსათავისუფლებლათ, საკუთარი ძალღონით მოსკოველთა განსადევნად მიზანს ვერ მიაღწია. ეს საშუალება არ გამოდგა მიზანშეწონილი. მაგრამ დარჩა სხვა გზები, სხვა საშუალებები, გაცილებით უფრო მჭრელი და ძლევაძმოსილი. ეს არის საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო კრიზისი . . . ხუთიათასი უმანკო მსხვერპლი ჩვენ შემოგვეყურებს; ხუთი ათასი გათხრილი საფლავი ჩვენ გვიწოდებს ერთგულებისაკენ. მებრძოლი ერი არ დაივიწყებს მათ მცენებას . . .“

— 7 —

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად აჯანყება მოხდა 1924 წლის 28 აგვისტოს“, ამბობს სოლომონ ზალდასტანიშვილი (საქართველოს 1924 წლის ამბოხება, ნიუნხენი 1956წელი.) „1920 წლის 7 მაისს რუსეთის მთავრობამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დასდო მასთან საზავო ხელშეკრულება, მაგრამ 1921 წლის 11 თებერვალს რუსეთმა ხელშეკრულება დაარღვია და საქართველოს თავსდაესხა. ბოლშევიკურ რუსეთთან ბრძოლამ ერთ თვემდე გასტანა, მაგრამ უნაყოფოდ. მარტის ნიწურულში რუსეთმა მთელი საქართველო დაიპყრო. ქართველმა, როგორც მე - 19 - საუკუნის დასაწყისში ვერ აიტანა რუსების ბატონობა და იარაღით ხელში ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა. მისი მიზანი იყო რუსებისაგან საქართველოს განთავისუფლება“ (გვ. 16). „აჯანყების გეგმა იყო შემდეგი: პირველი და მთავარი გამოსვლა უნდა მოეხდინა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს დეშეთში, როცა თბილისიდან მის წინააღმდეგ გაგზავნილი რუსული ჯარი მას ბრძოლაში ჩაებმებოდა. მცხეთის მხრივ მ. ლაშქარაშვილი თავისი რაზმით ზურგში დაარტყამდა, ამით მტრის რიგებში მოახთენდნენ არეულობას და შეერთებული რაზმებით, ქაქუცას მეთაურობით თბილისს მიაღებოდნენ. ამავე დროს აჯანყება უნდა მომხდარიყო: გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლში და კახეთში“ (გვ. 18). „1922 წლის ზაფხულში ხალხში უკმაყოფილება გაძლიერდა. აქა - იქ პატარა გამოსვლებიც მოხდა. ზოგი პროვინციები საერთო გამოსვლების დაწყებას თხოულობდნენ. 1922 წლის აგვისტოში აჯანყება მაინც მოხდა. გამოვიდა კახეთი და ხევ-

სურეთი.“ „1923 წლის იანვარში უკვე ყველა პარტიებმა ხელახლად გააჩაღეს მუშაობა და მთელ საქართველოში მას მისცეს ორგანიზაციული ხასიათი.“ „აჯანყება უნდა დაწყებულიყო მთელ საქართველოში ერთ დღეს, ერთ საათს; უეცრივ და შეუჩერებლად უნდა ემოქმედათ, სანამ მტრის რიგებში დემორალიზაცია არ მოხდებოდა“. „მთავარსარდლად გენერალი ს. ჭავჭავაძე ყველასათვის მისაღები იყო. დამკომის (დამოუკიდებლობის კომიტეტის) თავმჯდომარე გ. ანდრონიკაშვილმა მასთან მოლაპარაკება იკისრა. მალე მისგან თანხმობა მივიღეთ. შესდგა სამოქმედო შტაბი“. „საერთაშორისო ნდგომარეობა ხელს უწყობდა აჯანყებას. „გარემოება ისეთი შეიქმნა, რომ ჭიათურაში 24ს. ადრე გამოსვლამ დრო და ინიციატივა მოქმედებისა ჩეკას და ხელისუფლებას გადასცა. იმავე დღეს, ე. ი. 28 აგვისტოს განოაცხადეს სამხედრო წესები . . .“ „4 სექტემბერს მცხეთის მიდამოებში დაიჭირეს კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი . . . 5 სექტემბერს ორივე აიძულეს ხალხისათვის მიემართათ, რომ აჯანყება დამარცხებულია . . .“ „ასე დამთავრდა 1924 წლის აჯანყება.“

— 8 —

„გამარჯვებულმა და სისხლით დამთვრალმა ხელისუფლებამ - წერს ვალიკო ჩუბინიძე (მოგონება, პარიზი, 1953-წ.) - მუსრი გაავლო ქართველ მოსახლეობას. ძუძუმწოვარა ბავშვებითურთ ამოყლიტა რამდენიმე გვარეულობა - ფანიაშვილები, კლიშიაშვილები და მამაცაშვილები სოფელ რუისში (გორის მაზრა)“. „ჯალათის სისხლიანი ხელი სწვდება შორეულ ჩრდილოეთის სუზღალის ციხეში მჯდომთ: ხომერიკს, ჩხიკვიშვილს, ჯალავას, ნოდისს, წინამძღვარიშვილს და ქართველი ერის საუკეთესო შვილთ სიცოცხლეს უსპობს . . .“ (გვ. 235 - 236) „მთელ საქართველოში დახვრეტილთა და დახოცილთა რიცხვი, რამდენათ ჩვენ შევძელით პატიმართა ცნობებით გამოგვერკვია, აღწევს სამი ათას ცხრაას თვრამეტ კაცს“. (გვ. 243)

— 9 —

როგორ ეპყრობოდნენ აჯანყებულები ტყვედ აყვანილ კომუნისტებს? „უნდა ავღნიშნოთ, განუცხადა კოტე ანდრონიკაშვილმა „გერმანელთა დელეგაციას“ 1925 წლის 5 აგვისტოს, რომ შეამბოხენი ლმობიერად ეპყრობოდნენ ტყვედ აყვანილ კომუნისტებს. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ტყვედ წაყვანილი კომუნისტის დახვრეტისა. ცენტრიდან ბილებული იყო სასტიკი დირექტივა, რომ ასეთ დახვრეტას ადგილი არ ჰქონოდა და ეს კიდევაც სრულდებოდა“.

ამგვარად, ბოლშევიკებმა, 1924 წლის 28 - 29 აგვისტოს სახალხო აჯანყების დამარცხების შემდეგ, აჯანყებულთა დაუნდობელი ფიზიკური განადგურებით, მათი შერიგების

შემდეგაც.) დადასტურეს ნოე ჟორდანიას ცნობილი შეხედულება წარმოთქმული 1919 წლის 12 დეკემბერს სახალხო გვარდიის პირველ ყრილობაზე: „არის ორი გზა, ჩვენი და რუსეთის; ორი პოლიტიკური და კულტურული — ერთი გზა არის ანტი დემოკრატიული და მეორე გზა არის დემოკრატიული. . . აქედან — თქვენ დაინახავთ, აქტი 26 მაისისა, ეს არის დიდი ისტორიული აქტი, აღმოცენებული არა შემთხვევით, არამედ დიდ ისტორიულ აუცილებლობაზე და ფაქტზე“. და 1918 წლის 26 მაისის, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენა იყო 1924 წლის 28 - 29 აგვისტოს სახალხო აჯანყების მიზანი, რომლის დროს ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის აღსადგენად, შეებრძოლა ბოლშევიკურ რუსეთს, რასაც მოჰყვა რუსების სისხლიანი ტერორი, უდანაშაულო და შერიგებულ ხალხთა წინააღმდეგაც კი.

— 11 —

1924 წლის 6 სექტემბერს, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავჯდომარემ ნოე ჟორდანიამ ერთა ლიგას შემორანდუმი გადასცა, რომელშიც ნათქვამია:

„საოკუპაციო ხელისუფლებისაგან სამი წლის უმაგალითო ჩაგვრით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხი აჯანყდა. ათი დღეა სწარმოებს გააფთრებული ბრძოლა მოსახლეობასა და რუსის ჯარს შორის. სწვავენ სოფლებს, გაუსამართლებლად ხვრეტენ დიდი ხნიდან დატყვევებულ პოლიტიკურ ტუსადებს. ხალხი იბრძვის ეროვნულ დამოუკიდებლობის აღსადგენად, რომელიც მოსტაცა მას მოსკოვის მთავრობამ, გათელა რა საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება. ვთხოვ ერთა ლიგას, რომლის დანიშნულებაა საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება და სისხლიანი ბრძოლების შეჩერება, ჩაერიოს ამ საქმეში და წინააღმდეგა მისცეს მოსკოვის მთავრობას, რომ შეაჩეროს სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო კონფლიქტის მოგვარება გადაეცეს საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს“.

(„ბრძოლა“, 1925 წლის სექტემბერი, ნომერი 3 გვ. 29).  
ყების დაწყებას. . . „1924 წლის 24 აგვისტოს ხუთმა კაცმა დაადგინა: აჯანყება დაიწყო 29 აგვისტოს, 2 საათზე. . .“  
„ჭიათურა 28 აგვისტოს დილით, 2 საათზე გამოსულიყო და აჯანყებულ ხალხს ქალაქი დაეკავა, ე. ი. ჭიათურა გამოვიდა 24 საათით აღრე. . .“

— 12 —

მესამე ახალგაზრდის შეხედულება კი ესიტყვება 1956 და 1978 წლების მოვლენებს საქართველოში:

1956 წლის 9 მარტს თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ჩატარდა ახალგაზრდების დემონსტრაციები სტალინის გადაცვალების მესამე წლისთავთან დაკავშირე-

ბით, რომლის დროს ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ კონპარტიის მეოცე ყრილობაზე „პიროვნების კულტის“ დაგმობით გამოწვეული დემონსტრაცია ეროვნულ დემოკრატიაში გადაიზარდა, რომლის დროს დემონსტრანტებმა, რომლის უმრავლესობა სტუდენტები და ახალგაზრდა მუშები იყვნენ, ეროვნული ლოზუნგებიც გადმოისროლეს, რასაც მოჰყვა სისხლის ღვრა, როცა საბჭოთა სპეციალურმა ნაწილებმა მშვიდობიან დემონსტრაციებს ცეცხლი გაუხსნეს, როგორც დასავლეთელი კორესპონდენტები იტყობინებოდნენ თბილისიდან, ორასზე მეტი ახალგაზრდა იქნა მოკლული.

— 13 —

რას გვეუბნება დასაწყისში აღნიშნული ფაქტი? ჩემის აზრით, აღნიშნული სამი ახალგაზრდას შეხედულებები ესიტყვება საქართველოს ისტორიის უახლოეს სამ მოვლენას: დასავლეთური დემოკრატიული წესწყობილების დანერგვის ქართული ვარიანტი იყო და დარჩა 1918 წლის 26 მაისი.

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის ისევე აღდგენა კიდევ უფრო მეტი იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპული პარლამენტარული დემოკრატია იდეების დანერგვა საქართველოში, ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობა დაეყრდნო არა მარტო უფლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების სამი სვეტის - კანონმდებლობას, მართველობისა და მართლმსაჯულების, ურთიერთ დემოკრატიულ კონტროლს თუ მეთვალყურეობას, რაც ჩანოყალიბებულია დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში, არამედ - მას ზევით - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა განსახიერება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსი, რომელშიც ერისა და პიროვნების თავისუფლება დაკავშირებული იქნა სოციალურ სამართლიანობასთან. გავიხსენოთ პირველი (საბჭოთა) ახალგაზრდის შეხედულება.

— 14 —

სისხლი დაიღვარა, კედელზე ნიგვაყენა მტერმა 1924 წლის 28 - 29 აგვისტოს აჯანყებისას, ვინაიდან, როგორც დაინახეთ ეროვნული თავისუფლების მიმტაცებელმა, ჩვენი ეროვნული თავისუფლება უგულებელჰყო ისე მკაცრად და დაუნდობლად, რომ ქართველი ხალხი იძულებული გახდა უცხო დამპყრობელების წინააღმდეგ იარაღით ხელში აღმსდგარიყო.

— 16 —

1978 წლის 14 აპრილს კი თბილისში ჩატარდა ქართული ენის, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენის დაცვისათვის დემონსტრაცია, რომლის დროს მოსკოვისა და საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ იარაღი კი არ გამოიყენა მშვიდობიანი დემონსტრაციების წინააღმდეგ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1956 წლის

მარტში, არამედ დემონსტრატთა მოთხოვნილება დააკმა-  
ყვილა, რის შედეგად საქართველოს კონსტიტუციაში ქა-  
რთული, ენა როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა,  
ისევე შეტანილი იქნა.

— 17 —

რას გვეუბნებიან საქართველოს ისტორიის აღნიშნული  
უახლესი ფაქტები? ეს ფაქტები, უთუოთ გვასწავლიან:

ქართველი ხალხი საქართველოს სახელმწიფოებრივი  
დანოუქიდებლობის, ეროვნული თავისუფლების, მოპო-  
ებისათვის ყოველთვის გამოდიოდა არსებული მდგომარე-  
ობიდან, რომლის დროს საქართველოს საშინაო და საერთა-  
შორისო მდგომარეობა განსაზღვრავდა მოქმედების ხაზს,  
და ქართველი, ხალხი, როგორც სჩანს არა მარტო ეროვნუ-  
ლი ძალების დაზოგვის მიზნით. მოვიდა ამჯერად, აჯანყე-  
ბიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე, რაც იმაზე მეტყვე-

ლებს, რომ ქართველი ხალხი თვით განსაზღვრავს ადგილ-  
სე თავის მოქმედების პოზიციას, და მას არსებულ კონკრე-  
ტულ მდგომარეობას შეუფარდებს. ქართველი ხალხის ამ-  
გვარმა გონიერმა მოქმედებამ დაბადა 1918 წლის 26 მაისი,  
და ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტით, ე. ი. სა-  
ქართველოს დანოუქიდებლობისა და სუვერენობის ისევე  
აღდგენით..

1924 წლის 28 - 29 აგვისტოს ეროვნულ აჯანყების 60  
წლისთავზე ქედი მოვიხაროთ დალუბულ გმირთა წინაშე,  
რომლებმაც ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის მეთაუ-  
რობით თავი შესწირეს საქართველოს, ქართველი ერის  
უკვდავებას. საუკუნო იყოს ხსენება მათი!

კარლო ინასარიძე

ლევოლი — 1984წ.

## ნიკოლოზი და გალაქტიონი



ცა წამებულთა სულის სანათი,  
მზე სისხლიანი წვიმების კვირა,  
გზაჯვარედინზე ჭრისტეს ხალათი,  
საფლავები და სიჩუმის შინვა.  
შავი მერანი — ბედი ქართლისა,  
მე და ღამე და ლურჯა ცხენები.  
არ გათენება დიდი ღამისა,  
ცად ააქრობილი ცივი ხელები.  
მეფეთა ჩვენთა განვიდნენ ღრონი,  
სხვა ღრო დაგვიდგა და სხვა ნათება:  
თებერვლის ღამე, დაჭრილი მთვარე  
და სისხლიანი ამონათება.  
ხელშეკრულია — ხელშეკრულება,  
ფერთა ცვალება: წითელი — თეთრი.  
წარსულის ისევ შემოგრუდება:  
ეკატერინე და საბჭოეთი.  
სულის წამება აწ კი გვეუფა,  
დაჯვარედინდა ჟამთა სტრიქონი:  
ორი პოეტი, ორი ეპოქა  
ნიკოლოზი და გალაქტიონი.

ამ შაირების ავტორი პოეტი და მეომარი ილია შენგელია ყოფილი ლეგიონერია. იგი ომის დამთავრების წინახანებში ვერონაში (იტალია) მდგომ ქართულ ბატალიონში ირიცხებოდა, რომელსაც კაპ. მიხ. დადიანი მეთაურობდა. ლექსები ამოღებულია მისი პირადი დღიურიდან, დავით ურატაძის მიერ შექმნილ ნიკო ნაკაშიძისეულ წიგნებში აღმოჩნდა. დღიური დაწყებულია 1944 წლის 26 ოქტომბერს და უკანასკნელი აღნიშნული თარიღი 1946 წლის 14 აპრილია.

ომის დამთავრების შემდეგ, დღიურის ავტორი, ძოკავშირეთა სხვადასხვა ტყვეთა ბანაკში გავლის შემდგომ, სამოქალაქო ინტერნილებულთა ბანაკში აღმოჩნდა, კუნძულ ლიპარიზე. მასთან ერთად იყვნენ სხვა ქართველებიც, რომელთა შორის: ნიკო ნაკაშიძე, სერგო გაბუნია, მიტო სინჯიკაშვილი, გიორგი ლოლუა და სხვები. ამ ბანაკიდან ნიკო ნაკაშიძე, შენგელია და მისი ძმა, თავიანთი სურვილით ისევე მოკავშირეთა ბანაკში დაბრუნდნენ, საიდანაც საბჭოელებმა ძმები შენგელიები ძალით წაიყვანეს.

აქ მოტანილი ლექსები და გრიგოლ რობაქიძის წერილი, მხოლოდ ნაწილია დღიურისა. თვით დღიური ძვირფასი დოკუმენტია ქართველ ლეგიონერთა განწყობილების დასახებად.

**გულნარა პატარიძის ასული ურატაძისა**

**ი. შენგელიას** — თქვენს შაირებში ვამჩნევ არა მართა ნამდვილ პოეტურ აღქმევას საგნისა თუ შოვლენისა, არამედ მარჯვე ოსტატობასაც. განუსაზღვრელად მახარებს ეს ამბავი. თქვენი წერილი ქართულ სიმბოლიზმის შესახებ ორჯერ წავიკითხე გულდასმით. ღრმად და ვულისხმიერ არის იქ საკითხი განხილული. ვრცლად ვერ გწერთ, რადგან ანჟამად ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს სულიერად. ავლნიშნავ მხოლოდ ერთ დეტალს: ვალაქტიონ ტაბიძის სახის გამომეტყველების გადმოცენა ნამდვილი შედეგურია. გლოცავთ შორიდან, გისურვებთ ნათელ დღეებს ნუ მოგაკლოთ მადლი გამჩენმა! იყავით მხნედ და მზეგრძელი! გაუნიარჯოს საქართველოს! მრწამს ჩვენი პირველანადგენი კარდუ განთავისუფლებს

**თქვენი გრიგოლ რობაქიძე**

**ილია შენგელია**

**გრიგოლ რობაქიძე**

ჩვენ კარდუს სიკაჟე გულლებში გვინთია და ძმადნაფიცები ვართ ირუბაქიძის, ვიგზენით შენი ხმა მძლავრი და ფაქიზი ქართული შაირის გრძნეულო მინდია. ხმალი ხელთ გვიპყრია ივერის ვაჟკაცებს თუმც მცხეთა არა ჩანს და წმინდა მიზანი,

ქურუმის ღალადი ბრძენი და წირონი ოცნებით დაწულ მხნებას აკაჟებს. გვიმღერე! დადგება ნათელი ტაროსი, ავბედი ერთხელაც მოსისხართ ატირებს ერთხელაც იქნების პირისპირ შევევებით. თვალი კი უხანოდ დამშრალი წყაროსი მდინარედ წამოვა წავრავნის ნაპირებს, მითებმა დათვალონ ახალი გმირები.

**30 - 7 - 44 წ.**

**იტალია. - ნოვარა.**

**ცისარტყელა**

თუ წამწანებს ცრემლი ნამავს ერთ ვარსკვლავის ჩამქრულ ქიმზე ცისარტყელა თვალს გაახელს.

მაშინ გული სუნთქვას მალავს ცის უბიწი ასულს გიმზერ და სამღურავს არ გავამხელ.

ნეტავ შენ თუ გაგონდები, უხმატკბილეს ქართულ ნანას მოვიგონებ დავლონდები და წამწამებს ცრემლი ნამავს.

**18 - 6 - 44წ.**

**ვერონა.**

**ძმები**

შეცხვდით და დავთქვით რომ ტბილისში ერთად ჩავიდეთ რომ ჩავიტანოთ საქართველოს შვიების თილისმა, რომ განიდევნოს ქართულიდან სიტყვა: შავი დღე და სიხარული ნახოს თბილისმა.

შეცხვდით და დავთქვით თუ ინდომა ბედმა დაუნდომ წმიდა ზვარაკი, ვით კრწანისნა, როგორც დიდგორმა, ერთად მოვკვდეთ და თაობებმა ივრულონ ჩვენი „იყო და არა იყო რა“

**დედა და და**

დედამ თქვა: „ვაჟის აჩრდილო შვილი ბურანში ვნახე, მოვიდა იგი დაჭრილი, სისხლს შეეღება სახე.“

თქმა ამაყი და მწუხარე  
ტკბილად მეუბნა: დედი  
მწკავს საქართველოს ჩქუხარე  
და ცვალებადი ბედი.

მერმე გრიგალმა გადმოიარა,  
და უსაშველოს ბოლო არ ჰქონდა.  
ვაჟი უბედო ბედს ეზიარა  
ქალი ..... გათხოვდა.

21 - 3 - 46წ.

დამჭრეს მაგრამა ცალხელი  
ვიჩი მოვისვენებ წავალ  
ვაქაცის წმინდა სახელი  
მომცემს ჭრილობის წამალს!

უსმენდა საცოდავი დაჰ,  
ჰლამობდა ჰნალის ცრემლი,  
თქვა: თუ დაჭრილი წავიდა -  
დაგვიბრუნდება მრთელი!“....

დაჰ დედას გადაეხვია  
და მოიტირეს როცა,  
დედა ღვთისმშობელს ემთხვია  
დამ - ნინოს ჰკადრა, ლოცვა.

### ნატყვის თვალნი

პატარა ვიყავი ნატყვის თვალს ვეძებდი  
ბავშურად მაცდენდა, ბავშური ალლო,  
რად ეძებ ნატყვისთვალს ან ოქროს ფერები  
რათ გინდა ბალო.

ვეძებდი მთვარულ ნატყვში გართული.  
ვერ ვპოვე ნაღველმა დამატყო დალი  
და გვიან გავიგე: წალკოტი ქრთული  
ედემის ბალო.

ასე შორს რომ დამრჩა - ნატყვის თვალს ხატ -  
გავიგე და ნახლავს ტკივილი მეტი: ვდა!  
როცა ის ბავშური ცთუნება გათხოვდა -  
ბედი.

30 - 10 - 44 წ.

### ბათხოვდა

ვიამბოთ ივამიუწვდომელი  
უბრლოება და საოცრება  
ასრულებულა, აბა, რონელი  
ლადი სურვილი, ტკბილი ოცნება.  
ერთი სიკეთესრული სული  
სული - სინაზე - გული - ქველობა  
და სიყვარული წრეგადასული  
რჩეულ ჭაბუკს და ქორწილს ელოდა...

### მოკალული

ანკარა და ვერცხლის დასადარი  
ნაკადულო მარად მიიჩქარი.  
შენს ნაპირთან ვდგავარ შენზე ფიქრით;  
საიდან ხარ და საითკენ მიჰქარი?

ბნელი კლდიდან მოვჩუხჩუხებ აქეთ,  
ხავსთ და ყვავილთ ვიგებ ფიანდაზად,  
და ქანაობს ჩემს სარკეში ნაზად  
ლაჟვარდი ცის მეგობრული სახე.

ეს მალაღებს, მაძლევს ბავშურ გრძნობებს;  
არ ვიცი სად მინაქანებს იქით  
ვისაც ქვიდან ჩემი გამოხმობა  
სურდა, ალბად მიწინამძღვრებს იგი.

(გოეთე)

### დღიურიდან

ჩალის წისქვილების ტკბილი ყრიაშული  
სწრაფად მოსრიბლე ნავი ქალაქისა  
მეტი სიცელქე და გვიან სინანული  
მამის შეგონება დედის ღალადისი.

ბრძენი მანაჩემი დედა ანგელოსი  
ძილი - მოპარული ბებოს ზღაპრებითა  
გული მოყვარული ბნულით გარემოსილ  
დღეთა სიღუხჭირეს არას აყვედრიდა.

მერმე საზრუნავი: ყრმობა - მოწამლული  
ბედი - უბედური. მარცხი დღემრჩვალნი.  
აზრი მოშხამული . . . ცრემლი - მეწამული  
წითლად აღეწილი შმაგი ელმავალი.  
როგორც ქარიშხალი ფოთოლს მოიპარავს,  
ისე შემეჩება სრბოლვა ცოფიანი.  
და მე ჩიტისგულას ღმერთო დამიფარე,  
მითხრა კაცის მკვლეელი გახდი თოფიანი!

ჯერაც უნახავი, ვნახე საშინელი,  
წლები ავზნიანი ნეტავ არ ნენახა  
მიკვირს გულსრულობა ახლა ნაშინდელი  
როცა სიყვარული გულში დამემარხა.

ავგისტო 1944 - ნოვარა.

### სამლოცველო

იღუმლად გადმოსცქერის  
სამლოცველო ხეობას;  
კორდთან მწყემსი ბიჭი მღერის  
სიხარულს და ნხნეობას.

ნაღლა ზარი აზუზუნდა  
სულთათანა მოისმა  
მხიარული ხმა დადუმდა  
ყრმა ყურს უგდებს გლოვის ხმას.

იქ სამარე ელოდება  
მათ ვინც, ხევში ხარობდა  
იქ შენთვისაც ათრთოლდება  
ყრმაო, ერთხელ გალობა.

(უღანდ)

### ბარათი

რას მარგებს ვარდივით ჭკნებოდე ლოდინში,  
ბედისგან სიაფე რად ვამიკვირდება.  
გათხოვდი საწმობლოს ვაჟები სჭირდება,  
რას მარგებს ვარდივით ჭკნებოდე ლოდინში.

მიიღე ვით ლოცვა და მორცხვი ბოდინში  
ეს ბუნდოვანი და უღონო ბარათი.  
გათხოვდი მე დამრჩეს ტკივილი მარადი,  
რას მარგებს ვარდივით ჭკნებოდე ლოდინში.

### აპრილი ტყვეობაში

მახსოვს მაშინაც იყო აპრილი,  
და სიხარული მესიზმრებოდა  
ალვათა ტანი ცამდე 'აყრილი  
გულს ზეცისაკენ ეზიდებოდა.

მახსოვს მაშინაც იყო აპრილი  
ქართული ლალი ცა ჩვენებური  
ახლა მარტო ვარ ხუნდებგაყრილი  
უცხო დევნილი, შეჩვენებული.

ეჰ რა ვიცოდი თუ ის აპრილი  
ასე ქარით განიქრებოდა!  
ღმერთო ის სიტკბო აპრილს, ზღაპრული  
ღმერთო! ჰქონოდა რა იქნებოდა.

### ღმერთო ცოდვილო

ტეცხლის და სისხლის გზები ვიარე  
არ მითხოვია ერთხელაც შეველა  
ყვავილთ ვაფენდი გულის იარებს  
ახლა დაგესლეს ყვავილი ყველა.

ხუთი ბორბოტი თვალთ ელავდა  
ხუთი გრძელი და წყეული წელი  
ირგვლივ სიკვდილის ცელი ცელავდა  
რად არ შემეხო სიკვდილის ცელი.

რისთვის გადავრჩი? რან გამახაროს?  
მოწხამულია ყვავილი ყველა!  
წინ ნესტიანი ჭინდი მალაროს  
და ჭლექიანის მომელის ხველა.

ღმერთო შენ იცი არ მიტირია  
ბედი პირისპირ მხედებოდა როცა,  
მაგრამ ვინც ათჯერ გაგიწირია  
მისი ერთხელ რად არ გესნის ლოცვა.

ღმერთო! ეჰ, არა არ გევედრები  
შენც საცოდავი გწვევია ხვედრი  
ძალმილეული, გხედავ ბერდები  
ღმერთო! მებრალვი და არა გყვედრი.

შენც მოგერია ძველი ცოდვები  
შენს ნათელს ბნელი გადაეფარა,  
ჩვენ ერთად ვკვდებით და მეცოდები  
ღმერთო ცოდვილი არ გწყველი არა!

### სასიგღერო

ხეს გაახმობს არსის ერთი ძახილი,  
ზღვას დააშრობს არსის ერთი წყურვილი,  
გზას გეიწათებს მარტო ერთი სახელი,  
გვასულდგმულებს ნარტო ერთი სურვილი.

საქართველო დედა ღვთისა გფარავდეს,  
საქართველო ბედნიერი იქნები,  
საქართველო შენ გეკუთვნის მარადის  
ჩვენი სისხლი, ჩვენი წმინდა ფიქრები.

### სამშობლო

სამშობლო წამართვეს და გამაციმბირეს,  
ვარ ვინმე დევნილი, უიღბლო ხიზანი,  
ვარ მარტო ოცნება ვარ მარტო მიზანი,  
სამშობლო წამართვეს და გამაციმბირეს.

აღბად აქ მომისწრებს საბრლო სიბერე  
უძლური უცნობი დავრჩები მარტოვე  
იტყვიან ჩემზე სამშობლო დავტოვე  
მე კი ის წამართვეს და გამაციმბირეს.



თუ კი პატარა რიყის ქვასაც ეალერსება  
ზოგჯერ ის თოვლი, იალბუზის მთას რომ მიათოვს  
შეუნდე, ყმაწვილ მონადირეს, ცოტა ლექსები,  
მიჯრილი სიტყვის ჯადოქარო და გოლიათო!

რონ გადამწერი ცყოფილიყავ შოთას შაირის  
გადმოვიღებდი ყოველ ასოს ვერ გმეტებით  
და გვექნებოდა უფრო ტკბილი და სხეანძირი  
ვით ტყუბის ცალი - უშეცდომო პერგამენტები.

**დაუტირალი ხარხაულიძე**

(უცხოეთში დაღუპულ ქართველებს)  
ნე წინაპარნი ვაჟკაცნი მყავნდნენ  
კახი ჯაბახნი როგორ იქნება  
ს. ქაჩტველოსთვის სიცოცხლე რამდენს  
მიუტანია დაუფიქრებლად.

ბევრი ამბავი გამიგონდა  
ნებისკლდეობის გულს სიცხარის;  
ქართველს მხნეობა მუდან ჰქონია  
მტერი ყოფილა ავმოსისხლარი.

ქართველის მკლავი სად არ ქებულა  
სად არ უსინჯავს ხმალი თავისი?  
დრო დამიდგა და მეც ძველებურად  
პაპისეული ჯაჭვი ჩავიცვი.

ნიხანი წრფელი და შორეული  
ქართლის მიწა და ქართლის თბილი მზე  
ბრალია, შვილი ცრემლმორეული  
შორით მოსთქვამდეს დედა - ტბილისზე.

სისხლი გვიშველის! და ხმალი ვეძი  
მტრის მოშულარი და გამგინველი:  
და შეათე ძმა ხერხეულიძე  
თუ აქ დავეცე ფაუტირელი.

თუ არ დამინდობს ბრმა ტყვია რაინდს  
აუ ამ თვალებში ჩადგეს ჩრდილები  
დედა ტფილისო იცოდე მაინც  
შენთვის კედლებიან შენი შვილები.

**ილია შენგელია**

22 - 11 44 — ვერონა

დიდ ქალაქების ხალხით სავსე მშფოთარ ქუჩებში  
მომჩვენებია მრავალგზისით გალაქტიონი.  
მაგრამ მე ვიცი რომ ეს იყო ფატა - მორგანა  
საქართველოდან მოტანილი შავიზღვის ქარით.

ეს თვისება აქეთ ზოგჯერ სულებს, მოისხმენ სამოსს,  
რომ მოგეჩვენოს დავიწყებულ ნ. ცნობ სახეთი,  
რომ შეგაჩეროს გაგიყაროს მან თვალი - თვალში -  
ჩაგხედოს სულში და უთქმელად ნიგიხვდეს პ. ასუხს.

**2**

ჩვენ არ გექონია სასაუბრო ბევრი რამ ერთად.  
თვითონვე ვგრძნობდით უკითხვად ბევრამეს გულით,  
მაგრამ ვერც ნაშინ, და ვერც შემდეგ ვერ გამოვიცან -  
თუ რატო გინდოდა გამხთარიყავ პოეტთა მეფე?!

ეს იყო ის დრო, როს ნეფეებს ჰკვეთავდნენ თავებს,  
ანდა უკეთეს შემთხვევაში თავსლავს ასხმდნენ...  
ენას ეკერა „რესპუბლიკა“ და „პრეზიდენტი“;  
შენ კი, ისურვე გვირგინი და პროფირი მეფის.

**3**

შენი ლექსებით შენ ისედაც იყავი მეფე.  
არ გჭირდებოდა ჩვენგან ამის დადასტურება.  
ჩვეულებათაც არ ყოფილა ეს წესი ქართლში -  
შენ მოახდინე პარიზიდან მისი იმპორტი.

იყო ეს ასე, თუ სხვაგვარად, ანდა სხვა მიზნით -  
შენი მკვლევარი გამოარკვევს ამ ისტორიას  
და რომ არ შეჰყვეს სუფთა ხორბალს გორველა, ბევრი -  
ვწერ ამ სტრიქონებს ერთი შენი მეფედ ამრჩევი.

**4**

მე მაშინ ვიყავ ახალგაზრდა თვრამეტი წლისა  
და „თავის ქალა არტისტული ყვავილებიდან“ -  
როს წავიკითხე = ცა მეშვიდე გაჩხნა ჩემთვის  
და დავინახე მოკიაფე იაგუნდები.

ამიტომ იყო მოჭადქეი იმ დღეს შენს კარსა  
სადაც ნელინელ მოდიოდნენ სხვა პოეტებიც.  
ბევრნი არ იყვნენ, თუ არ ვცდები კაცი თორმეტი -  
იყო რუხაძე, ქუჩიშვილი, ძველ პოეტთაგან  
კიდევ სხვა ორი, მაგრამ ეს არ გამკვირვებია,  
მე გამიკვირდა, რომ არცერთი „ყანწელებიდან“ -  
ანუ სხვაგვარად: ლექსის ახლ ოსტატებიდან  
პოეტთა მეფედ შენ კურთხევას არ დასწრებია.

**5**

თუმც მახსოვრობს დავიწყების მოედო ნისლი  
თუ ყველა არა. მაინც მახსოვს ყვითელ „ბუშლატი“  
მე იქ გრანელი, მეგობართ ვინმე გობრონით,  
და საგანელი პოეზიის ჩოფურა ჭინკა.

ითქვა სიტყვები: მართალი და ქათინაური.

შამპანიური არ გვიხილავს არც ხიზალაღა.  
და როს მანიფესტს მოვაწერეთ სუყველამ ხელი:  
( მე ფსევდონიმით - მშობლიური სოფლის ს. ხელით)  
მრაველი წავიდა - წამოვიდა, დაერჩით სულ ექვსი.

**6**

დი შენტან ერთად ვალქტიონ ვეწვიეთ დუქანს.  
რომლის კედლები მოეხატა მუქად ფიროსმანს.  
სუფრასზე გაჩნდა კარდანახი და ცივი ლოქო,  
ზედაც მწვანელი - წიწმატი და ახალი ხახვი.  
ექვსმა დღელით ათი ბოთლი ერთად ზიარად -  
ანგარიში კი გაასწორა ბერეკაშვილმა.

**7**

ასე დამრთავდა დღე „პოეტთა მეფის“ არჩევის  
მეორე დღით გაზეთებმა შექმნეს განგაში.  
ექტორ ნოზაძემ დაგიწუნა დემოკრატობა  
და შენს საქციელს მან ყვირილი დაარქვა ქუჩის.

იმავე საღამოს ახალგაზრდა პოეტთა გუნდი,  
ზარხოშმა პაოლომ დაიჭირა ლალიძის გვერდით,  
კარგად გაჯორა შენც და შენი ამომრჩევლებიც.  
(თუმცა როგორც პოეტს თვით პაოლამაც შეგასხა ქება.)  
მაგრამ საქციელს მოქმედებას უწოდა შენსას:  
„კურიოზული, სასაცილო და ყულიკური“.

**8**

გავიდა ჟამი, ათეული მრავალი წელი,  
ფიქრობდი ხშირად - შენი ლექსის ძვირფასი თვლები  
დაამშვენებდა სილამაზით მრავალგვარ გვირგვინს -  
მრავალ მეფეთა და პოეტთა ოქროვან ჩანგს.

და მაინც ვფიქრობ - რომ განგველო ცხოვრება შენი  
„თანამგზავრობის“ დაწოლის და ძალვის გარეშე -  
შენ გახდებოდი გაცილებით დიდი პოეტი:  
ჩვენი ეპოქის პოეზიის იმპერატორი.

**გიორგი გამყრელიძე**

**მოსუცის ვედრება**

ქვეყნად ერთხელ იშობა დედამ,  
ადგილს ჰქვია მით სამშობლო  
და ჩემს ნაწილს ამ ქვეყნისას  
ეწოდება საქართველო.

მე შორსა ვარ, შენგან ტუბილო,  
ველარ გნახავ საალერსოდ.  
ლეში ჩემი აქ დარჩება,  
სული სწრაფად შენსკენ წავა.

შემოურბენს ნაცნობ ველებს,  
მეზობლებს და ნაცნობთ - უცნობთ,  
მშობელ სახლკარს, ეზოს, მინდორს.  
შევა სახლში, ნაცეცხლურზე  
გულს გაუთბობს ჩამქრალ კერას . . .

შემდეგ იმ გზას გაუდგება  
რომელზედაც განვლო ყველამ.

ასეთია ბედისწერა  
და სიცოცხლის სამართველო,  
მიიბაროს ჩემი სული -  
ვევედრები საქართველოს!

**ნამეტი ბერძენიშვილის ასული გოგუაძისა**

**გიორგი შიფიანს**

მე დღეს შენ შეგხვდი როგორც:  
ქართველს, პოეტს, მეგობარს.  
რამდენი სიტუბო განვიცადე მე ამ შეხვედრით,  
ეს სიტუბოება სამახსოვროდ დიდხანს მყუფავა,  
დიდხანს ხალისით ვისაზრდობებ ამ მშვენიერ დღით.

ხშირად ოცნება სად წავგიყვანს, სად გადაგვაფრენს,  
რამდენჯერ ერთად მოვიგონებთ წარსულს გადამწვარს;  
როდესაც ჩვენ გულს სინანდილზე სხვდას გადაჰფენს  
ჩვენ ერთად უნდა ვიამბოროთ მოწამეთის ჯვარს.

ხშირად გულიდან ბობოქარი იელვებს სიტყვა;  
ნუთუ თაობა ჩვენი მართლა განწირულია!  
რამდენი წყევლა დაგუბული უსიტყვოთ ითქვა,  
მაგრამ ავსულნი ბნელში წაინც დავლას უვლიან.

მხოლოდ ნაკადი იმედისა არ შეწყვეტილა;  
უმდერე ძმაო, სილამაზეს და საქართველოს . . .  
ქარიშხლის შემდეგ, შუქთა მაცნეს გელოდეთ დილას —  
დეე, მან გული გაბზარული, გამოანართელოს.

შენ საქართველოს მნათობები თავს დაგცქერიან —  
აქაფებული ჩანჩქერები აქაც გწყალობენ,  
ახალგაზრდური აღტკინება კვლავ შეგრჩენია,  
და შენ ბაღში ბულბულები ლალად გალობენ.

ვიცი, რომ გული უდრეკა გაქვს გარემოცვაში,  
სანამ ლილინებს მას ხავსი არ მოეკიდება,  
კიდევ დაჰხვეწე შენი მრწამსი ლექსთა ლოცვაში,  
და ჩვენ ქვეყანას კიდევ ერთხელ უძღვენ დიდება.

**ეპიტისი აბულაძე**

**პარიზი. ნოემბერი. 66.**



„პროზის იქმული პატარა პოემები“. დან

მიტხარი უცნაურო ადამიანო, ვინ უფრო გიყვარს; მამა, დედა, და, თუ ძმა შენი.

- მე არც მამა მყავს, არც დედა, არც და, არცა ძმა.
- მეგობრები?
- თქვენ ამბობთ სიტყვას, რომლის შინაარსიც ჩემთვის უცნობია დღემდე.
- სამშობლო?
- არ ვიცი რომელ განედზე მდებარეობს იგი.
- მშენიერება?
- დიახაც მეყვარებოდა — ქალღმერთი და უკვდავი.
- ოქრო?
- მე იგი მძაგს, როგორც თქვენ — ღმერთი.
- მაშ რაღა გიყვარს საკვირველო უცხოელო?
- მე მიყვარს ღრუბლები — ცაზე მცურავი ღრუბლები — აი იქ — აი იქ — — საოცარი ღრუბლები.

ს ა რ კ ე

შემოდის უშნო, უსახური კაცი და სარკეში იხედება.

— რატო იხედებით სარკეში, ხომ მხოლოდ უსიამოვნებას მოგვგვრით თქვენი თავის დანახვა?

უშნო კაცი მიპასუხებს: „ბატონო! 1889 წლის უკვდავ პრინციპთა მიხედვით ყოველი ადამიანი თანასწორუფლებიანია, მაშასადამე მე მაქვს უფლება ჩემს თავს ვუცქირო; მეამება თუ არ მეამება, ეს მხოლოდ ჩემს შეგნებას ეკითხება.“

გონიერი აზრის ძალით უთუოდ მე ვიყავ მართალი. მაგრამ კანონის მიხედვით იგი არ სტყუოდა.

მთვარის სიკეთე

როცა შენ აკვანში გეძინა სარკმელში შემოიხედა მთვარენ, რომელიც ახირებულება თვითონ და თავისთვის თქვა: „მომწონს ეს ბავშვი.“

იგი ღბილად ჩამოვიდა მისი ღრუბელთა კიბით და უჩუმრად გაიარა სარკმლის მინები. შემდეგ ის დედობრივი მოქნილი სინაზით გადაგეფარა შენ და თავისი ფერები დასდვა შენ სახეს. შენი თვალები გამწვანდნ და უჩვეულოდ გაფითრდნ შენი ლოყანი. ამ სტუქრის ცქერამ გაფართოვა ასე უცნაურად შენი თვალები; და მან ისე ფაქიზად წაგიჭირა ყელში, რომ სამუდამოდ შემოგრა ტირილის გუნება.

გარნა თავის სიხარულის მიმოფრქვევით, მთვარემ ოთახი აავსო ვით ფოსფორულმა ატმოსფერომ, ვით სინათლის მფენმა საწამლავემა და ეს მთელი ცხოველი სინათლე ფიქრობდა და ამბობდა: მარადის დარჩება განსაცდელი ჩე მი კოცნისა. შენ გექნება სიტურფე ჩემებრი. შენ გეყვარება რაც მიყვარს მე და რასაც მე უყვარვარ მე: წყალი, ღრუბლები, სიჩუმე და ღამე; უსაზღვრო და მწვანე ზღვა; წყალი უფორმო და მრავალ ფორმიანი; ყვავილები საზარელნი ; სურნელნი ბოდვის მომგვრელნი; პიანოზე გარინდულ მწოლი კატები, რომელნიც ყელის მიერ ტკბილი სმით კვენენენ როგორც ქალები.

და შენ ეყვარები საყვარლებს ჩემსას, ჩემნი აშვიკნი გიაშვიკებენ შენ. შენ იქნები დედოფალი იმ მწვანეთვალება მამაკაცთა, რომელთ მე ღამის ალერსის დროს ყელში წავუქირე, იმათი რომელთ უყვართ ზღვა უსაზღვრო ბობოქარი და მწვანე, წყალი უფორმო და ფორმამრავალი, ადგილი სად ისინი არ იქნებიან, ქალი რომელსაც ისინი არ იცნობენ, შავებელი ყვავილები რომელნი ჰგვანან საწესო საგნებს უცნობ რელიგიისა, სურნელნი შემრყეველნი ნებისყოფისა და ცხოველნი ველურნი და ავხორცნი — რომელნი ემბლემად ქეუულან მათი სიგიჟისა.“

ამიტომამა წყეულო ძვირფასო და განებიერებულო ბავშვო, რომ ახლა მე შენ ფერხთა წინაშე ვწევარ და ვეძებ მთელ შენს პიროვნებაში ანარეკლს საშინელი ღვთაებისას, საბედისწერო ნათლიისა, მომწამვლელ ძიძას ყოველთა მთვარეულთა.

ნავსადგური

დღიური ბრძოლით დაქანცულ სულისათვის მზიბლავია ნავსადგურში გატარებული დღეები. გაშლილი სიფართე ცისა, ღრუბელთა მოძრავი ხუროთმოძღვრება, ცვალებადი ფერები ზღვისა, უტქურას ელვარე ნათება, საოცარ პრიზმასა ჰქმნიან — თვალთა გამართობს და აროდეს დამლელეს. გემთა გრძლივ გატყორცნილი ფორმა რთულ მოკაზმულობით, რომელთ ჰარმონიულად არხევს ზღვის ნელი ფრთონა, რიტმისა და მშენიერებისაკენ განაწყობენ ადამიანის სულს — და რაც მთავარია, მისთვის ვისაც უკვე აღარა აქვს ცნობის მოყვარეობა და ამბიციები, არის რალაცვარი იდუმალი და არისტოკრატული სიამე — საჭვრეტად ბანზე წამოწოლილმა, ან ჯვბირზე იდაყვდაყრდნობილმა უცქიროს მათ მიმოსვლა — მოძრაობას, რომელნი მიდიან და რომელნი ბრუნდებიან, რომელთ კიდევ შესწევთ ძალა ნდომისა, სურვილი მოგზაურობისა ან განმდიდრებისა.

„კავკასიონისათვის“ თარგმნა შინეილ ქავთარაძემ.



(გაგონილი და ჩაწერილი.)

გიგია ხევსურმა მთელი თავისი ახალგაზრდობა და თიქმას მთელი ცხოვრებაც ირაკლი მეფის გვერდით მტრებთან ბრძოლაში გაატარა. დაბერდა ერეკლეს სამსახურში. მრავალჯერ გადაარჩა მტრის ტყევის და ხმალ - შუბს. მრავალ ჭრილობებით იყო მოფენილი მისი ტანი. არ შედრეკილა გიგია მის დღეში, არ შეშინებია მტრის მახვილს, არც მტრის რაოდენობის. იმდენად შეჩვეული იყო გიგია ურცხვ მტერთან ბრძოლას, და დარწმუნებული ირაკლი მეფის განარჯვებაში, გინდ მტერი 20 ჯერ მეტიც ყოფილიყოს, რაც ძალიან ხშირი შემთხვევაც იყო, იგი დაუბრკოლებრივ ვაჟკაცი ყოფინით, ეკვეთებოდა მტერს და ხის ტოტებივით ჰკაფავდა მათ. იცოდა მეფემ გიგია ხევსურის გულადობა. და ვაჟკაცობა, იცნობდა მას ზედმიწევნით, სცნობდა მის გონება - მახვილობასაც უყვარდა მასთან მსჯელობა - ბასი, აფასებდა კიდევც მის სიტყვა - პასუხს. იგი ითვლებოდა ირაკლი მეფის ნიერ შინაურ ადამიანად. ამ თქმულებიდან სჩანს, რამდენად თავისუფლად, თავისუფლად და შინაურულად იყო იგი განწყობილი ირაკლი მეფის მიერ, და თვით ნეფეც რამდენი თავმდაბალი და გულაქილი იყო თავის ერთგულ ქვეშევრდომ უბრალო ხევსურთ მიმართ.

აი, და შევიდა ხანში გიგია მტერთ წინააღმდეგ მიღებული მრავალმა ჭრილობებმაც შეასუსტეს გიგიას სხეული, მკლავ - მხარ დაკოდილი გიგია, ველარ ხმარობდა ძველებურად, ბასის მახვილს, დაღლილობაც შეეპარა ძველს ბრძოლებში გამოცდილს ლომს. იფიქრა დასვენება, რჩევა დარიგება სთხოვა დიდს ბატონს ერეკლეს, რასაკვირველი არის მეფემაც მისცა ნებართვა დასვენების და ჭრილობების განკურნების.

„გიგიაე მართალი არის აქ დამაკლდები, ველარც ვიშოვი ბევრს შენისთანა მეომარს, მაგრან მინც კარგს იზავ, ცოტა ხანი დაისვენო მოიშუშე ჭრილობებე, იცხოვრო მშვიდობიანად, მით უმეტეს, რომ, ღვთის ნადლით და მოწყალებით, ჩემ სამფლობელოში ჯერ - ჯერობით სიმშვიდე არის, გაძლევ ნებას დასვენება - დაწყნარების თუ დამჭირდა შენი თავი ჩემო გიგიაე შორს არა ხარ, გამოგიხმობ კვლავ ჩემთან“ ამ სიტყვების შემდეგ უხვად დაჯილდოებული ოქრო - ვერცხლით, მოწიწებით და მადლობით გამოეთხოვა გიგია ნეფეს და თავის კარგა ხნის უნახავი მთისკენ გაეშურა.


გაიარა დრომ, გიგია თავის მალალ მთა - ხევსურეთში დაბრუნებული, განაგრძობდა მშვიდ ცხოვრებას, თუმც

კი ომსა და ბრძოლის ყიყინას შეჩვეული გიგია ძნელად ეგუებოდა პირველ ხანებში, მშვიდობიან ცხოვრებას, მაგრამ მეზობლებთან და მოყვრებთან მისვლა - მოსვლამ, მათა ხეობამ ცოტა არ იყოს გაართო, იგი ერთობოდა თვით და ამავე დროს ართობდა. მის ამბების მსმენელ ხევსურებს, გიგია მათ უყვებოდა გადახდილ მტერთან ბრძოლებს. ირაკლი მეფის გინობას, ურცხვ მტერთა წინააღმდეგ, რამდენადაც იგი მხნე იყო ბრძოლებში, იმდენად მოიხარმა ცებდა ჩვეულებრივ მთიულურ შრომა - ჯაფაში და არ იყო გასამტყუნარი და დასაძრახისი იყო გიგია. კაცს რომელსაც თავის სიცოცხლეში ხმლის, შუბის ხანჯლის და თოფის მეტი არაფერი სჭერია ხელში, ძნელი იყო მისთვის ცელის და თოხ - ბარის ხელში ალება, სინამდვილეში არც სჭირდებოდა გიგიას შრომა და ჯაფა. ირაკლი მეფისაგან უხვად დაჯილდოებული ოქრო - ვერცხლით, ჰხარჯავდა მას გულლიად და ხელგაშლილად. ქონება, დაუღვევლი ზღვა არ არის და გიგიას ქონებაც ნელ - ნელა დაიღლია. ჩაფიქრდა გიგია, ცხოვრება უნდოდა, განსაკუთრებით კარგი ცხოვრების მიჩვეულს, იფიქრა, იფიქრა და გადასწყვიტა „ჩავალ კიდევ ერეკლე ბატონს შევაწუხებ, მის მეტი ვინ დაენხმარების?“ სთქვა თავისთვის გიგიამ და გადაწყვიტა, და ერთ მშვენიერ დღეს ქალაქ თელავის მეფე ირაკლის სასახლეს მიადგა. ნეფეს მოახსენეს გიგია ხევსურის ხლება. ჩვეულებრივად, გულლიად და ღიმლით მიიღო ირაკლიმ გიგია, სასახლეში შეიპატიჟა, ვით სწორი და მეგობარი გვერდზედ მოასვა, ფარეშებს სუფრა გააშლევინა, უხვად გაუმასპინძლდა. „რაშია საქმე გიგიაე? ალბად სათხოვარი რამ გაქვს, რომ ასე მოულოდნელად მომხდები კარზე“ „ჰაი, ჰაი ერეკლე ბატონო რომ მაქვს სათხოვნელ რამ“

„რა გიჭირს ჩემო გიგიაე, მითხარი ნუ ნერიდები“  
;რაი მიჭირს მეფეო, რაი და ფარა განომელია, საქმელ ფულ აღარ მაქვს“

ირაკლის კვლავ ღიმლიმა გაუნათა ლმობიერი სახე. ნოლარეთ უხუცეს რადაც ჩაუღებარაკა. მალე მოლარეთ უხუცესმა, მეფეს ოქრო - ვერცხლით გატენილი ქისა ნიართვა, თვით კი უკან დაბრუნდა.

„აი აპა ჩემო გიგიაე, მიიღე კვლავ ეს ქისა, მიბოძებია ღწერთმა მოგახმაროს უბრძინი არის შენზედ, მაგრამ გაუფრთხილდი, ჩემო გიგიაე უაზროდ ნუ გადაჰყრი“



„უზუნაესი იყოს შენი ნფარველი ჩემო მეფეო, ნუ მოგაკლოს წმიდა კობალის და თეთრი გიორგის წყალობაი, მადლობელ ვარ, ჩემო მეფეე მადლობელ“ წარმოსთქვა გიგამ და ნოწიწებით ჩამოართვა ქისა მეფეს. საყოველწმინდა შესვა, ვერცხლ - მოფენილ თასით დალოცა ნეფე და ერი, ემთხვია მეფეს ჩოხის კალთაზე, დაემწვიდობა და გასწია მთისკენ ჯიბეში სავსე ქისით. მეფის სწორს ჩამოჭანდაკებულ ლამაზ სახეს ღიმილი არ ნოსშორებია.

„სახლუხუცესო გასძახა კარებიდან მეფემ. სახლთ უხუცესი მის წინ გაჩნდა. „საჩქაროთ ამირჩიე შვიდიოდე ვაჟკაცი მეომარი იარაღით ასხმულნი და მახსლე აქ. ძლიან მალე ნის წინ დარჩეული ვაჟკაცი იღვა, თავიდან ფეხებამდი შეიარაღებული. „მისმინეთ კარგად. ეს არის ეხლა ჩქედან გავიდა გიგია ხევსური. დეედევნეთ ნას, გადაუჭერით გზა, დეესხით თავს, ჯიბეში ოქროთი სავსე ქისა უძევს წაართვით, გაძარცვეთ და ოქრო აქ მომართვით. არფერი ავნოთ, ჭრილობა არ მიაყენოთ, არ დაჰკოლოთ თორემ გაგებინებთ პასუხს, ეგ გიგია თავის დროზე ოც კაცს უნკლავდებოდა, ჩემი სურვილი არის გამოვცადო, უჭრის უწინდებურათ მკლავი და თვალი თუ არა. არც თავი შეაკლხდ, თუ შეატყოთ სინძლავრე და წინააღმდეგობის გაწევა, თქვენ მიმართ მისგან, მოჰქუსლეთ, გაეცალეთ, გაერიდეთ“

„გვესმის მეფეო“ მოესმა ნეფეს პასუხად.

მძიმე შეუწმელი ნაბიჯით, ნიდიოდა გიგია, მიაბიჯებდა და მილიღინებდა. გუნებაში ლოცავდა და მადლობას უთვლიდა მეფე ერეკლეს და ნის გულუხვობას. ნალე დაბურულ ტყეს მიადგა, მის შუა გულში მძიმავალ სხურმე გზას შეუდგა. ამაყად და ნხიარულად მიჰყვებოდა გატყეპნილ მთისკენ მიმავალ გზას. „ჰაი ბეჩავ გიგია, შებერ - შექალარავდი, მუხლს აღარ გიჭრის კვლავინდებურად.“ ჩაილაპარაკა თავისთვის. გიგია ჩაფიქრებული იყო აღარც ღიღინებდა, ეხლა მისი ფიქრი იქით იყო წასული, ფიქრობდა თუ როგორ მოეხმარნა მეფის ნაბოძარი განძი, და რითი ესამოვნებინა, მეზობელ ნათესავებისათვის. ამ ფიქრებში იყო გართული გიგია. რანდენჯერმე შეახო ხელი ჯიბეში გავსებულ ქისას. უცებ ძალიან ახლო იქეჩა დამბაჩამ. შეჩერდა, გაკვირვებით მოავლო არწივისებური თვალეები იქაურობას. დამბაჩის ხმას მოჰყვა საომარი ყიჟინა და ტყადგან გამოცვინილნი, ყაზალას პირ ახვეული ლომებივით ვაჟკაცები წარს შემოერთყემენ გიგიას. გიგია ჯერ გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო. ვერ მიხვედრილიყო, ვერ გაეგო ეს მოულოდნელად. ქაჯებევით კახურ მოკლე ჩოხებშიც მოწყობილნი მეომარნი, საიდან განჩნენ? სამტროდ იყვნენ თუ სამოყვროდ? — ხმალდაშიშვლებულმა ნეომრებმა, მრისხანე თვალეებით და ყიჟინით შეუტრეს გიგიას. გი-

გამ ხმალზე ხელი მოისვა, ვერ მოასწრო ხმლის ამოღება რომ საწყალი გიგია ხელეშეშეშევილი ნიწას დაუშვეს. ჯიბიდან ფულით სავსე ქისა ანოჰგლიჯეს, ცხენებს მოხტენენ და ჭენებით ტყეს შეეფარნენ. „ქურდებო ყაჩაღნო დიაცნო, შვიდ კაცს თავს დამესხმით, ქურდულად ბერკაცს, მცარცველნო.“ გასძახოდა გიგია და გაჰყურებდა. დალონდა კვლავ გიგია, კვლავ დარჩომილი ლატაკად. წამოდგა, ზელ - ფეხი გაინთავისუფლა, გზის პირას ჩამოჯდა და ნაღვლიან ფიქრებში წახვიდა. რა ქნას? როგორ ნოიქცეს? ბევრი ფიქრის შემდეგ, წამოდგა პირი იბრუნა და კვლავ ერეკლის სასახლისკენ გაემურა.

შუბლშეკრული, პირზე პატრონი დანცინავი ღიმილით შეხვდა მეფე ირაკლი, მის წინ მორცხვად თავჩაქინდრულ მორცხე გიგიას.

„რაშია გიგიაე საქმე, გზიდგან უკან დაბრუნებულს ჰგებდაე! რალაც ჯავრით გამოიყურება შენი სახე“ შეეკითხა ვითომდა გაკვირვებულის კილოთი ირაკლი. გიგამ თავი ნაღლა ასწია, თვალი თვალში გაუყარა მეფეს.

„რა მოხდის, ერეკლე ბატონო და შენს სამფლობელოს ყაჩაღთ ბუდეთ გარდაქეულა“. — „ყაჩაღთ ბუდეთ?!“

— რას ანბობ გიგაე!

— ჰაი! ჰაი, რომ ყაჩაღთ ბუდეთ. არ შეენის მეფეე, ჩენს ლამაზს ქოყანას ყაჩაღდ გარდაქეულა. ჩენს თვალთ ვნახოდი, მეფის გზაი შემიკრეს, თავს შშიერ მგლებითურთ დამეცნინ, გამცარვეს, შენი ნაბოძარი სავსე ქისაი ამხადეს, მთლად გალალეს, ცხრიელზე დამტოვეს“ „მერე განა რამდენი კაცი დაგეცა თავზე? შეეკითხა ირაკლი.

„აბა რაი ვიცი მეფეო, შვიდი კაცი მაინც იქნებოდის“ „შვიდი კაცი! მერე გიგიაე, შენ, განთქმულს, მეომარს, სადაც ბრძოლაში, 20 ლეკიც ვერ გაშინებდა, სადაც ოც ოსმალოს ხის ტოტებივით ჰკედვდვი შენის ხნლით, შვიდმა კაცმა როგორ დაგიმორჩილა?! როგორ ნოგერია?! დაჰბერებულხარ ჩემო გიგია, მკლავიც დაგსუსტებდა.“ გიგიას სახეს აღმურმა გადაჰკრა, მეფეს უფრო მტკიცედ და სსტიკი გნომეტყველებით შეჰხედა, რალაცის თქეჩა ურდა, მის თვალებს შეჰხედა მეფის ეშმაკურად გაღიმებული, და გაბრწყინებული სახე. მეფემ ველარ მოითმინა, გაიელვეს მისნა, ბროლივით თეთრმა კბილებნა. გაისმა მისი ნხიარული სიცილი, გიგიას სახეშაც გამოიცვალა გამომეტყველება. ნსასაც მოედვა ღინილის შუქი, კვლავ გაუსწორა მეფის თვალებს თვისი თვალეები, თითის ქნევით სსტიკი და გამწყრალი კილოთი შესძახა. ეხლა კი მიგხვდი ერეკლეე, ეგ შენი მამა - ძაღლობა იქნებისაო.“

ქართული  
ლიტერატურის  
მუზეუმი

თბილისი

ნომერი 3. 7 15

წ ა ნ ი ს ტ ა ს ი  
მ ა რ თ ი ს ი ნ ი  
ს ა ზ რ ს ტ რ ნ ი უ ნ ე ბ ი

Handwritten text in Georgian script, appearing as bleed-through from the reverse side of the page. The text is dense and covers most of the lower half of the page.





ფილიალი

ბაღის ქ. № 15

ფელეტონი 3-80-64

ძვირფასო ძმაო ვიქტორ!

შენი ნაშრომები მომივიდა, რისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნი. ღრიად საინფორმაციო ამბებია მათში. სამწუხაროა ასეთი დიდი ენუფი-ტი სამშობლოში რომ არა ხარ.

ამას წინააღმდეგ ავთანდილის ნათესავი მოვიდა ჩვენსას და შენ-თვის გადავადრე ჩემი დიდი სიყვარულის მარჯვენა ინგლისურ ენაზე და ჩემი რჩეულ თბილისელებთან კრებულის 11 ტომი, რომელშიაც მოთავსებულა ჩემი ნოველები, რომანები: "გოგონა ცხოვრების რომანი" და "დიდი სიყვარული კონსტანტინეს მარჯვენა", რომელიც ახლა ესპანურადაც ითარგმნება. იგივე რომანი ითარგმნება ინგლისურ ენაზეც. არ იქნება ურიგო თუ ვინმეს იპოვნის მათ გამომცემელს აგრეთვე ითარგმნებს. დიდი სიყვარული ამ თარგმანში შემოკლებულია და კარგი იქნებოდა თუ ვინმე გაასწორებდა და შეავსებდეს მას ქართული დიდი სიყვარულით.

სხვა როგორა ხარ? მჯობია თუ მოკვდი? სამშობლოში დაბრუნებ-ბას თუ აპირებ? წარმომიდგენია როგორ გენატრება შენი ქვეყანა.

შესაძლოა მე ჩამოვიდოდე ამერიკაში. პირველ მსოფლიო ომამდის მქონდა საშუალება მანერ ჩავსულიყავ, მაგრამ მაინც და მაინც არ მაინფორმებდა ეს მეორე პლანზე.

ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მე მეორეჯერ შევირთე ცოლი. პირვე-ლისაგან ერთი გათხოვილი ქალი მყავს, მეორესაგან ერთი გოგო და ერთი ბიჭი. გოგომ უნივერსიტეტი დაასრულა ღრიადზე, ხელკვანთა-მცოდნეა, ხოლო ბიჭი მეორე კურსზეა, ინგლისურს სწავლობს. მან ამას წინააღმდეგ გადათარგმნა ოსკარ უაილდის ზღაპრები ინგლისურად.

გიძღვნი ძმურ სიყვარულით

ველი შენგან წერილის მიღების დადასტურებას

კონსტანტინე გამსახურდია.

Association Consistoriale Israélite de Paris

CONSISTOIRE DE PARIS

SECRETARIAT GÉNÉRAL :  
17, Rue Saint-Georges

PARIS, LE 16 octobre 1944

PARIS-IX<sup>e</sup>

Monsieur Jordania  
Président de la République  
Georgienne

Monsieur le Président,

J'ai été informé par Monsieur Joseph ELIGOULACHVILI de la sollicitude et de la générosité que vous avez bien voulu témoigner à vos compatriotes de religion juive. Grâce à vos bons offices, ils ont été préservés, au cours des quatre années d'occupation, des pénibles conséquences de l'application des lois raciales. Je sais la profonde gratitude qu'ils conservent pour vous. J'ai à coeur, au nom de la communauté israélite de Paris, de m'associer aux sentiments qu'ils éprouvent pour votre grande bonté et votre esprit de justice.

Veuillez agréer, Monsieur le Président, l'assurance de ma bien vive reconnaissance et de mes sentiments de haute considération.

Le Grand Rabbin de Paris



საიღო უკუწავსებელი მნიშვნელობის დასახელება —

აი, რა ახალი : 1. მიღი გამომყვანილ მუხრამე ქართულ  
 ქართულიდან სიტყვით წარწერა უკუწავსებელი-მნიშვნელობა-  
 ანუ უკუწავსებელი სიტყვა ანუ სიტყვა-მნიშვნელობა, რამდენ  
 რიგითადაა გადაყვანილი ხსენებული წარწერა, რამდენ სიტყვა-  
 მნიშვნელობა „უკუწავსებელი“ ანუ ; 2. „უკუწავსებელი-  
 უკუწავსებელი“ — უკუწავსებელი : უკუწავსებელი, უკუწავსებელი და  
 სიტყვა — ანუ რამდენად, უკუწავსებელი-ანუ ანუ სიტყვა ;  
 3. მოვიტოვებთ სიტყვა-მნიშვნელობა ხსენებულ სიტყვა-მნიშვნელობა  
 სიტყვა-მნიშვნელობა : „სიტყვა-მნიშვნელობა“ — უკუწავსებელი-  
 რამდენად, რამდენად ითვლება... ითვით, რამდენად  
 მნიშვნელობა . აი, რა მნიშვნელობა-მნიშვნელობა მნიშვნელობა  
 რამდენად უკუწავსებელი ხსენებულ . ანუ რამდენად ანუ რამდენად,  
 რამდენად მოქმედობს : უკუწავსებელი სიტყვა-მნიშვნელობა,  
 უკუწავსებელი სიტყვა-მნიშვნელობა (სიტყვა-მნიშვნელობა) უკუწავსებელი სიტყვა-  
 — სიტყვა-მნიშვნელობა : რამდენად მოქმედობს ითვლება მნიშვნელობა  
 სიტყვა-მნიშვნელობა სიტყვა-მნიშვნელობა (სიტყვა-მნიშვნელობა ანუ რამდენად)  
 და მნიშვნელობა სიტყვა-მნიშვნელობა სიტყვა-მნიშვნელობა (ანუ  
 სიტყვა-მნიშვნელობა სიტყვა-მნიშვნელობა) . ანუ სიტყვა-მნიშვნელობა... მნიშვნელობა... სიტყვა-  
 მნიშვნელობა... სიტყვა-მნიშვნელობა-ანუ სიტყვა-მნიშვნელობა . ანუ სიტყვა-მნიშვნელობა

— სიტყვა-მნიშვნელობა მნიშვნელობა !  
 (სიტყვა-მნიშვნელობა სიტყვა-მნიშვნელობა სიტყვა-მნიშვნელობა  
 სიტყვა-მნიშვნელობა სიტყვა-მნიშვნელობა სიტყვა-მნიშვნელობა)

სიტყვა-მნიშვნელობა სიტყვა-მნიშვნელობა — სიტყვა-  
 მნიშვნელობა სიტყვა-მნიშვნელობა

23.9.1953

71930



Յ-6 շրջապատի Կոմունիստ: Երանյան  
«Լատինացիների մեծագույն խնդիրը ձեռք  
հանում է աղանդականության կանխումը»

Երանյան Վահագնյանի մ-ն շրջապատ!

Երանյան Վահագնյան (20.9.56) Լատինացիների հանձնարար.  
Դատի թեկուզ, մոլորաբան շրջապատի հանձնարարը մեծ շրջապատում ու,  
հանձնարարը մեծագույն հարգանքով տեղեկանում է «Լատինացիների  
մեծագույն խնդիրը ձեռք հանում է աղանդականության կանխումը»  
և» (սակա Լափոսի շեղում, որ հանձնարարը) Ձեռք հանում,  
Յանյան, հանձնարարը սեղանի վրա ժամանում. հոկտեմբեր 24  
ժամանում? Ձեռք հանում էրանյանի փոխարինչի մասին Յան  
մշակույթի մասին Ձեռք հանում էրանյանի, մոլորաբան, մոլորաբան,  
Երանյանի, Երանյանի. Երանյանի մոլորաբան. Երանյանի  
Ձեռք հանում էրանյանի մասին. Յան մոլորաբանի հանձնարարը  
Երանյանի Լատինացիները. Երանյանի Երանյանի մասին ձեռք հանում էրանյանի  
մոլորաբանի մասին ձեռք հանում էրանյանի մասին ձեռք հանում էրանյանի  
«Յանյանի». ու Յան, հանձնարարը մեծագույն, Երանյանի մոլորաբանի մասին ձեռք հանում էրանյանի.

Յանյանի մոլորաբան  
Երանյանի մոլորաբան  
Երանյանի մոլորաբան  
Երանյանի մոլորաբան  
Երանյանի մոլորաբան

Երանյանի մոլորաբան, որ Յանյանի  
Երանյանի մոլորաբան. Երանյանի մոլորաբանի մասին. —  
Երանյանի մոլորաբանի մասին ձեռք հանում էրանյանի  
Երանյանի մոլորաբանի մասին ձեռք հանում էրանյանի (Երանյանի մոլորաբանի  
մասին ձեռք հանում էրանյանի) Երանյանի մոլորաբանի մասին ձեռք հանում էրանյանի.  
Երանյանի մոլորաբանի մասին ձեռք հանում էրանյանի. Երանյանի մոլորաբանի մասին ձեռք հանում էրանյանի!  
Երանյանի մոլորաբանի մասին ձեռք հանում էրանյանի.  
(Երանյանի մոլորաբանի մասին ձեռք հանում էրանյանի)  
Երանյանի մոլորաբանի մասին ձեռք հանում էրանյանի  
Երանյանի մոլորաբանի մասին ձեռք հանում էրանյանի.







„ინფანთოთაქცუელოთა“ წიგნი იმ წიგნაკვეთს ვინ გაიკვამლ.  
 ელ სანტუელარია, ნაგრაბი ან თაქცუა. (თუ რაღონი აქვს  
 თავე „ილ“ სიძნელე რაველ მწერალურ ალსაჩაგვზე, მთელ  
 შესახებ სხვა დროს.) ვასაგვინა, რავე მუ მინიჭისა =  
 თვილ, მთლი რეპილონი ვავეთ, შენობა/ნაჩა რეპილონი რა.

რეველ წიგნს სიქარტველოზე თარგმნის ანთი ურიათ  
 ვანათლოებულთი ურანვი-მუნიცპალიტი, რამველსავე  
 ვინაინულოთი სავაშე ემარტვევა. წიგნსველ ვინაინულოთი  
 მქაქცილსა მუ ვუსენი. თარგმნა მითავლონა რანსლოთ =  
 ვავეთი 10 დლონი. თარგმანს ვალანთვლოთი რეველ  
 შაროვსლონი (მლხარტ მალხაე, ვაქარტოინეაოთ:  
 ლილი მუგოზინი ქარტველოთი „მესაქლოთი ან იქმ =  
 დოთ: იგი მწერა სოიქმან თვალოსა რიხო.

ვსლოთი ქვენი „ვანსახარევა“ (რარელოსავე მას =  
 თანავა ვიწარევათ) • ვალ ან რიგველ „მთავარევათ“:  
 იტყვიოთ: „სეთი წიგნით რეპილოთი ურინალოთ  
 თავენს ქვეყანას, იგი რა მთლსა სიქარტველოთი, ვინ =  
 ვარსალონი ბანით, ვაქარტოინეაოთ, ჰვეს, ქარტველოთ,  
 მუგოზლოთი სიამაყით მარსლოთი ყველოვან, სავა  
 ქვე ანს“: რამეაქვეთ: „მუგოზლოთი რევენი სავა  
 მთილველ იქველ ყარლოთი ვევეს, სავა „ინფანთოთაქ =  
 ცულოთი“ სენარსსვა მხარისა ან სავითბის ირვე =  
 ლოთი ვქოვეს: „Quellees valeurs dependons =  
 nous?“ ვინაინეოთ: ვაქარტვეთ თანვე, რავე ან რევენი  
 სვა იქ<sup>თ</sup> (წიგნის ავტორის მთავი მუგოზი ვთილველ“ -  
 (მუ ვანინეოთ სოსყვენს, იქვენი ვინა თქველოთ  
 ავტორის დანახალით ველოთ) •

• ვინიოთ მხედრ და მარტვევა!

თქვენი

ვინილოთი რარეაქიოთ


































კოდექსი და კოლიტიკა გიორგი შარაშიძის

პირველი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ადვილი იყოს გამოცნობა მოტივებისა, რომელთაც გიორგი მეფეს სურვილი აღუძრეს სწორედ არაგველთათვის შეედგინა ეს კოდექსი — ვინაიდან თვითვე ასახელებს მათ დოკუმენტის პროლოგში: არაგვის საერისთავოს მონახულებისას რომ იქ დიდი უწესრიგობა სუფევდა. ასეთი მდგომარეობის მიზეზად მას ორი, ერთიმეორედან გამომდინარე, რამ მიაჩნია —

1) რომ სისხლის ღვრა არ ისჯება (გვ. 6) 2) რომ არ არსებობენ კანონები, რომელნიც დანაშაულობათა და ბოროტმოქმედებათა დასჯას ითვალისწინებენ (გვ.3). ამ უკანასკნელ პუნქტის შესახებ მესამე პარაგრაფში იგი ჩვენ გვაწვდის დახუტებას, რომელიც ჩვენ დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

1) რომ მის წინაპართ მეფეთ ამ პროვინციისათვის არ ინიუციათ მისთვის განკუთვნილი კანონები.

2) რომ, თუ ეს მათ არ ქმნეს, იმიტომ რომ მათ ერთი მხრივ ხელს აძლევდა არეულობის არსებობა, ხოლო ნეორე მხრივ არც საამისო ხანა იყო.

ჩანს მხოლოდ პირველ პუნქტს მიუპყრია კომენტატორთა ყურადღება, რომელთაც უბრალო მონაცემებზე უფრო შორს მიმავალი დასკვნები გამოუტანიათ. ურბნელისა და ბაქრამის მიხედვით, გიორგი მეხუთეს ყველა ქართულ პროვინციისათვის გამოუცია კანონები და მხოლოდ მთიულეთი ყოფილა თავიანთ კანონების მოკლებულად დარჩენილი, მაგრამ როგორც ჯავახიშვილმა აღნიშნა, ამ მსჯელობას არავითარი მყარი საფუძველი არ გააჩნია. თვით ჯავახიშვილი პროლოგის სხვაგვარ ინტერპრეტაციას გვაწვდის. (სამართ. ისტორია 1. გვ. 94) მაშასადამეო, ამბობს ჯავახიშვილი, საქართველოში მხოლოდ მთიულნი იყვნენ რომელთაც დაწერილი კანონები არა ჰქონდათო გიორგი მეხუთეზე ადრე, სამეფოს სხვა მხარეებში კი მოქმედებაში იყვნენ გიორგი მეხუთის წინაპართა მიერ გამოცემული კანონებით.

ამგვარი დასკვნა ჩვენ გადაჭარბებულად გვეჩვენება და დიდი ისტორიკოსის ტექსტის ამ ნაწილს, ძალით ათქმევინებს იმას, რასაც ტექსტი არ ამბობს. მეფე ამბობს: ჩემ წინამორბედ მეფეებს მთიულთათვის კანონები არ ინიუციათო. კიდევ მეტი, ტექსტის ეს ადგილი მთიულებს

სახელებით არც ახსენებს, მხოლოდ შინაარსი გვეუბნება ამას. (მართალია ჯავახიშვილი გვათავაზობს რომ გავასწოროთ სიტყვა „ამად“ სიტყვით „ამათ“ ე. ი. მეფეთათვის არ გამოუციათო კანონები, მაგრამ ორთავე გამოცენაში დოლიძეს დატოვებული აქვს „ამად“ და სწორადაც მოიქცა, რადგან პირველი ტექსტი სავსებით გასაგებია, არსად არ არის თქმული ან ნაგულისხმევი რომ არსებობდა იურიდიული კოდექსები ყოველ ცალკეულ პროვინციისათვის. ცხადია შეგვიძლია დავუშვათ, რომ ქართველ მეფეებს დაწერილი ჰქონდათ როგორც მთელ სამეფოსათვის სავალდებულო კანონები, აგრეთვე ცალკე მხარეთათვის სახმარი ბრძანებანი, რომელნიც მეთოთხმეტე საუკუნეში კიდევ ძალაში იყვნენ და რომელთაც ჩვენამდე არ მოაღწიეს, მაგრამ არაფერი ნებას არ გვაძლევს ვამტკიცოთ და თუნდ ვიფიქროთ, რომ ამ კანონთა კრებული იურიდიულ კორპუსს წარმოადგენდა და რომ იგი საქათველოს ყველა მხარეს ფარავდა გარდა მთიულეთისა.

ჩვენი პრობლემა მხოლოდ ისტორიის ამ ერთ დეტალს არ ეხება, მაგრამ ეს საკითხი სადავოდ ხდის თვით ჩვენი ახლანდელი მსჯელობის საფუძვლიანობას. მართლაც და თუ ყოველ მხარეს ჰქონდა თავისი კანონები - გარდა არაგვის საერისთავოსი, მაშინ მართო ეს დანაკლისი კმარიყო რომ გიორგი მეფეს ამის შესავსებად ეზრუნა და მსჯელობა რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ ზედმეტია. საწინაღმდეგო ჰიპოთეზის შემთხვევაში, თუ არც სხვა მხარეთ გააჩნდათ კანონები, თავისთავად დაისმება საკითხი; რატომ აიჩრია კანონმდებელმა მეფემ სწორედ ეს პროვინცია და არა რომელიმე სხვა?

კოდექსის ტექსტი მოგვცემს საშუალებას ამის ახსენისა. დავუბრუნდეთ პარაგრაფს მესამეს პროლოგისა - იმ ნაწილს, რომელიც უყურადღებოდ დატოვეს კომენტატორებმა და სადაც მეფე გვეუბნება, რომ მისთა წინაპართ სურდათ შემონახვა უწესრიგობისა „პირიანებოდათ აღევით ყოფა“. ი. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ გიორგი მეფის საყვედური მისი წინაპრების მიმართ გაუმართლებელია; „გიორგი ბრწყინვალე ამტკიცებს, რომ მეფეთათვის სასარგებლო, იყო, მთიულებს უწესრიგოდ ეცხოვრათ და ერთმანეთი ეყლიტათო. საბუთები კი არ

გვიჩვენებენ რომ ეს ბრალდება სამართლიანი ყოფილიყო“ (სამართ. ისტ. გვ. 95).

ამ ერთ შემთხვევაში ჩვენი ისტორიკოსი გამჭრიახობას არ იჩენს. მეფის განცხადება კი უმნიშვნელო არ არის და უნდა ვძებნოთ; რომელ მოვლენას, რომელ მომხდარ ამბავს, ან რომელ საქციელს გულისხმობს იგი; თუნდაც ამის პასუხი „საბუთებში“ არ მოიპოვებოდეს. გიორგი „ბრწყინვალეს მოქმედება აწკარად დაპირისპირებულია მისი წინაპრების მოქმედებასთან. მართლაც - და რისა თქმა სურს მას, თუ არა შემდეგისა: ჩემზე ადრინდელ მეფეებს ჰქონდათ მიზეზი „საქმისა რომლისათვის“ სასურველად მიეჩნიათ არეულობის შენარჩუნება მთიელთა შორის. მაშასადამე მათ არ შეეძლოთ ამ ხალხისათვის კანონის მიცემა, რაც ამ არეულობას მოსპობდა.

აქედან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ და დავუშვათ არსებობა შემდეგი მსჯელობისა: მე გიორგი მეხუთე ვწერ მთიულთათვის განკუთვნილ სამართალს და ეს ინიტომ, რომ ბოლო მოვუღო მათში არსებულ ანარქიას. ნე მსურს რომ გამეფდეს წესიერება და ამ საკითხში მე ვეწინააღმდეგები ჩემზე ადრე მყოფთ.

მაშასადამე, არსებობს აშკარა განიჯვნა გიორგი მეხუთეს პოლიტიკასა და მის წინაპართ პოლიტიკას შორის. ამ კონტრასტზე ნათლად უფიქრია კოდექსის ავტორს რადგან მას საჭიროდ დაუნახავს ამაზე ლაპარაკი — საბუთის პროლოგში გარნა ოპოზიცია მქლავნდება ერთი (დაზუსტებული საკითხისა გამო). მოტივი რომლისა გამო მეფის წინაპრები არეულობის შემონახვას ამჯობნიებდნენ. აქ არის რაღაც იდუმალად, რომლის გამოცნობაც უნდა შეგვაძლებდეს ისტორიულ მოვლენათა ანალიზმა — რაკი ამაზე სდუმს თვით დოკუმენტი.

როდესაც ნე 15 საუკუნის ოციან წლებში ტახტზე ადის გიორგი ბრწყინვალე, საქართველოს თითქმის ასწლოვანი მონღოლთა ბატონობა ჰქონდა გადატანილი. მრავალ გზის მოოხრებულ ქვეყანაში, მეფობას ყოველი ავტორიტეტი და საყრდენი დაჰკარგოდა. ყოველივე ეს კარგად ცნობილია (ყამთამწერელი და ჯავახიშვილი). მაგრამ საჭიროა ხაზი გავუსვათ შემდეგ ფაქტს: თუმცა მონღოლთა ბატონობის შედეგებმა მთლიანად შეარყიეს პოლიტიკური სტრუქტურა, მაგრამ ეს პრაქტიკულად არ შეხებია ქვეყნის სოციალურ ორგანიზაციას. მე 13 საუკუნეში საქართველოში აღარ მეფობდნენ მეფენი, რომელთაც ასეთი სახელი დაერქმის, ხელისუფლება დამპყრობთა ხელშია, მაგრამ ქვეყნის საერისთავოებად დანაწილება კვლავ არსებობს. ერისთავნი კვლავ სუვერენნი არიან თავიანთ ვასალებისა და თავიანთ მიწებზე მიმდარებული გლეხობა კვლავ პატრონთა მორჩილებშია. ფეოდალურ რეჟიმს არაფერი ემუქრება და ვასა-

ლური დამოკიდებულებანი არ შეწყვეტილან — ნომინალურად მაინც ამაში დასარწმუნებლად, მაშინდელ სიგელთა კრებულის გადასინჯვაც კმარა.

მე 13 საუკუნეში — „სრულ მონგოლურ ხანაში“ — სუხენერები საკარგავს გასცემენ და ანიჭებენ შეუღლობას იმავე ფორმით და იმავე ტერმინებით, როგორც წარსულში. (იხილე დოლიძე ტომი — 4. საბუთი — 17 — 30) მაგრამ ნამდვილი ბატონება მონგოლთა წარსულში (იხილე დოლიძე ტომი 4. საბუთი 17 — 19 — 23) ხელსაყრელია. ისინი თავისუფლებიან იმ მორჩილებითგან, რომელიც შათ მეფისადმი ენართათ, სამაგიეროდ, ეს ახალი მდგომარეობა ჩაგრავს გლეხობას. ეს გამოიხატა შემდეგში: მათ ჩვეულებრივ ვალდებულებებს ემატება სპეციალური „სამონგოლო“ ხარკი. მე 13 საუკუნის ბოლოსათვის ოთხი — მართალია არა თანაბარი ძალა თანარსებობს; დამპყრობნი, ფეოდალნი, მეფის ხელისუფლება და გლეხობა.

ყოველ ცალკე სამთავროს ბედსა სწყვეტს ის დამოკიდებულება, რომელიც პროვინციის მეთაურს დამპყრობელ ხელისუფლებასთან ჰქონდა, ხოლო მეფე კი თავისი ავტორიტეტის — თუნდაც ნომინალურის შენარჩუნებას იმით ცდილობდა, რომ ხან მონგოლებს ემხრობოდა, ხან კი მათი ნების გარეშე მოქმედებას არჩევდა. დამპყრობელთან ბრძოლის დროს მეფე თავის ერისთავთ ვერ დატყრდნობოდა, რომელთა ერთგულებაც არასდროს არ იყო ხანგრძლივი. ნორმალური იქნებოდა რომ მეფე გლეხთა მასას დაყრდნობოდა, მაგრამ ესენი უშუალოდ თავიანთ ბატონებს — ადგილობრივ ფეოდალთ ექვემდებარებოდნენ. ერთადერთი თხვისუფალი ნოსახლეობა, რომელსაც თავისი თავი თითონვე ეკუთვნოდა და რომელსაც შეეძლო მეფისათვის მხარი დაეჭირა, ეს იყო ქვეყნის ის ნაწილი, რომელშიც ფეოდალური რეჟიმი ღრმად არ იყო გამჯდარი: ე. ი. ქართველი მთიელები კერძოდ კი არაგვის საერისთავო. ეს გარემოება გამოიყენა გიორგი მეხუთეს უფროსმა ძმამ დავით მერვემ, რომელიც მონგოლებმა 13 საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოში გაანთქკეს. (დასავლეთში კონსტანტინე მეფობდა).

დავით მერვეს მეფობის ხანაში თითქმის უცვლელი სცენარით მეორდება: მეფეს იბარებენ წინაშე მონგოლთა ყაენისა, მაგრამ ნეფე არ მიდის, ამის შედეგად მონგოლნი შეესევინან და მოაოხრებენ ქვეყანას, განსაკუთრებით ქართლსა და ტფილისს. მეფე მათში ე. ი. არაგვის საერისთავოში შეიხიზნება და მთიელები იბრძვიან მეფის თავისუფლების შესანარჩუნებლად (ქ. ც. გვ. 289 323). მემატიანე მოგვითხრობს, რომ მეფე დავითს, მონგოლთა ნდობა არა ჰქონდა და ამიტომ მხოლოდ ზამთა-

რს ატარებდა ქართლში, ხოლო ზაფხულს მთიულეთს ადიოდა. იმ არეულ წელთა განმავლობაში გიორგის ეფექტიურ გამეფებას რომ წინ უსწრებდა, ე. ა. 1292 დან 1314 — სა საქართველოში სამი მეფე იყო: მონგოლებმა მათ მიერ გადაყენებული დავითი, ჯერ კიდევ მცირე წლოვან მომავალ გიორგი ბრწყინვალეთი შეცვალეს; რადგან გიორგი ჯერ ბავშვი იყო მონგოლებმა ვახტანგ მესამე დასვეს ტფილისში, მაგრამ მეფე დავითი, მთიულთა შემწეობით, კვლავ მეფობას ინარჩუნებს და ფაქტიურად აღ. საქართველოს მთელი მთიანეთის მეფეა.

დიდებულითა განსაზღვრული ნაწილი დავით მეფეს მხლთა მხარეს იჭერდა. მისი ჯარები მრავალჯერ შეუერთდნენ მონგოლთა ჯარებს და მათთან ერთად თავს დაესხნენ არაგვის მხარეს. ე. ი. იქ სადაც ფეოდალური წესი ძალაში იყო, მოსახლეობის მეფისადმი ლოიალობა მთავრის განწყობილებასზე ეყიდა. პირუტყუ იქ სადაც „არეულობა“ სუფევდა ანუ სადაც ვასალური დამოკიდებულება არაფერს ნიშნავდა, მეფეს შეეძლო მოსახლეობას უშუალოდ დაყრდნობოდა. აქ მეფესა და ერს შორის ჩარევა ვასალებს აღარ შეეძლოთ.

თუ იმ ოციოდე წლის განმავლობაში, რომელიც გიორგი ბრწყინვალეს გამეფებას წინ უსწრობდნენ, საქართველოში მეფობა შენიორჩა, ეს მხოლოდ მთიულთა წყალობით მოხდა, რომელთა ერთგულება თავიანთ მეფისადმი არასდროს გაყალბებულა.

შეუძლებელი იყო — და მეფეებმა ეს კარგად იცოდნენ — რომ მთიულები მონგოლთა ცდას მათი გადმოპირებისა წამოჰკებოდნენ, რაც განუწყვეტლივ ხდებოდა ფეოდალთა მიერ ნართულ მხარეებში. მართლაც მონგოლები ვერაფერს შესთავაზებდნენ თავისუფალ და ამაყ მთიელე-არეზე იყო მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მათი ცდები ამაო რჩებოდა, როცა ბრძოლა ქვეყნის დაბლობში მიმდინარეობდა, სადაც მონგოლთა ცხენოსნებს გაშლის საშუალება ჰქონდათ. ამიტომ მეფე მუდამ ცდილობდა, მტერთან ბრძოლა მთიან ადგილებში გაემართა, სადაც მონგოლთა ცხენოსნებს გაშლა უჭირდათ და გამარჯვება ბოლოსდაბოლოს მთიულებს რჩებოდა ხოლმე. მართლაც მონგოლებმა ვერასოდეს შესძლეს მთებში დავითის ძღვევა. ასეთ პირობებში მთიელთა ერთგულება გადამწყვეტ ელემენტს წარმოადგენდა მეფის გადასარჩენად, მაგრამ მეფეს არავითარი ავტორიტეტი არა ჰქონდა ერისთავებზე. რაკი მეფესთან შეწყვეტილიყო ვასალური დამოკიდებულება, მეფეს აღარ შეეძლო სასურველი გავლენა მოეხდინა მათ საქციელზე. როგორც ვიცით, ქართლის მთიანეთის დასავლეთ ნაწილს ქსანის საერისთავო შეადგენდა, ვარნა ქსნის ერისთავი ქვენიფნეველი დიდად ორგული იყო მეფისა და მუდამ მონგო-

ბს, რომელნიც თავიანთ თავს ბატონ - პატრონად თვლიდნენ - მათ მიერ დასახლებულ მხარისა. იმ უძვირფასეს წყაროს მეშვეობით როგორც „ძველი ერისთავთა“ არის, ჩვენ კარგად ვიცით თუ ეს მხარე რა მდგომარეობაში იმყოფებოდა 14 საუკუნის დასაწყისში: მოსახლეობა მხოლოდ გვარის უხუცესთ და წარმართულ კულტის მსახურთ ემორჩილებოდა. ერისთავს ქვეყნის საქმის მართვაში არ ეკითხებოდა რა. მთიულთათვის დაპყრობელი მტრად მიიჩნეოდა და ეს პოზიცია მათ არასოდეს შეუცვლიათ. ისინი სრულიად ბუნებრივად მეფე დავითის ბრძანების ქვეშ დაირაზმნენ და მას გაჰყვნენ ბრძოლაში, რომელიც მათი საკუთარი ბრძოლაც იყო. სამეფო პოლიტიკა იმ ხანებისა, რომელიც გიორგი მეხუთის გამეფებას წინ უსწრობდა შეგვიძლია შემდეგნაირად განვსაზღვროთ: მეფობის გადარჩენისათვის მთავარი პირობა იყო, ფეოდალურ სისტემის გარედ დატოვება მთის მოსახლეობისა. ამიტომ მთლიანად მართალი იყო გიორგი მეხუთე, როდესაც განაცხადა, რომ მის წინაპრებს „ჰსურდათ შენარჩუნება არეულობისა“ არაგვის ხეობის მცხოვრებთა შორის.

ნას კი სამაგიეროდ, მიზნად დაუსახავს მდგომარეობის სრულიად შეცვლა და ამ მხარეში წესრიგის დამყარება, და ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად მას მთიელთათვის „წესების“ მიცემა ნიანჩია. მის წინამორბეტთა პოლიტიკა შეიცავდა „უმოქმედებას ვასალური სისტემისა“. ოპერაცია კი რომელსაც ახდენს გიორგი მეხუთე ამას იგი თვითონვე გვეუბნება — ამის საწინააღმდეგოს: ნაშასადამე იგი უნდა მდგომარეობდეს ვასალური სისტემის ნორმალური ფუნქციერების მოწყობაში, არაგვის საერისთავოსათვის. ვარნა სწორედ ამ გზით მიაღწია გიორგი მეხუთემ, მისი გვირგვინის ქვეშ გაერთიანებას მთელი საქართველოსი. მხოლოდ აქვე უნდა დადგინდეს ჩვენი მსჯელობისათვის დიდად მნიშვნელოვანი განსხვავება: მეფის მოქმედება არაგვის საერისთავოს მიმართ სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე საქართველოს სხვა მხარეთა მიმართ. 1) ჩვენ ვიცით როგორ იქცეოდა გიორგი მეხუთე ამ სხვა მხარეებში. ტიპურად „ფეოდალურ“ ხასიათის მქონე აქტთა მთელი სერიის მეოხებით, მან თავისი გვირგვინის ქვეშ თითო - თითოდ, საქართველოს ყველა სამთავროებს თავი მოუყარა. ცნობილია რომ ეს შეკრება ოთხ ეტაპად მოხდა. პირველი ეტაპი ქართლის ტახტზე ასვლა იყო: ერთგულების სამაგიეროდ ყანმა მას აღმოსავლეთ საქართველო და ტფილისი უბოძა. შემდეგ ამას მოჰყვა დამორჩილება კახეთისა, რომელიც ირანის მონგოლებს ემხრობოდა. მეფემ ცივ - გომბორზე მოიწვია კახეთ - ჰერეთის დიდებულნი, სადაც მან მონგოლთა მომხრენი ამოწყვიტა და მათ ნაცვლად თავისი მომხრენი



დაადგინა. 1329 წელს იმერეთი უმეფოდ იყო, მეფე მიხეილის სიკვდილისა გამო, რომელსაც ნცირეწლოვანი მემკვიდრე, უფლისწული ბაგრატი დარჩა. გიორგიმ აიღო ქუთაისი, სადაც ბაგრატი დასვა და იმერეთი უბოძა მას. 1334 წელს გიორგი მესხეთის მიმართაც ასევე მოიქცა. ახლად გარდაცვლილ სარგისის სამფლობელო, მის კანონიერ მემკვიდრეს ყვარყვარეს უბოძა. ათიოდე წლის განმავლობაში გიორგი მესხეთე გაერთიანებულ ფეოდალურ სანეფოს სუზენერად იქცა.

ეს ყოველი მან შესძლ მით რომ პიროვნულ კავშირთა დამყარებით, ქვეშევრდომთა გაიხადა მთელი ქვეყნის ცალკეული დიდნი მფლობელნი, ხოლო ამ ქვეშევრდომობის მათგან ცნობის სანაცვალოდ ტახტის სახელით უბოძა და დაუდასტურა მათივე სამფლობელები. ეს მშვენიერათ შეუგნიათ თანამედროვეთ და არ შენცდარან, როცა გიორგი ბრწყინვალეს პატრონი უწოდეს.

მე 13 საუკუნის განმავლობაში ფეოდალურმა სისტემამ თუმცა არსებობა განაგრძო, მაგრამ ამ სისტემის იერარქიული ჯაჭვი გაწყვეტილი იყო მეფესა და ერისთავთ შორის. გიორგი ბრწყინვალეს პოლიტიკა ამ ჯაჭვის გამართლებლაში გამოიხატებოდა: მაშასადამე ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა აღდგენას და უზრუნველყოფნას მეფის ავტორიტეტისა ფეოდალებზე.

2) სულ სხვანაირი მდგომარეობაა არაგვის ხეობაში, აქ ვასალური დამოკიდებულება ადგილობრივ სენიორთა და გლეხობას შორის იყო კაწყვეტილი. აქ საკითხი არ იდგა მეფის ავტორიტეტის აღდგენისა ერისთავთა ზედა. ასეთი რამ არც რაიმე დაბრკოლებას წააწყდებოდა და არც კანონთა გამოცენას საჭიროებდა - მეფე ხომ უკვე მთელ საქართველოს პატრონად იყო აღიარებული (გავიხსენოთ რომ 1334 წლის ე. ი. საქართველოს გაერთიანების შემდეგ დაიწერა ეს კანონები). პირუკუ სწორედ გიორგი მესხეთის პრესტიჟის წყალობით მოხდა, მოსახლეობის მიერ განდევნილ ფეოდალთა დაბრუნება არაგვის მხარეში. გავიხსენოთ რომ გიორგის მეფობის დასაწყისში მოხდა ოსების შემოსევა. ამ ბრძოლების დროს, ქსნის და არაგვის ხეობის მცხოვრებთა მიერ გაწეულმა სასტიკმა წინააღმდეგობამ რამოდენიმეჯერ გადაარჩინა სამეფო. ამ ბრძოლებში ქსნის საერისთავოს მცხოვრები თავიანთ ერისთავს მიჰყვებოდნენ, ხოლო არაგველები კი მხოლოდ ადგილობრივ მეთაურთა წინამძღოლობით იბრძოდნენ. ოსთა დამარცხებისა და უკუგდების შემდეგ, ქსნის ხეობისა და არაგვის ხეობის მცხოვრებთა შორის გაჩაღდა ბრძოლა. ე. ი. ბრძოლა, არაგვის თავისუფალ თემებსა და ქსნის ერისთავს შორის. საჭირო შეიქმნა გიორგის შვილის — უფლისწულ დავითის ჩარევა, რომ ბრძოლას ბოლო მოღებოდა.

ამ მომხდარ ამბიდან მეფეს შეეძლო ორი დასკვნა გამოეტანა 1) არაგვის საერისთავო და ციხე - სიმაგრეები, უპირველეს მნიშვნელობისანი იყვნენ სახელმწიფოს დაცვისათვის და ამ მხარის მოსახლეობა სწორუპოვარ საომარ ძალას წარმოადგენდა.

2) ეს ძალა ძნელად გამოსაყენებელი იქნებოდა — ვიდრე, ეს მხარე სახელმწიფოს საერთო წესებს დაუქვემდებარებელი დარჩებოდა. აქედან გამომდინარეობდა აუცილებლობა, ისეთი სტატუსის გამოიმუშავებისა, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებათა აღდგენას უზრუნველპყოფდა და ამგვარად საერისთავოს წესებს შეათანხმებდა იმ პოლიტიკურ სტრუქტურასთან, რომელზედაც გიორგი მეფე თავის ხელისუფლების დაყრდნობას აპირობდა. მხოლოდ ეს უნდა მომხდარიყო ისე, რომ ადგილობრივ გვაროვნულ ხელისუფლებას ყველა უფლებები არ წართმეოდა, რადგან მათი თანამშრომლობა აუცილებელი რჩებოდა ამ მხარის სამხედრო ძალების ომში გამოსაყვანად.

მაშასადამე მე 14 საუკუნის პირველ წლების პოლიტიკური ისტორია შესაძლოდ ხდის, წარმვიდგინოთ ის მოტივები რომლებმაც მეფეს ამ კანონთა დაწერა უკარნახა, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს ამ კანონის ზოგიერ მუხლთა უკეთ ინტერპრეტაციისა, მაგრამ საწინააღმდეგო მიმართულებითაც, უნდა მოველოდეთ რომ ძეგლის შინაარსი, განსაზღვრულ ზომით ჩვენ ცნობებს მოგვაწვდის — თუ როგორ წარმოადგინა გიორგი მეფეს ეს ფეოდალური მონარქია, რომლის მთელ სამეფოზე განვრცელება მას განზრახული ჰქონდა. ამიტომაც რომ ძეგლის წაკითხვისას საჭიროა ანგარიში გაეწიოს, სამ ელემენტს რომელთა მიხედვითაც ძეგლი უნდა შევაფასოთ. 1) მისი ნაწილობრივი დანიშნულებათა არაგვის საერისთავოზე გაავრცელოს, ქვეყნის დანარჩენ მხარეებში ძალაში მყოფი წესები — რომ ნორმალურად იმოქმედოს ფეოდალურ — ვასალურმა სისტემამ. 2) ეს სისტემა შეკვეცილ — შესუსტებულია იმ მიზნით. რომ პატივი სცეს ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთ უფლებებს. 3) ფეოდალურ — ვასალური სისტემა შესწორებულია იმგვარად, რომ იგი ეთანხმებოდეს კანონმდებელ მეფისათვის საყვარელ კონცეპციას.

მთავარ პრობლემებად მაინც რჩება კავშირ - დამოკიდებულების გაძლიერება მთავარსა და მოსახლეობის შორის. ეს საზრუნავი კოდექსის პირველსავე მუხლიდან მკვადენება, სადაც მთავრის მოკვდინება უდიდეს ბოროტებად არის წარმოდგენილი, კიდევ უფრო საძველსაშინლად ვიდრე მამის მკვლელობა. მამის მოკვლა ითვლება ვით „უწესო“ (15. 1), მაშინ როდესაც მოკვლა მთავრისა უმზავსოა და განუზომელი (1. 2. იგი

არავის ჩაუდენია (რაც არა სწორია) და სასჯელი რომელიც დამნაშავეს ეკუთვნის თვით მეფემ უნდა დაადგინოს. მაგრამ კოდექსი განსაკუთრებული დაჟინებით ხაზს უსვამს ხევისბერის მორჩილებას მთავრისადმი. ჩვენ ვიცით, რომ ეფექტური ხელისუფლება ხევისბერის ხელთ არის ყოველ საფეხურზე; ეს იქნება სოფლის, გვარი, თემი თუ მთელი მხარე. მაშასადამე მთიელთა დამორჩილების წინასწარი პირობა, ხევისბერის დამორჩილება იყო. თუ რომელიმე მათგანი ბოროტმოქმედებას ჩიდენს (გამგებლის მოკვლა), დამნაშავის სახლკარის ჩამომრევი და სხვისათვის გადამცემი ერისთავია. (5. 1.) ასევე ერისთავი მისცემს, მეფის თანხმობის შემდეგ (დაუბრუნებს) ხევისბერს ჩამორთმეულ ქონებას. (5. 2. ცხადია დამნაშავე ხევისბერს თანამდებობა წაერთმევა და გადაეცემა ერთ - ერთ წევრს მისი გვარისა (5. 3. ), მაგრამ თუ ამგვარი გადაცემა შეუძლებელი ხდება, მაშინ ერისთავი და გამგებელი აირჩევენ ახალ კანდიდატს და იგი ხევისბერად დაინიშნება სასახლის მიერ (5. 4.). და ბოლოს ერისთავისა და გამგებლის დაძახებაზე გამოდის ხევისბერი თავისი სამხედრო მოვალეობის ასასრულებლად. (19. 1. 3.)

მაშასადამე ადგილობრივი მეთაურები, განსაზღვრული ზომით, ერისთავს ემორჩილებიან. მაგრამ, მისთვის ჩვეული ხერხით, მეფე საზღვრავს მინიჭებულ უფლებებს მით, რომ აწესებს განრიგებათა მთელ რიგს, რომელნიც მშენიშნელოვანად ცვლიან ხასიათს თანადროულ ფეოდალური კანონმდებლობისა. ერისთავის ავტორიტეტი ასე ვთქვათ, ნახევრად შეკვეცილია, რადგან მან გამგებელთან შეთანხმებით უნდა იმოქმედოს. ყოველ მუხლში დაზუსტებით მითითებულია ხელისუფლების ეს განაწილება ერისთავსა და მეფის მოხელეს შორის. მაგრამ ერისთავი მარტოა დასახელებული როცა საქმე შეეხება ხევისბერის სახლკარის ჩამორთმევას და მის გასხვისებას, აქ გამგებელი ნახსენები არ არის. ეს გამორიცხვად ვიწყებთ როდია, პირიქით იგი აჩვენებს, როგორი გულმოდგინებით ეპყრობა კანონმდებელი მეფე - დეტალებს. ეს აგრეთვე ამტკიცებს, რომ მეფე მშვენივრად იცნობდა ფეოდალურ სამართალს და მისი პატივისცემაც იცოდა, როცა ეს მის პოლიტიკას არ ეწინააღმდეგებოდა. ნართლაც და სამთავროს მთელი მიწაწყალი ლეგალურად ხომ სუზერენს ე. ი. ერისთავს ეკუთვნოდა. ჩვენ ვიცით, რომ მე 13 საუკუნის ქართულ წესთა მიხედვით ვასალს არ შეეძლო თავისი მიწების თუნდაც ნაწილობრივი გასხვისება - უნებართვით მისი სუზერენისა. ამიტომაც რომ ხევისბერის ქონების საქმეში მხოლოდ ერისთავია უფლებამოსილი, მხოლოდ სხვა მხრივ ხევისბერი გამოირჩეულია ერისთავის ავტორიტეტისაგან, იმ ზომით რამ-

დენადაც მას მეფისაგან ებოძება, როგორც ქონება ასევე მისი სახელი. აი პროცესუსი: ხევისბერი თხოვნით მიმართავს ერისთავს და გამგებელს, ესენი მიმართავენ ვეზირებს, ვეზირები მიმართავენ მეფეს და ბოლოს მეფე ხევისბერს დომენს. (5. 2, 6. 2, 7. 2, 9. 2). ახალი ხევისბერის დანიშვნაც ასეთივე წესით წარმოებს; ერისთავი და გამგებელი აირჩევენ კანდადატს და მას დანიშნავენ მეფის სახელით. ჩვენ ვხედავთ თუ ასეთი მოქმედება რამდენად წინააღმდეგია ფეოდალურ - ვასალურ რჩევებისა; ნორმალურად, მიწის ბოძება, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ხდება ერისთავის მიერ და არა ამ ერისთავის სუზერენ მეფისაგან.

თავის ფეოდალურ პრეროგატივს. თუ „კაცი ვინე ღირსი არ არის სასახლის მიერ ცნობისა“ მაშინ ერისთავი და გამგებელი . . . „მისცემენ“ მას მამულს (11. 3). დაუკვირდეთ აქ გამოყენებულ ტერმინს: „ნიცემა“ რომელსაც იურიდიული ღირებულება არა აქვს. მაშინ როდესაც მიწა მეფისაგან არის მიცემული, ტექსტი მუდამ იყენებს სპეციალურად საამისო სიტყვას „ბოძება“, რომელიც ფეოდალურ სამართლის ტერმინოლოგიის კუთვნილებაა. მაგრამ ამ „მიცემის“ შემთხვევაშიც სენიორის უფლება შეკვეცილია გამგებლის ჩარევით. ეს ორ პიროვნულობა გიორგი მეხუთეს შიერ შემოღებული სიხალეა რომელსაც როგორც ეტყობა იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა: ერისთავის მიერ შესრულებულ ყოველ ლეგალურ აქტს თან ახლავს ჩარევა გამგებლისა.

ეს წესი მარტო ქონების ბოძებას და სახელის მიცემას არ შეეხება. იგი ვრცელდება მართლმსაჯულების წარმოებასა და სახედრო ფუნქციებზეც. ზოგჯერ, იშვიათად ესათუ ის საქმე ჩათვლილია არა ღირსად, რომ მეფეს მოახსენონ. მაგალითად მოკლული კაცის ახლო ნათესავებმა (ქვრივი ან ძმა) უნდა წილი ნაწილი სისხლის ფასისა. თუ ისინი არა ღირსნი არიან სასახლის მიერ ცნობა, ერისთავი და გამგებელი სწყვეტენ მათ საქმეს. ე. ი. განსაზღვრავენ ოდენობას მისაღები ნაწილისა. თვით ასეთ პატარა საქმეშიც ერისთავის უფლებები განაწილებულია გამგებელთან. ხდება ხოლმე როცა ერისთავი მარტო ერევა საქმეში, მაგრამ — მხოლოდ როგორც მოწმე და არავითარ გადაწყვეტილებას იგი არ ღებულობს. ასეთია შემთხვევა როცა იგი მოუწოდებს რომელსაღმე გაჯიუტებულს, ვალდებულების ასრულების ან ვალის გადახდისაკენ, თუ ეს კაცი მაინც უარზეა, ვაშლისწინებული არ არის ერისთავის უფლება ამ კაცის იძულებისათვის; მხოლოდ ერისთავი ამოწმებს — რაც მოხდა და ამით მომჩივანი უდანაშაულოდ ჩაითვლება თუ მოთმინება დაკარგული მომჩივანი ვალის არ გადახდელს თავს დაესხა (28. 2. 3. 4.). მსგავსივე როლი მიე-



კუთვნიება ერისთავს კიდევ ერთ ანალოგიურ შემთხვევაში: ქურდი უარს ამბობს ნაქურდალის დაბრუნებაზე. თუ დაზარალებული თვითონ შეეცდება თავისი კუთვნილის დაბრუნებას და ამის განო კაცი მოკვდება, თავდამსხმელი გამართლებულია, რადგან ერისთავი დაამოწმებს რომ ქურდმა ნაპარავის დაბრუნება არ ინდომა.

როგორც ვხედავთ, შორს ვართ შეუვალლობის სიგელიდან. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სიგელები სხვაგან უხვად რიგდებოდა მე. 11 და მე. 17 საუკუნეებში და მრავალი ჩვენამდე მოღწეული გიორგი ბრწყინვალეს დროინდელია. ერისთავის სასამართლოებრივ უფლების ასე მკაცრად შეზღვიდისას მეფე ცდილობდა ებრძოლა წინააღმდეგ მისი დროის ტენდენციებისა და ეს მისთვის გაადვილებული იყო არაგვის ხეობის შემთხვევაში მით, რომ მის მოქმედებას არავითარი აღრინდელი ტექსტი ხელს არ უშლიდა.

მეფემ ეს გარემოება გამოიყენა ასევე შემზღუდავ მნიშვნელობით, სამხედრო ვალდებულების ასრულების კონტროლში სახელმწიფოს მიახლოება ჩარევის დაწესებით. 19 მუხლი მოკლეა, მაგრამ იგი ზუსტად მიანიშნებს თუ ვინ იძლევა მობილიზაციის ბრძანებას: ერისთავი და გამგებელი (9. 1). ასეთი წესი წინააღმდეგია ფეოდალურ — ვასალურ ყველა ჩვევებისა. ურიცხვნი საბუთნი ყველა ეპოქისა ერთგვარად იმეორებენ, რომ სამხედრო ბეგარა მართებთ:

გლეხებს აზნაურთა მიმართ, აზნაურთ თავადთა მიმართ, და ყველას — მიმართ ჭეჟისა. არსად ნათქვამი არაა რომ საჭიროა ან შესაძლებელი, ჩარევა სამეფო მოხელისა. არაგვის მხარეში კი 1334 წლიდან მოლაშქრენი ერისთავისა და გამგებლის ერთობლივი მოწოდებით გამოდიან.

გიორგი მე 5 სურვილი იყო გარკვევით დაედგინა თუ რა ხასიათის დამოკიდებულებაში სურდა მას არაგვის ხეობის მოსახლეობის დაქვემდებარება ერისთავისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი ზომის მიღება აუცილებელი გახდა იმ უწყსრიგო მდგომარეობამ, რომელიც მხარეში სუფევდა. მაგრამ ამავე დროს მეფემ იზრუნა იმისთვის, რომ ვასალურ იერარქიის გვერდით შეექმნა თანამდებობანი სახელმწიფო მოხელეთა, რომელნიც სახელმწიფოს სიკეთის ერთგულნი იქნებოდნენ და არა ერისთავის პიროვნებისა. მართლაც განგებულათვის მინიჭებული დიდი როლი მეფეს საშუალებას აძლევდა მათი მეოხებით კონტროლი გაეწია ვასალურ სისტემის ფუნქციონირებისათვის იერარქიის ყველა საფეხურზე, იდეა ახალი როდი იყო. ცნობილია რომ თამარ მეფემ ორი საუკუნით ადრე დააპირა დიდ ფეოდალთა ხელისუფლებისათვის საზღვრის დადება, ვაზირთა და გამგებელთა უფლების

გადიდებით. სანეფოს დიდებულებმა ეს რეფორმა არ მიიღეს და წინააღმდეგნ თამარს, რომელიც იძულებული იყო აჯანყებულთათვის დაეთმო და რეფორმის გატარებაზე უარი ეთქვა.

ჩანს იგივე პოლიტიკის გატარება განიზრახა გიორგი მეხუთემ და განახორციელა იქ, სადაც ეს შესაძლო იყო. ე. ი. არაგვის საერისთავოში. ჩვენ ვხედავთ, რომ იგი დიდმოქნილობით და მოხერხებით ნიქმედობდა; მან გამოიყენა და ერთმანეთს შეათანხმა ადათ-ჩვევანი, ინსტიტუციები და უკვე არსებული თანამდებობანი. როგორც უკვე ავღნიშნეთ, მან სამი ერთიმეორისაგან განსხვავებული წყაროდან ისესხა თავის ნაგებობის შესაქმნელი მასალა; ვასალური სისტემა, ადგილობრივი პოლიტიკური სტრუქტურა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია. ამ სამივე სფეროდან გამოტანილი ელემენტები ფრთხილად შეაზავა და შეაერთა მან, რომ მიეღწია წონასწორობისათვის, რომელშიც თავიდან აცილებული იქნებოდა ის საფრთხე, რომელსაც ყოველი ამ ელემენტთაგანი შეიცავდა და რომელნიც უთუოდ თავს ამოპყოდნენ, თუ თავისუფალ მდგომარეობაში იქნებოდნენ დატოვებული. გიორგი მეფის ამგვარი მოქმედების მშვენიერ მაგალითს გვაწვდის ის „დოსტაქრული“ ოპერაცია, რომელიც მან ხევისბერს მოუხდინა. მაგრამ ღრმა ცვლილებები, რომელნიც მეფემ ამ თანამდებობას მოუტანა, მხოლოდ საუკუნეებში სამაგიერო იყო, სხვა მოვლენისა: რთული გარდაქმნა აზნაურებისა და ყმის მდგომარეობისა.

ჩვენ ვიცით, რომ მიუხედავად დიდი რეალური მნიშვნელობისა, რომელნიც მათი რიცხვისა და მდგომარეობისა გამო აზნაურებსა ჰქონდათ, კოდექსში აზნაურს ყოველად მცირე ადგილი ეთმობა, მაშინ როდესაც ერისთავი და გამგებელი ყოველ საფეხურზე, უნდაბლესზედაც კი ჩარეულნი არიან, აზნაურს არავითარი ხელისუფლება არ ენიჭება - ავტორიტეტის ნატამალიც კი. კიდევ მეტი: თვით მის საკუთარ ფუნქციებსაც კი არა სცნობს კოდექსი — ყოველ შემთხვევაში მათზე არაფერს ამბობს. ქართლში ხომ აზნაურისა ემართა გლეხებს სამსახური და შრომითი ბეგარა. ერისთავს ხომ აზნაურის მეშვეობით მოსდიოდა ყოველი შემოსავალი, ხოლო ერისთავის მეოხებით აღწევდა იგივე მეფემდე. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყოველი შუამავალი ერთგვარ ცხრილს ანუ შემადგურებელ ეკრანსაც წარმოადგენდა (ეს ის პრობლემაა, რომლის მთლიანად გადაწყვეტა ევროპიულმა ფეოდალიზმა ვერასოდეს შეძლო). თვით თავისი ფუნქციის გამო აზნაური შუამავლის სახით იყო ჩარეული, ერისთავსა და იმთ შორის, ვისაც სამხედრო ბეგარა მართებდა. ნეორე მხრივ აზნაურის ერთგულობა თავის სუხერენ ერისთავის მიმართ, რომელთანაც იგი პიროვნულად იყო



დაკავშირებული, იმ საფრთხეს შეიცავდა, რომ შესაძლებელია ხდებოდა აზნაურის სრულებით განთავისუფლებულიყო მეფის ავტორიტეტისაგან. ქართველ აზნაურებს, გარდა სამეფო აზნაურებისა — თავიანთ პატრონის, პატრონისაგან ე. ი. მეფისაგან რაიმე წყალობის ნიღბის იმედი ვერ ექნებოდათ. ეს მდგომარეობა, რომელიც ყოველ ფეოდალური სისტემის საკუთრებაა, საქართველოში კიდევ უფრო იგოძნობოდა, ქართველ აზნაურთა მჭიდროდამოკიდებულებისა გამო თავიანთ თავადებზე.

გარნა ჩვენ ვიცით როგორი იყო გიორგი ბრწყინვალეს მთავარი ნიჰანი, ან მისი დღისწესრიგში მდგომი პრაქტიკული მიზანი: მას ჰსურდა გაეძლიერებია არაგვის ხეობის ერის მორჩილება ერისთავისადმი — იმგვარად, რომ მეფეს შეენარჩუნებია, კონტროლის საშუალება მოსახლეობაზე, რომელშიდაც იგი უპირველესად ნეომრებს ხედავდა. იმისათვის, რომ აზნაურთ დამბრკოლებელთა სახით ჩარევა არ შეძლებოდათ, ერისთავსა და მთიელებ შორის, საჭირო იყო საქმის ისე მოგვარება, რომ ერისთავის ხელისუფლება, აზნაურთათვის გვერდის ახვევით მიწვდომოდა მოსახლეობას, ყოველ იერარქიულ საფეხურზე. სწორედ ასეთია ერთერთი შედეგი რომელსაც აღწევს კოდექსი: ერისთავს დაკისრებული აქვს ფუნქცია, რომელსაც ნორმალურად აზნაური ასრულებს, გარდა ამისა მეფეს არ შეეძლებოდა უშუალოდ კონტროლი გაეწია ერისთავის ვასალებისათვის — როგორც იგი ერისთავის მოქმედებას გამგებლის მეშვეობით უწევდა კონტროლს. ამისთვის საჭირო იქნებოდა, სამეფო მოხელეთა დანიშვნა ერისთავის ქვეშევრდომ ყველა საფეხურზე და ესენი ამ უკანასკნელს იქნებოდნენ დამორჩინებულნი. ეს იქნებოდა ფეოდალური რეჟიმის დასასრული და არა სჩანს გიორგი ბრწყინვალეს ასეთი რევოლუციის შესაძლებლობა აზრად ჰქონოდას. გარდა ამისა მის ინტერესებში ეს არც შედიოდა, რაკი მისი ძალაუფლება პიროვნულ მორჩილების პრინციპზე ეყრდნობოდა.

ამიტომ იყო, რომ მეფე შეეცადა რამდენადაც შეეძლო, შეეკეცა აზნაურთა როლი არაგვის საერისთავოში. სამაგიეროდ მეფემ გონიერი მოხერხებით შეძლო ბიძგი მიეცა მისი პოლიტიკისათვის ხელსაყრელ ინსტიტუტის განვითარებისათვის. საქმე შეეხება აზნაურებს, რომელთაც ეწოდებოდათ „აზნაურნი, ტაძრეულნი“ ისინი ტოლფარდნი არიან ფრანგული „სამეფო ვასალებისა“ (ვასალი დომინიჩი). თუმცა ამ აზნაურთა მიწები მთავართა სამფლობელოში მდებარეობდა, მაგრამ მეფის მიერ იყო ბოძებული და მფლობელნიც პირდაპირ მეფეზე იყვნენ დამოკიდებულნი. ამიტომ არის კოდექსში მუხლი 27, რომლის მიხედვითაც უპატრონოდ დარჩენილი დომენი „სასახლის მიერ უნდა ებოძოს“ სხვას, რომელიც ამისათვის თავზედ

იღებს სამსახურსა და სამხედრო ვალდებულებას. ცხადია, რომ ამგვარი ხელშეკრულება მის დამდებს პირდაპირ მეფესთან აკავშირებს გარეშე ყოველი შუამავლისა.

ამ რეფორმათა შედეგად აზნაური, ასე ვთქვათ, გარიყულია (გარდა ტაძრეულისა). ამგვარივე მოსაზრებით უხელმძღვანელობს მეფეს, როდესაც მან სრული სახეცვალება ნიუხდინა ყმას. ცნობილია, რომ ტერმინი ყმა განუწყვეტლად გვხვდება იმ ხანის დოკუმენტებში და კერძოდ ათაბაგის სამართალში, რომლის პირველი ნაწილიც მეფე გიორგის კოდექსის უმთავრესი სახელმძღვანელო წყაროა. გარნა ეს ტერმინი მხოლოდ ერთხელ გვხვდება მეფე გიორგის კოდექსში და ამ ტერმინის აზრ-შინაარსი სრულიად გადასხვაფერებულია: აქ ყმა „მოყმეს“, „მეომარს“, „მხედარს“ აღნიშნავს. თუნცა ისიც მართალია, რომ ბარში არსებულ ცნების „ყმას“ დანერგვა მთიელთა შორის, სადაც გავროვნული წესები მეფობდა ძალიან ძნელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეფე გიორგის რომ ნდომოდა იგი აქაც უკან არ დაიხევდა, როგორც სხვა შემთხვევაში არ უყოყმანია მთიელთა შორის, მათთვის უცხო წესები რომ შემოეღო. ფაქტიურად მეფე გიორგის პოლიტიკა მთიელთა მიმართ, თუ არა ყმობის მთლიანად გაუქმებას, გადასხვაფერებას მაინც გულისხმობდა. გარნა ყმები ხომ მხოლოდ თავიანთ უშუალო უფროსს ე. ი. აზნაურს ენორჩილებოდნენ და ამგვარად სამხედრო სამსახურიც აზნაურისა ჰმართებოდათ. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ გიორგი მეფემ არც სცნო ყმათა ასეთი დამოკიდებულება, როცა ჯარის შეკრების უფლება პირადად მეფეზე დამოკიდებულ ორ პირს ერისთავსა და მეფის წარმომადგენელ გამგებელს მიანიჭა.

მაგრამ ცხადია, ამგვარი ცვლილებანი სიცარიელეს ქმნიდნენ ვასალურ სისტემის განსაზღვრულ საფეხურზე: არავინ იყო ერისთავსა და მშრომელ მოსახლეობას შორის — რაც ნაწილობრივად კანონმდებლის მიზანს შეადგენდა, მაგრამ მძიმე ნდგომარეობასაც ქმნიდა. აზნაურისგამორიცხვა და ყმის, ასე ვთქვათ გაქრობა, ფეოდალურ — ვასალურ სისტემას ართმევდა იმ უმნიშვნელოვანეს ხრახნილს, რომლის უმისოდაც ეს სისტემა ვერ იმოქმედებდა, ან მთლიანად უნდა გარდაქმნილიყო. საზოგადოების წიაღში შექმნილ ამ სიცარიელის ანოსავსებად მეფემ გამოიყენა უკვე ადრევე არსებული საზოგადოებრივი ფუნქცია, რომელსაც სრულიად შეუცვალა მისი ადრინდელი ხასიათი და მნიშვნელობა.

ჩვენ ვიცით, რომ არაგვის მხარეში რეალური ხელისუფლების მქონე იყო ხევისბერი, და რომ ეს თანამდებობა არსებობდა ყველა საფეხურზე სოფლის ხევისბერიდან დაწყებული მთელი მხარის ხევისბერანდე. აი ამ ადგილობრივ იერარქიას, რომლის ვამოსადგეგობაც დროთა მიერ



იყო დამოწმებული, მიმართა გიორგი ნეხუთემ — შექმნილ სიცარიელის ამოსავსებად. აქედან მომდინარეობს ხევისბერობის რეფორმა, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს, რომელიც კოდექსმა შემოიღო და იგია მთავარი ღერძი გიორგი მეფის პოლიტიკისა საერისთავოში.

რელიგიურ და სამხედრო ფუნქციის მქონე წარმართულ მეთაურიდან, გიორგი მეფემ მოახერხა შეექმნა მრავალ ასპექტის მქონე პერსონაჟი: ერთსადაიმანვე დროს — სახელმწიფოს აგენტი, ვასალი და მხედართმთავარი. თუ რა ადგილს ანიჭებდა რეფორმატორი მეფე ხევისბერს, ამას ჩვენ გვეუბნება ის საფეხური, რომელიც ხევისბერს მისი სისხლის ფასის დადგენისას მიეკუთვნა: იგი ამ დარგში ერისთავთან და გამგებელთან არის გათანაბრებული. (ან სამ კატეგორიის წევრთა სისხლის ფასი 6 - ათასი თეთრია). მაშასადამე ცხადია, რომ მეფეს ჰსურდა ხევისბერი აზნაურისათვის გაეთანასწორებია, რაც მრავალის ნიშნულია — მეფის შინაგან ღრმა განზრახვაზე. მართლაც ყურადღება მივაქციოთ, რომ ეს ამბავი ზომას სცილდება, რადგან იგი ყველა რანგის ხევისბერზე ვრცელდება: სოფლის გვარის თუ მთელი ხევისა. ამ დისპროპორციის შედეგად ნეტყველია: აზნაური რომელსაც ზოგჯერ რამდენიმე სოფელი ეკუთვნის, გათანაბრებულია ისეთ კაცთან, რომელთაც ვასალური იერარქია ნორმალურად დაბალ სტატუსს ანიჭებს ხოლმე. ხევისბერისთვის მინიჭებული პატივი, ფაქტურად აზნაურის დადაბლების ტოლფარდია. და ეს კარგად ეთანხმება კანონმდებლის პოლიტიკას.

მაგრამ ადგილობრივ მეთაურთა აღზევებას, მათთვის მეურვეობის დადგენაც თან უნდა ხლებოდა, თორემ იგი სასურველ ნიშანს გადაცილდებოდა, რასაც პირველ მდგომარეობივე დაბრუნება მოჰყვებოდა, რომლის სწორედ შეცვლა იყო კოდექსის დანიშნულება. ამიტომ მოხდა, რომ ხევისბერი დაუქვემდებარეს ერისთავს, გამგებელს და მეფეს — ერთდროულად ეს დაქვემდებარება ვრცელდება როგორც პიროვნებაზე ასევე ქონებაზედაც და ამგვარად მას ფეოდალურ — ვასალური ხასიათი ეძლევა. გარდა ამისა იგი მოხვევთა ადათებსაც არღვევს, რადგან ადგილობრივი წესის თანახმად, ხევისბერი ხატის მიერ არის არჩეული და ამ ხატის სურვილი ქადაგის სიტყვით არის ცნობილი, დღეიდან კი ხევისბერი არჩეულია ერთობლივ ერისთავისა და გამგებლის მიერ, მაგრამ „დაყენებულია“ მეფის კარისაგან. (გამოთქმა „დაყენება“ განუწყვეტლივ მეორდება კოდექსში). ანგვარად ხევისბერი ორმაგად არის მეფეს დამორჩილებული: იერარქიულად ერისთავისა და გამგებლის მეშვეობით უშუ-

ალოდაც — მით, რომ იგი გარდაქმნილია ერთგვარ ვასალად მეფისა.

სამხედრო მოწოდება, რომელიც ხევისბერსა ჰქონდა დავიწყებული არ არის კანონმდებლისაგან. ეს მოწოდება მისი ახალი ფუნქციის საფუძველია მით იგი სამხედრო საქმის სპეციალისტად არის დანიშნული. ამ დარგშიაც იგი ერისთავსა და გამგებელს არის დამორჩილებული, რომელთაც როგორც ვიცით, ლაშქართა შეყრის ბრძანება ევალებათ, კოდექსი ნათლად აზუსტებს თუ როგორია მთავარი როლი ხევისბერისა: ხევისბერს ებოძა მეფისაგან ლაშქართა თავადობა“.

ამიტომ არის რომ ხევისბერის ნათესავის სისხლი (თუ ეს ნათესავი მისი ოჯახიდან გამოყოფილი არ არის) ორჯერ მეტად ფასობს ვიდრე სისხლი, სხვა მისი მოგვარე ნათესავისა, რომელიც ხევისბერის ოჯახიდან გამოყოფილია და ეს ასეა იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ეს „გამოყოფილი“ ნათესავი უფრო აწლო ნათესაობაშია ხევისბერთან ვიდრე პირველი. ან მუხლის ახსნას ქვევით ვბოულობთ; საქმე იმაშია, რომ სამხედრო სამსახურის შესახები წესები გვიხსნიან, რომ თუ ხევისბერს რაიმე მიზეზით არ შეუძლია თავისი სახმედრო მოვალეობა ასრულოს, მაშინ მასა სცვლის მისი უახლოესი გამოუყოფელი მოგვარე ნათესავი. ჩვენ ვხედავთ, რომ სამხედრო საქმის საკითხი ჩრდილავს ყველა დანარჩენს და თვით სისხლის ფასიც ამის მიხედვით არის დადგენილი. აქავე უნდა აღინიშნოს, რომ მეფემ ადგილობრივი საზოგადოებისა და მისი სტრუქტურისათვის ანგარიშის გაწევაც მშვენივრად იცის: ხევისბერის როლი ასე ვთქვათ „გვაროვნულად“ არის ჩამოყალიბებული. ამასვე დაუმატოთ, რომ კანონმდებელმა სიფრთხილის ნაკარნახევი ყველა ზონა მიიღო: ხევისბერს თავადობა მეფისაგან ეძლევა, მაგრამ მისი სალაშქროდ დაძახება — გამოყვანა ერისთავისა და განგებლის ბრძანებით ხდება. აქაც ხევისბერი ორმაგად ექვემდებარება მეფის ავტორიტეტს.

გიორგი ბრწყინვალეს პოლიტიკური კონცეპციები, როგორათაც ისინი მეფის მიერ შედგენილი კოდექსიდან გამოსჰვივან, მოგვაგონებენ ნათე საუკუნის საქსონურ დინასტიის ხანას — ოტტონ პირველისა და მისი მემკვიდრეებისა. იმათ გამიზნული ჰქონდათ, რომ მეფის ძლირება დაეყრდნოთ ერთი მხრივ პიროვნულ კავშირებზე ხოლო მეორე მხრივ იერარქიაზე, რომელიც სახელმწიფოს ხელქვეითი იქნებოდა. უეჭველია, რომ ეს ორი ფორმა მართველობისა შეუთვისებელი არიან — თვით მათი ბუნებისა გამო. ამიტომ არის, რომ სიცოცხლისუნარიან ერთ სისტემაში მათი შერიგება ძნელია, მაგრამ თუ გიორგი ბრწყინვალემ მოწინააღმდეგეთა შეუღლება ნო-



ახერხა, ეს იმიტომ რომ, მან საუცხოოდ გამოიყვანა სხვა, შესაძლებელი ფორმის ძალაუფლება, რომელიც ორ პირველ-  
თაგან სრულიად დამოუკიდებელი იყო და მაშასადამე  
შუანავალ — მედიატორად გამოდგებოდა: ეს ძალაუფ-  
ლება მთიელთა გვაროვნული საზოგადოება იყო. გიორგი  
მეფემ იშვიათი მოხერხებულობით ერთმანეთს შერთო  
სამი სხვადასხვა სისტემიდან კამოტანილი ელემენტი,  
რომელთაგან მან შესძლო შეექმნა ერთ მთელად შეკრუ-  
ლი ნაგებობა — მიუხედავად ამ ნაწილთა ერთიმეორე-  
საგან განსხვავებულ წარმოშობისა. ვასალურ კავშირე-

ბიდან გამომდინარე მაიძულებელი ძალა, სახელმწიფოს  
ავსტრაქტული ძალაუფლება და გვაროული — ნათესა-  
ურ დამოკიდებულებათა ურყევი მოქმედება გაერთიანე-  
ბულნი აღმოჩნდნენ და შექმნეს ის ორგინალური მთლია-  
ნობა, რომელიც გიორგი ბრწყინვალემ კოდექსის სახით  
მისცა არაგვის წხარეს. ამიტომ, მიუხედავად დოკუმენ-  
ტის იურიდიულ ხასიათისა, ამ კოდექსის მოქმედების  
სფერო და მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, პოლიტიკური  
იდეოლოგიურია.


**თარგმნა მიხეილ ქავთარაძემ**

**შენიშვნა:**

„შესავალი ქართული ფეოდალობის შესწავლისა. გიორგი ბრწყინვალეს კოდექსი“. ასეთია სათაური 1971 წელს გამოცემულ, პროფ. გიორგი შარაშიძის წიგნისა, რომლის მეცხრე, დასკვნითი, თავის თარგმანს ვაწვდით მკითხველებს. ვინძლო ამგვარად მაინც მიაღწიოს საქართველომდე ერთმა ნაწილმა მაინც ამ შესანიშნავი წიგნისა, რომლის ვრცელი რეცენზია იმავე წელს გამოქვეყნდა „კავკასიონში“ ვ. ნოზაძის ხელისმოწერით. სავარაუდო იყო რომ წიგნი საქართველოში გადაითარგმნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. და სავალალო ის არის, რომ ამის მიზეზი

ქართულ მეცნიერულ წრეებში ეგოისტურ - ვიწრო - პიროვნულ ინტერესების წინდაყენების ფენისმოკიდებაა. არადა მკითხველთა ფართო წრეს რომ თავი დავანებოთ, ქართველ სტუდენტებისათვის მაინც ხომ ძვირფასი შენაძენი იქნებოდა ეს წიგნი, რომელშიც გიორგი ბრწყინვალის პიროვნების სიდიდე ქებითა და ხოტბით კი არა, დოკუმენტალურად არის გამოვლენილი — ევროპულ დონეზე და ნეთოდით წარმოებულ კვლევა - ანალიზის მეშვეობით.

მთარგმნელი.



### ნ ე ბ ა თ ი ' მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა '

#### ნება საერთოდ

პროფესორ ვილჰელმ იერუზალემ - ის თქმით — ნება, ნებისყოფა, ნებელობა ეკუთვნის ფსიქიკურ მოვლენას, ყურადღების მიქცევა. რაიმეზე, წარმოდგენათა რაიმე ჯგუფზე არის ნებისითი მოქმედება და ამ შემთხვევაში უტოლდება ქცევა არა ჩვენ მოქმედებას, არამედ გარეშე საგანს, ობიექტს. აგრეთვე ძლიერ გრძნობებს თან სდევს ნებისითი იმპულსი; ნების გამოხატულებასთან შეკავშირებულია სიამოვნება და უსიამოვნება; ხოლო პრაქტიკულ განსჯისას, რაც ჩვენ გადაწყვეტილებას წინ უსწრებს, გონების, აზროვნების ფუნქცია წინ დგას და თვით გადაწყვეტილება, რაც ნების გარკვეული აქტი არის, ის ამჟღავნებს შეგნებაში მისაღებ ზომებს, რომ ჩვენს თავზე ეს დაკვირვება დიდად მნიშვნელოვანი ხდება. ნების ფუნქციას შემდეგ ეკუთვნის ეს თავისი თავის, „მეს“ წარმოდგენა. ნების ფუნქცია სულიერ ცხოვრებაში ორგვარად გამოიხატება: თუ ჩვენ გარკვეული მიზნით ნებისმიერ მოქმედებას ვახდენთ, მაშინ გვაქვს ნების გარეგანი მოქმედება. 2 როცა ჩვენს ყურადღებას ერთ საქმეზე ვაპყრობთ და სხვა წარმოდგენებს ყურადღების გარეშე ვტოვებთ, ან მათ ვაბრკოლებთ, მაშინ ვითარდება ნების შინაგანი მოქმედება, აქ ნება ზემოქმედებს გარეშემოზე მის გარდასაქმნელად, ან იგი შეგნების სხვა ფუნქციებს აწესრიგებს. ნების გარეგანი თუ შინაგანი მოქმედება შეიძლება იყოს დადებითი, პოზიტიური ან ნეგატიური უარყოფითი. პოზიტიური იწვევს შეგნებაში მოძრაობებს ან აბრკოლებს წარმოდგენებს, ხოლო ნეგატიური კი აჩერებს. ჩვენ ვაჩერებთ ნების მოქმედებით მოძრაობას ან აბრკოლებს წარმოდგენებს, რაც ჩვენში ჩნდება, ეს მოძრაობა ადამიანის სხეულისა ხდება მუსკულების დაჭიმვით, ეს არის ფიზიოლოგიური მოვლენა (სისხლის მოძრაობა, მონელება და სხვა.) ხოლო მოძრაობა, რომელს თან ახლავს რაიმეგვარი შეგნება, არის უკვე ფსიქიური მოძრაობა, ეს მოძრაობა არის: 1. ან იმპულსიური, მოულოდნელი, მაგრამ საჭირო; 2. ან რეფლექსიური ანუ ანარეკლადი (ძლიერი სინათლის გამო თვალის და-

ხუჭვა; 3. ინსტინქტალური ან ალობრივი მოძრაობა; იგი არის თანდაყოლილი; 4. ნებისმიერი მოძრაობა, ეს მოძრაობა არის დასახულ მიზნისათვის ნების მოქმედება; 5. ავტომატიური მოძრაობა, ამ სახელით იგულისხმება ყველა მოქმედების ჯგუფი, რაც თავდაპირველად გამოწვეული იყო შეგნებული ნების მოქმედებით, ხოლო შემდეგში ხშირი გამოვლენის გამო, თავისთავად ხდება. ნების ფუნქციის განვითარება რთული არის, მაგრამ მაინც შეიძლება იგი დაჯგუფდეს: მიმართობა, მისწრაფება, წადილი, სურვილი და ნდობა. თავდაპირველი და ზოგადი არის ფსიქიური ქმედობა ნების ფუნქციისა, რასაც ეწოდებთ მისწრაფება = ლამუნება, ეს არის მოძრაობის ხარისხი, რომელს აქვს ცოტა თუ ბევრად გარკვეული მიდრეკილება მოძრაობისადმი, როცა ეს მიდრეკილება მისწრაფებისა სავსებით გარკვეული არის, მაშინ გვაქვს ფსიქო - ფიზიკურ მოვლენათა ჯგუფები, რომელს ეწოდება მიმართობა — მიმართება. მიმართობა არის ფიზიოლოგიური და ფსიქიური მოძრაობა, რაც მოთხოვნილება საჭიროებასთან არის დაკავშირებული: 1. მიმართობა თავის შენახვისათვის, თავის დაცვისათვის და 2. მიმართობა, გვარის, ჩამომავლობის გაგრძელებისათვის. (1. ჭამა - სმა, 2. სქესობრივი მიმართობა.) მისწრაფება გარდაიქცევა წადილად - სურვილად, როცა ჩვენ გარკვეული წარმოდგენა გვაქვს რაიმეზე, რისი ქონებაც და რით სარგებლობაც ჩვენ გვინდა. მაგალითად: ჭამასმის მისწრაფება ჩვენს შეგნებაში ხდება: სადილად, ჩვენ გვსურს საჭმელსასმელთან თამაშობა. დასაწყისში სურვილი ან წადილი ძლიერია; მერმე იგი თუ კმაყოფილდება, უკვე შემდეგ იწყება, მოყირკება. წარმოდგენას სასურველ რამეზე თანსდევს ძლიერი გრძნობა, რაც ადვილად დიდ აფექტად იქცევა, როცა ეს წადილ - სურვილი ჩვეულებად ხდება, მაშინ წარმოშობა ფსიქიური და ნების დისპოზიცია, რასაც ეწოდება, ვნება,

სურველ წადილთან გადაბმულია და წინა რიგში ისე გ-  
ნოდის, რომ ყველა ჩვენი განცდა მასთან კავშირდება  
მაგალითად: ვნებიანი მოთამაშე ქალაქისა, სულ იმა-  
ზე ფიქრობს, თუ სად და როგორ და რა საშუალებით და-  
იკმაყოფილოს თავისი ვნება. ვნებასთან გადაბმული არის  
სიცოცხლის ძალის დიდი ხარჯვა. და თუ ეს აფექტი,  
თითოეული ვნება იწვევს ყველა წარმოდგენას, რაც ძლი-  
ერი აფექტები და როგორც ყველა აფექტს, მათ აქვთ  
ვნების შედეგად, ხშირი არის, მაშინ თითოეული ვნება  
ორგანიზმზე დამრღვეველ გავლენას ახდენს, მას სჭამს, ეს  
არის მისი ცალმხრივობა, რასაც დამლუპველი შედეგი  
მოაქვს.

თვით სურვილი, წადილი არის მიმართოს, ნისწრაფება  
სუსტი გრძნობით და ნაკლები მოძრაობის იმპულსით.  
მასთან გადაბმული მოქმედება ფანტაზიისა გვაძლევს ხან-  
დახან ისეთ ნაგებობას, რომელიც მტკიცეა და როგორც  
იდეალი ჩვენს ცხოვრებაში თან დაგვაქვს. იდეალი არის  
წარმოდგენა სრულყოფილებზე, რაც ჩვენში იწვევს სუ-  
რვილს ამ სრულყოფილობის, სრულობის ხარისხს მივა-  
ლწიოთ.

**ნება - ნდობა.** ნდობა, ნებაზე ვლაპარაკობთ მაშინ, როცა  
არა მარტო მოქმედების მიზანი, არამედ მისი შესაფერისი  
საშუალება ჩვენთვის ცხადი არის. რადგან სხვადასხვანა-  
ირი გზა არის მიზანისაკენ, ჩვენ უნდა ავირჩიოთ ერთ-  
ერთი გზა. ამ შემთხვევაში თვით გარდაწყვეტილებას წინ  
უსწრებს მოფიქრება, განსჯა, რაც ხშირად გადაბმულია  
არასასიამოვნო გრძნობასთან, რაც მერყეობას გამოხატავს  
თვით გადაწყვეტილება არის საკუთრივ ნების აქტი, წარ-  
მოდგენილი მიზანი ანუ მიზანი - წარმოდგენა, რომელიც  
გარდაწყვეტილების დროს მოქმედებს, წოდებული არის  
სიტყვა მ ო ტ ი ვ ი, მოსაზრების გრძნობანი, რომელნი  
ამ მოტივს თან თანასდევენ, არიან მოქმედების აღმძვრე-  
ლი მიზეზნი.

ნ ე ბ ი ს თ ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა . არც ისე ადვილი  
არის საკითხი ნებისისთავისუფლებისა განვიხილოთ უბ-  
რაალო „ღიახ“, „კი“ და „არა“, სათქმელად ადვილია,  
ხოლო კითხვა და პასუხი იცვლება იმ საზრისის მიხედვით  
რაც შემკითხველს აქვს. ფსიქოლოგიურ თვალსაზრისთან  
ერთად, საგულისხმოა აგრეთვე მეტაფიზიკური და ეთი-  
კური თვალსაზრისი, ამ თვალსაზრისის მიხედვით იცვლე-  
ბა მნიშვნელობა ცნებისა, „თავისუფალი“ და „თავისუფ-  
ლება“, ამიტომ ეს ცნება რამოდენიმე სხვადასხვა მნიშვნე-  
ლობას შეიცავს; ამიტომ მაქვს არა ერთი საკითხი ნებე-  
ლობისა, არამედ რამოდენიმე.

მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი თვალსაზრისით ნება ანუ  
ნებელობა არის: მიზეზობრივ კავშირთან გარეშე დგომა,  
დგანან ნების მოქმედებანი ადამიანისა მიზეზის კანონის


გარეშე, რაც ყოველ ფიზიკურ ფენომენზე ბატონობს, თუ  
ისინი ნების მოქმედებნი ამ კანონს ემორჩილებიან? პირ-  
ველ შემთხვევაში, მეტაფიზიკური თვალსაზრისით, ნება  
არის თავისუფალი (ინდეტერმინიზმი) უკანასკნელ შემ-  
თხვევაში ნება არის არათავისუფალი (დეტერმინიზმი).

არიან მართალნი ინდეტერმინისტები ანუ თავისუფალი  
ნების მომხრენი იმით, რომ ფიზიკურ ქვეყანასთან, ანუ  
მიზეზთა ქვეყანასთან არსებობს, მისგან დამოუკიდებელი  
სულიერი ანუ მორალური ქვეყანა, რომელს შეიძლება  
მიზანთა ქვეყანა ეწოდოს?

ადვილი დასანახია, რომ მეტაფიზიკური ნების საკითხი  
შინაგან კავშირში იმყოფება მთელ მსოფლხედვასთან. ეს  
საკითხი მეტაფიზიკას ეკუთვნის.

ეთიკურ - იურიდიული თვალსაზრისით, „თავისუფა-  
ლი“ არის ცნობიერი და პასუხისმგებლობის მქონე, აქ  
გვაქვს ნების საკითხი: როცა ნება არის „თავისუფალი“  
მაშინ მოქმედებანი კაცისა არიან მისი მოქმედებანი და  
შედეგებანი საესებით სამართლიანობის მოთხოვნილე-  
ბას, რომლის გამო თითოეულ კაცს მოქმედებისათვის, და  
მისგან მოსალოდნელ შედეგებსა მიხედვით, პასუხი მოე-  
თხოვება. თუ ნება თავისუფალი არ არის, მაშინ ადამიან-  
ის ნებისმიერი მოქმედება თანდაყოლილი განწყობილე-  
ბით, მისი აღზრდით და საერთოდ ერთობლივობის, საზო-  
გადოების ზეგავლენით გადაწყდება. საზოგადოებას აქვს  
უფლება და მოვალეობა აზიარო მოქმედებათაგან, რაც  
მას საფრთხეში აგდებს, თუ ი დაიცვას, მაგრამ ამ შემთ-  
ხვევაში დასჯაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. მაშინ ბო-  
როტმომქმედნი განისჯებიან ვითარცა სნეულნი და ავად-  
მყოფნი და ისინი უნდა განიარაღებული იქმნან, ან საა-  
ვადმყოფოში მოსარჩენად.

„თავისუფალი“, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თა-  
ვისუფალი არის ადამიანი, რომელიც გარეშე, ან შინა-  
განი იძულებით არ მოქმედებს. ყოველი ნებისყოფა, რო-  
მელს ჩვენ ჩვენი სრული სულიერი ძალების ქონებით და  
ძალდატანების, იძულების გარეშე განვასახიერებთ, არის  
თავისუფალი კარდაწყვეტილება. მოქმედების წინ ჩვენ  
გვჯერა, ჩვენ შეგვიძლია სხვანაირადაც ვიმოქმედოთ და  
მოქმედების შემდეგ ჩვენ გვჯერა, რომ შეგვეძლო სხვა-  
გვარი მოქმედებაც. როგორც კი ჩვენი წარმოდგენანი და  
განცდანი ჩვენ გარდაწყვეტილებასთან თანამოქმედებენ.  
ეს გარდაწყვეტილებანი ხასიათდებიან, ვით შედეგი ჩვენ  
წარსულ გამოცდილებათა, როგორც ნაყოფი მთელი ჩვე-  
ნი პიროვნებისა, რამდენად ეს ამ უკმაძღვრე მოქმედებად  
იყო ქცეული. ამგვარად, ფსიქოლოგიური გასინჯვით ნე-  
ბის თავისუფლება საკითხი კი არ არის, არამედ უდავო.  
აუცილებელი დადგენილი მოვლენა, სინამდვილე.



ამით გაიხსნება აგრეთვე ეთიურ - იურიდიული ნების-  
ყოფის საკითხიც. რამდენად ჩვენ გადაწყვეტილებაში  
ჩვენ დამოუკიდებლად ვგრძნობთ თავს, ამითვე ჩვენ პა-  
სუხისმგებლობასაც აღვიარებთ. ზნეობის ან უფლების  
თვალსაზრისით საკმარისი არის შეგნება თავისუფლები-  
სა. „კაცი არის თავისუფალი“, ეს ნიშნავს: მას აქვს უნა-  
რი თავისი გადაწყვეტილება გამოიტანოს მიღებულ გა-  
მოცდილებათა და ცოდნათა შედეგად. ეს უნარი მშვიდი  
და გულგრილი მოფიქრებისა, მოსაზრებისა იწყება სიტ-  
ყვით: „ჭკუა“, „გონება“, „კეთილგონიერება“. როცა  
ჩვენ ამ უნარს, რაც ჭკუით, გონიერებით ვმსჯელობთ და  
გადაწყვეტილება გამოგვაქვს, მაშინ ჭკუა, გონება არის  
ნების დიპლომატიკა, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს  
ჩვენ გადაწყვეტილებათა დროს გონება მოვიშველოთ და  
ვნებანი შევბოკოთ. ნების მოქმედებასთან გადამბულია  
თვისი თავის, თავისი „მე“ - ს შეგნება, ამ „მე“ - ს შეგ-  
ნების საფუძველნი არიან: აღქმანი, შეგრძნობანი, ნისწ-  
რაფებანი და მიმართობანი, რაც ჩვენს სხეულს შეეხები-  
ან. მე ვარ „მე“ და ჩემს გარეშე რაც არის, არის „არა-  
მე“. ჩვენი მოგონებებით, გახსენებით, ხსოვნით, ოცნები-  
თი წარმოდგენებით და ფიქრებით მდიდრდება ჩვენი  
„მე“ - ს შეგნება მტკიცდება ნების ფუნქციაში. თითო-  
ული გადაწყვეტილებისას, რომელს ჩვენ ვღებულობთ  
შეგნებით „თავისუფალი“ არჩევნებისა, „მე“ - ს შეგნება  
ცოცხლდება; მაშინ ჩვენი სხეული ჩვენი განვითარებუ-  
ლი შეგნებისთვის გარეშე ქვეყანას ეკუთვნის. ჩვენი აზ-  
როვნება, ჩვენი გონება უკვე გარეშე მოვლენებით ისა-  
ზღვრება ან უნდა ისაზღვრებოდეს, ჩვენ თავს ვგრძნობთ  
ძლიერი აფექტების მიერ ნაქობნად, მაგრამ თითოული  
ნათლად შეგნებული ნებისმოქმედება არის ჩვენი საკუ-  
თარი მოქმედება. რასაც აქ ვხედავთ ეს არის საკუთარი  
„მე“, არა გარეგანი, არა უცხო. განვითარებული „მე“ ს  
შეგნებას, როცა ჩვენი „მე“ არა მარტო გარეშე ქვეყნის,  
არამედ საკუთარ წარმოდგენებისა და გრძნობების მიმა-  
რთ დამოუკიდებელი ვხდებით, ეწოდება **თვითშეგნება**  
**შეგნება** არის ფსიქიურ მოვლენათა განცდა. თვითშეგნე-  
ბა კი, პირიქით, არის სულის ცხოვრების უმაღლესი გან-  
ვითარების საფეხური, აქ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი განცდი-  
ლნი ფსიქიური მოვლენანი განვსჯოთ, როგორც კი გა-  
ნსჯის ფუნქცია სავსებით ვითარდება, და საერთო მოხ-  
მარებას და გაჩამდვილებას აღწევს, ვიყენებთ მას ახალ  
თვითშეგნებაში, თვით განცდილ ფსიქიურ მოვლენათა  
მიმართაც. ხოლო როცა ამ განცდებას, როგორც ჩვენი  
„მე“ - ს ძალის გამოსახულებად გავიგებთ, მაშინ თვით  
ეს „მე“ ობიექტივირდება; იგი ხდება ერთ ნაწილად უნი-  
ვერსობისა; ეს „მე“ არა მარტო ჩვენთვის, არამედ სხვე-  
ბისთვისაც აქ არის, და მას არა მარტო უბრალო სუბიექ-

ტიური, არამედ ობიექტიური მნიშვნელობა აქვს; ამ ჩვე-  
ნგან გამომავალ „მე“ - ს ეწოდება პიროვნება. ადამიანის  
აზროვნება და პიროვნება არის განვითარებული „მე“;  
იგი არის ჩვენი არსების ბირთვი, როგორც ის ჩნდება ჩე-  
ვნი სხეულის გამოსახულებაში, ჩვენს გონებაში, და ნება-  
ნდობაში; თანდაყოლილი თვისებანი და გარეშემოს გა-  
ვლენანი, ერთად მოქმედებენ პიროვნების განვითარება-  
ზე. ამიტომ პიროვნება არის ოთხი ნაყოფი ფიზიოლო-  
გიური და ფსიქიურ დისპოზიციებისა, რაც ნაწილობრივ  
თანდაყოლილი და ნაწილობრივ მოგებული, მიღებული  
არის. ამიტომ პიროვნება არის მხოლოდ ერთი; ორი მთ-  
ლიანად მზგავსი პიროვნება არ არსებობს. მაგრამ ზოგა-  
დი მზგავსება შეიძლება დავინახოთ. როცა გვსურს გან-  
სხვავებას ყურადღება მივაქციოთ და თავისებურება პი-  
როვნებისა ავლნიშნოთ, ასეთ დახასიათებით ჩვენ წინ  
დგას უკვე ინდივიდუალობა ანუ პიროვნობა. ინდივიდუ-  
ალობა - პიროვნება, ინდივიდუმი არის პიროვნება იმდენ-  
ნად, რამდენადაც იგი სხვებისაგან განსხვავდება და ყო-  
ველთა მიმართ, როგორც დამოუკიდებელი ცალკე არსე-  
ბა თავისი აშკარა თავისებურობით და თავისი საკუთარი  
უფლებებით ჩვენ წინ დგას.

პიროვნება და პიროვნება (პერზონლიკაიტ უნდ ინ-  
დივიდუალიტეტ) არი ნაყოფი სოციალური განვითარ-  
ებისა. ნებისყოფის მოქმედების ხშირი განმეორება ქმნის  
ფსიქიურდის პოზიციებს. ბეჯითობა, გამძლეობა, შრო-  
მა და სხვა. არის ნების დისპოზიციკა, სულ სიზარმავე,  
ნცონარება, დაუდევრობა და სხვა, საჭირო ნებისყოფის  
დისპოზიციის ზადი და სახელი არის.

ზრახვა, განწყობილება, აზროვნება, გუნება, ზნე, შე-  
გრძნობის ხასიათი, განზრახულობა არის ის ყველა ერ-  
თად რიგება, რაც ჩვენს ზნეობრივ ყოფაქცევას აღნიშნა-  
ვს. ყველა მოქმედება, რაც ზნეობრივთ სავსებით განუ-  
რჩეველი არ არის, განზრახულობას საფუძვლად უძევს  
და ეს განზრახულობა არის ის, რასაც ჩვენ მორალური  
განჯის საგნად ვთვლით, მოქმედებას ჩვენ ვუწოდებთ  
ზნეობრივად კარგს, როცა გვგონია, რომ იგი ზნეობრი-  
ვად კარგი განზრახულებიდან გამოდის. ზნეობრივად  
კარგ განზრახულებას ვიგონებთ მას, რაც ჩვენ გვაიძუ-  
ლებს, მოქმედებათა დროს მხედველობაში გვქონდეს,  
რომ ჩვენ საერთო ერთობლიობის კეთილდღეობას ვეხ-  
მარებით და ერთობლის მის კეთილყოფის საზიანოს ვე-  
რიდებით.

**ხასიათი, ხარაქტერ** არის ჯამი მოპოვებული განსჯისა  
და ნების რიგებისა, რაც ადამიანის, ინდივიდუუმის თვი-  
სებად არიან დარჩენილნი, ხასიათში სრულყოფილია, ინ-  
დივიდუური შეგნების განვითარება. ხარაქტერ არის ჯამი  
ჭკუის წესთა, ღებულებანი და რიგნი, რაც ჩვენს მოქმე-



დებას ყოველ ზნობრივად მნიშვნელოვან შემთხვევაში ხელმძღვანელობს და რაც ამნაირად ჩვენ საკუთრებად ხდება, ისე შინაგანად ჩვენს პიროვნებაში შეინთქმება, და ისე ჩვენი არსების ნაწილი ხდება, რომ ჩვენ მხოლოდ მას მივდევთ, მისი სახელით ეძოქმედებთ და სხვაგვარად ნოქმედება აღარ შეგვიძლია.

**პროფ. დრ. ვილჰელმ ერუზალემ.** „ლეჰრბუს დერ ფსიქოლეგიე. ვიენ უნდ ლაიპციგ - 1912.

სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, ნება - ერთი-სა რა სამე მრავალთა მათგან მოგონებათა კეთილისა, გინა ბოროტისა. მისი აზრით ნება სანად განიყოფება: 1. ხორციელებრივი (ნაყოფანება, განსვენება, გემოთმოყვარება); 2. ხოლო მეორე საშუალო არს ერთისა მის უმაღლესი ხოლო ნეორისა ვერ სრულად და წმიდად მისაწოდომელი; 3. სულიერი ნება, რომელსა შორის სისრულე იხილვების სრულიად საღვთოსა მოქალაქობისა.

### ღმრთისა ნებითა

- 1 -

ღმრთის ნებისა და წადილის საკითხი უკვე განვიხილვე ჩემს წიგნში „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“ 1966წ. გვ. 226 - 228. ღმრთის ნება განისინჯება ორი მხრით; 1) ღმრთის ნება თავისთავად, 2) ღმრთის ნება ქმნილებთა მიმართ.

**მათე 6,10** იყავნ ნებაჲ შენი.

**მარკოზ 3,35** რომელმან ნებაჲ ღმრთისაჲ.

**ლუკა 12, 47** რომელმანიცის ნება უფლისა თვისაჲ.

**იოანე 6,40** ასე არს ნებაჲ მამისაჲ.

ლათინურად — „ვოლონტას“; ინგლისურად - „უილ“ გერმანულად „ვილლე“; ფრანგულად — „ვოლონტე“; რუსულად — „ვოლია“.

როსტევეანი ამბობს, ღმერთს მოეწყინა ჩენი შეგება, სიკვილიამდე დამაწყლულა.

მაგრამ მაინც —

ნასვე მადლი! ესრე იყო იყო წადილი და მისი ნება (99) ჩემს მიმართო.

ფრიდონიც ამბობს —

აწი იგი იქმნას, რაცალა ენებო! ღმრთისა წადილსა (608) ავთანდილი თინათინზე ამბობს —

ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის, მორჭმული ღმერთისა ნებითა (1474).

ხოლო როცა როსტევეანმა ავთანდილი სიძედ და მეფედ გამოაცხადა, ბრძანა —

ესეაო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება (1546).

ტარიელი მეფე როსტევეანის წინაშე შუამდგომლობს

ინდოეთს მიბრუნებაზე, მსურსო წავიდე, მტერი არისო ჩემს ქვეყანაში და —

ადრე კვლა გნახნე მორჭმულნი, ინებოს ღმრთისა ნება-მან (1562).

ყველგან აქ ღმერთის ნება გამოსახული არის თქმულებათა, ადამიანთა მიმართ.

### თავისა ნებითა (278)

1

**ფსალმუნი 9,38** — ნებაჲ გლახაკთა ისმინე, უფალო.

**ფსალმუნი 20,3** — ნებაჲ ბაგეთა მისთაჲ არა დააყენე მისგან.

**ლუკა 22,42** — ნუ ნებაი ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ იოანე 6,38 — არა რათა ვყო ნებაჲ ჩემი.

**მათე 8,8** — მნებავეს, განწმინდნი.

**მარკოზი 6,22** — მთხოვე მე, რაჲცა გნებავეს.

„ნება“ აქ არის „ნდობა“, „წადილი“, „ჯერჩინება“.

თინათინი მამის სურვილის თანახმად მიდის მის სანახავად — თინათინ ადგა, მივიდა, მიჰყვა მამისა ნებასა (106)

გაჯავრებული ასმათი ავთანდილს ეტყვის —

მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკლვევინო (241).

შემდეგ კი ასმათს ავთანდილი დაემორჩილა —

ქალსა ყმამან მოუსმინა, დაჰმორჩილდა, დაართო ნება (263)

გამო ნათქვამია, ეს მათი ნებით კი არ მომხდარა, არამედ ასმათი ტარიელს ურჩევს მეგობარი გაიჩინეო —

მაგრა თუ კაცო მოგვევარო, მოგვეყვს თავისა ნებითა (278;

ტარიელი ამბობს, ერთ დღოს სოფელი, ბედი ყველაფერი მისრულდებოდა, რასაც ვისურვებდი, ვინებებდიო —

მამინ სოფელმან საწუთრომ იუხვის, რაცა ვინები (389) ნესტანი ტარიელს უსაყვედურებს საბჭოში —

შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება (525)

ავთანდილი ანდერძში სწერს როსტევეანს —

სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა (794) ავთანდილმა ტარიელს უთხრა —

რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა? (874).

ავთანდილმა ფატმანს საპასუხოდ მიუწერა —

შეყრა არის პირიანი, ორთავეა რადგან ნება (1095).

მელიქ - სურხავის სასახლედან, სადაც სტუმრებად ვიყავითო, — ამბობს ფატმანი —

ჟამიერად მხიარულნი წამოვედით ნებით ჩვენით (1124) ფატმანმა მონა - ზანგი ქაჯეთს გააგზავნა და მან უთხრა: „ხვალე მოგართვა ყოვლი ამბავი ნებისა“ (269).



რაც გნებავს ყველა ამბავს მოგართმევ, მოგახსენებო.  
რაც ნესტანი და თინათინი ერთმანეთს გაშორდნენ, ამის  
აუცილებლობითო (ასტრონომიული აუცილებლობითო)  
იგივე გაპყრის, სიშორე არა თუ ნებით სწადიან (1570).  
ამ ძნელი დაშორების გამო თინათინმა ნესტანს უთხრა -  
ღმერთისაგან დღეთა თხოვნისა ნაცვლად სიკვდილი ვი-  
ნებო (1572)  
ღმერთისაგან დღეგრძელობისა ნაგიერ სიკვდილსა ვინე-  
ბებო.

ამგვარად, აქ მოტანილი შაირები გვიჩვენებს ადამიანის,  
კაცის ნებას, რაც არის სურვილი, წადილი, ნდომა.

რაც არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა,  
(881) (880)

ამას ეუბნება ავთანდილი ტარიელს და ეს თქმა გვა-  
გონებს პავლე მოციქულის დებულებას (რომელთა ნი-  
მართ 7,15 - 20) ესე უწყით, რამეთუ სჯული სულიერ  
არს, ხოლო მე ხორციელ და განცილდ ცოდვასა შინად  
რამე თუ რომელსა - იგი ვიქმ, არა ვიცი; რამე თუ არა  
რომელინე - იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-  
იგი მძულს, ხოლო უკეთუ, რომელი — იგი მე არა  
მნებავს და მასვკყოფ, თანა - მოწამე ვარ სჯულისა, რა-  
მეთუ კეთილ არს. აწ უკვე არღარა რაცა არ გწადდეს..  
მე ვიქმ მას, არამედ რომელი - იგი დამკვიდრებულ  
არ ჩემ თანა ცოდვამ. რამეთუ უწყით, ვითარმედ არაა  
დამკვიდრებულ არს ჩემ თანა, ესე იგი არს, ხორცთა  
შინა ჩემთა, კეთილი, რამე თუ ნება იგი წინა მიც მე,  
ხოლო საქმედ კეთილისა მის არ ვპოვებ. რამეთუ არა  
რომელ - იგი მნებავს კეთილი, მას ვპოვებ, არამედ რა-  
მელი იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ. ხოლო უკუე-  
თუ, რომელი იგი მე არა მნებავს და მას ვპოვებ, არღარა  
მე ვიქმ მას, არამედ რომელი - იგი დამკვიდრებულ არს  
ჩემ თანა ცოდვამ.

**წადილი ნებისა (701)**

წადილი ნებისა არის იგივე სურვილი ნებისა, ვინმეს  
ნიერ გამოთქმული.

როცა ფატმანმა ავთანდილისაგან ტარიელ - ნესტა-  
ნის ამბავი გაიგო —

ქალსა რა ესმა ამბავი, მიხვდა წადილი ნებისა (701).

ტარიელს ავთანდილი ურჩევს —

რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა  
(880)

წადილი ნებისა, როგორც ვხედავთ, არის სურვილის ნე-  
ბისამებრ ასრულება.

საბას თქმით, ნებიერი არის ნებაზედ მყოფი; ნებიე-  
რება — ნებაზედ ყოფნა.

ნ. ჩუბინაშვილი: ნებიერი — თავის ნებაზე მიშვებუ-  
ლი; ნაზი, ნარნარი, აზიზი; უბრუნველი, მოსვენებული;  
ნებიერობა — განსვენება, ვანცხრომა, შექცევა თავის  
ნებაზე.

როდესაც მეფე როსტევეანიან “უცხო მოყმე“, ტარი-  
ელი არ მივიდა, იგი შეწუხდა და ბრძანა ყოველგან ეძ-  
ბნათ იგი, და მისი შეწუხება აღნიშნული არის —

კმუნეა შეექმნა; თქვენ იცით ხელმოწივე ნებიერია (289)  
ესე იგი, თავის ნების ამსრულებელი, თავის ნებაზე  
მყოფი იყო. როდესაც ჩვენი გმირები ქაჯეთის ციხეზე  
ნისვლას შეუდგნენ, ციხის მცველებს —  
გულში შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად  
(1413)

ანუ მცველები მოსვტნებულად, ამალ, საამოდ და უზ-  
რუნველად, უდარდელად იდგნენ. ამ გვარად, აქ ნები-  
ერი არის თავის ნებაზე მყოფი, და უზრუნველი.

**მეუნებალე**

მეუნებლე არის ვინმეს ნების მოწინააღმდეგე, ურჩი;  
ნების არ ამსრულებელი. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა  
იხმარება, როდესაც ასმათი ავთანდილს ეუბნება, არვინ  
არისო ხორციელი, ადამიანი, რომელიც ტარიელის ნე-  
ბას წინააღმდეგობა გაუწიოსო —  
იმა ყმნსა მოუნებლე ხორციელი არავინ — ა. (264)

**უნებური**

უნებური, — საბას განმარტებით, — არის უნებლი-  
ეთი — უნებური. ანუ სხვისი ძალისაგან, იძულებითი  
რაიმეს მქმნელი. ნ. ჩუბინაშვილის თქმით, უნებური —  
უნებლიეთი, იძულებითი.

1 კორინთელთა 9,17 რამეთუ ნებსით თუ ვიქნ ამას, სა-  
ხსყიდელი მაქვს, ხოლო უკეთუ უნებლიეთ, სამნოი რწ-  
მუნებულ არს ჩემდა.

მათე 18,7 უნებლიათთა მომავალ არს საცთური მათ  
ზედა, ეს ნიშნავს: „აუცილებლად“, უნდა თუ არა.

ფატმანი გვეუბნება, სასახლეში ვიმხიარულეთ, მერ-  
მე მოვბრუნდით და —

კვლარ დავსხედით გახარებად, უნებიერნი არ ვიყვნით.  
(1124)

ანუ: იძულებული კი არ ვიყავით, არამედ ვსიამოვნებ-  
დით, ჩვენი ნებით დროს ვატარებდით, ვთამაშობდით,

ღვინოს ვსვამდითო. ლექსიკონებში ეს სიტყვა „უნებურნი“ გარკვეული არის სიტყვით „კმაყოფილნი“. ეს ალბათ ლექსის აზრის მიხედვით.

### ნება - ნებასა (106)

1

ნება ნებასა ყველგან განმარტებული არის; ნელა. ნელ - ნელა. ამ საკითხს უკვე შევხებ („ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათ - მეტყველება“, გვ. 196 - 197) და ავღნიშნე „ნება - ნებასა“ ნიშნავს ჩქარ - ჩქარად მეთქი. მგონია, ეს თვით ვეფხისტყაოსნის შაირებიდანაც სჩანს. თინათინი —

ძამან გვერდით დაისვა აკოცა ნება-ნებასა (106)  
აკოცა ნება ნებასა უნდა ნიშნავდეს „ჩქარებით“ „ჩქარა ჩქარად“ და არა „ნელ - ნელად“. ნელ - ნელა და და-ყოვნებით მამა შვილს არ ჰკოცნის, ნელ - ნელი (და თან ვნებიანი) კოცნა მხოლოდ შეყვარებულებმა იციან.

ავთანდილმა ხატაელ მონადირეთ უჩვენა მისი სადგომი: „მიდითო ნება - ნებასა“ (213)

მიდით და ჩქარა მიიყვანეთ იქ თქვენი დაჭრილი ძმაო. ტარიელი ამბობს, მონამო —  
ასმათის წიგნი მომართვა, მე წავიკითხე ნებასა (364)  
დედაკაცის წიგნს, წერილის მიღება ტარიელისათვის მოულოდნელი იყო და წარმოუდგენელია ეს წიგნი მას ნელ - ნელა და არა ჩქარად წაეკითხა. დაინტერესებული ტარიელი წერილს, ცხადია, ჩქარა წაიკითხავდა. ტარიელს ეხვეწება ავთანდილი ასმათთან ქვავს წავიდეთო —

ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯგე, წავიდეთ ნებასა (880).  
ესეიგი, ცხენით ჩქარა წავიდეთო.  
ყველგან აქ სიტყვა „ნება“ არ არის შეერთებული სიტყვასთან „ნებისყოფა“ ან „ნებელობა“.

ვიქტორ ნოზაძე

### განმარტება

ნებათმეტყველების სათაურით დაბეჭდილი ვიქტორ ნოზაძის ამ, რიგით მეოთხე, ჩანაწერით მთავრდება მკვლევარის არქივში დარჩენილ ანოტაციების გამოქვეყნება. წინა სამი მონაკვეთის სათაურებია: სიბრძნის მეტყველება ვეფხისტყაოსანში, კაცი ვარ ადამიანი და ნებათ მეტყველება. ამგვარად ეს ჩანაწერები განაწილებულია „კავკასიონის“ ოთხ რვეულში - მეთვრამეტედან ოცდაერთამდე. ამ სახით, როგორც ეს მასალა წარმოდგენილია, იგი დიდი არაფრის მთქმელია მრავალ რიგითი მკითხველისათვის. ასეთი არც იყო ჩვენი განზრახვა როცა მათი გამოქვეყნება გადაწყდა. ჯერ ერთი, საერთოდ სასურველია ყოველი მოღვაწის არქივის გამოქვეყნება. ხოლო კერძოდ ამ შემთხვევაში ჩვენს გადაწყვეტილებას პრაქტიკულ მნიშვნელობასაც ვანიჭებდით: მხოლოდ ოთხმოცდაექვს გვერდზე დაბეჭდილი ეს დაუმთავრებელ ნაშრომთა ნაწყვეტები, სქემას წარმოადგენენ იმ ტომებისა რომელთა დაწერა ვერ შესძლო დაუღალავმა მკვლევარმა ვიქტორ ნოზაძემ. ამ ნაწერთა სახით ჩვენ თვალწინ გვიდევს სიკვდილის მიერ გადაჭრილი სიცოცხლის ძაფის სურათი გონიერი შემოქმედისა.

უკვე ათი წელიწადი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. და ვინ იფიქრებდა ამდენი ხნის გავლის შემდეგაც აკრძალული იქნებოდა მისი სახელის ხსენება საქართველოში. ჩვენ გულუბრყვილო იმედიც კი გვქონდა, რომ ვინმე თავისთავზე აიღებდა მის კვლევის განგრძობას. მაგრამ ვაგლახ! ეს არ გამართლდა.

თუმცა ამ მოვლენაში ერთგვარი კანონზომიერებაც შეიძლება კაცმა დაინახოს: საქართველოსთვის ხომ, თითქო ბუნებრივი იყოს, ჩვეულებრივია უბედობის გრძელ პერიოდთა გავლა და ხანგრძლივი მოლოდინი განთიადისა. და თუ ვიქტორ ნოზაძის სახელის ანაყად ხსენების უამმა დაიგვიანა, ამ დიდი ქართველის ეტლიც მისი უბედური ქვეყნის ეტლის მსგავსი ყოფილა. და ისლა დაგვრჩენია, რომ სიამაყით მოვიგონოთ მისი სახელი და მით პატივი ვცეთ ხსოვნას კაცისა, რომელიც ვით სასაქელო შვილი ჩვენი ქვეყნისა, ოდნავ ჩვენც, ნის ნაცნობთ, მეგობართ და მისი ბედის გამნაწილებელთ, გვინაწილებს მის მიერ მოხვეჭილ დიდებას.

სარკაძეციო კოლეგია



პოლონეთის მხარე ბედი

ბევრნაირად წაბრუნდა პოლონეთის ბედი საქართველოს, ალბად ამიტომ იყო რომ წინა საუკუნეებიდან მოყოლებული ამ ორი ქვეყნის შორის დამყარებული იყო მორალური სოლიდარობა და ურთიერთ თანაგრძნობა. ხშირად ის ფიზიკურ და მორალურ დახმარებაშიც გამოიხატებოდა. ამ ორი ქვეყნის ისტორიაში ბევრნაირი პარალელის დასახელება შეიძლება, განსაკუთრებით რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის ხანაში.

ამიტომ ქართველებს გემართებს სრული თანაგრძნობა მის დღევანდელ მძიმე მდგომარეობაში.

ჩვენი ქვეყანა დიდხანია მათ მდგომარეობაში იმყოფება და თავისუფალ ქვეყნებში მყოფ ქართველობას სძმწუხაროდ, ჩვენ ბედში მყოფ პოლონელებს ნუგეშის გარდა არაფრით შეგვიძლია დავეხმაროთ; შეგვიძლია მხოლოდ დიდი რუსთაველის სიტყვებით ვუსურვოთ „ქირსა მიგან გამაგრება“, კვლავ თავისუფლების ნობელის და მომავალი ბედნიერება. და გვწამს კიდევ, რომ პოლონეთის თავისუფალი სახელმწიფო კვლავ აღდგება და თავის ღირსეულ ადგილს დაიჭერს მსოფლიოს თავისუფალ სახელმწიფოთა შორის....

პოლონეთის სახელმწიფო ადრე ჩამოყალიბდა და სანამ დასავლეთით გერმანია და აღმოსავლეთით რუსეთი გაძლიერდებოდნენ, ის იყო ძლიერი და დიდ როლს თამაშობდა ევროპის სახელმწიფოთა შორის. ის იყო დასავლეთის ანტიპოსტი და იცავდა მას აღმოსავლეთის თავდასხმელებისაგან. დასავლეთმა ეს დავიწყა!

ნებისა და ძლიერების ზანა. პოლონეთს მისმა გეოგრაფიულმა მდგომარეობამ განუსაზღვრა ევროპის დაცვის როლი და იმავე მდგომარეობამ გამოიწვია მისი მძიმე ხვედრი გერმანია - რუსეთის გაძლიერების შემდეგ.

მე 17 ე საუკუნეში, როდესაც ოსმალეთის სულეიმან ბრწყინვალემ (ის დედით ქართველი იყო) ვენაზე გაილაშქრა, მის სასტიკ დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა პოლონეთის არმიამ.

ხოლო როდესაც რუსეთში ჩამოყალიბდა რუსეთის სამეფო და დაიწყო უცხო მიწების დაპყრობა, პოლონეთიც მიზანში იყო ამოღებული.

რუსეთის აგრესია პოლონეთის მიმართ, ადრე დაიწყო, თუმცა მიზანს გვიან მიაღწია.

მეთექვსმეტე საუკუნეში, მესამე რომის მესიანური იდეით შეშლილმა იოანე მრისხანემ ჯარი შეასია პოლონეთს, (1574 - 76) მის დასაპყრობლად, რითაც გზა ეხსნებოდა მის დაპყრობით პოლიტიკას დასავლეთ ევროპისაკენ.

ახალი მეფის არჩევის გამო (პოლონეთში მეფეებს ირჩევდნენ) ორი წელი პოლონეთში კრიზისი იყო და იოანე მრისხანემ ეს დრო შეურჩია, იმ იმედით რომ ასეთ პირობებში პოლონეთს ადვილად დაიმორჩილებდა. პოლონეთში მალე აირჩიეს მეფედ სტეფან ბატორი, ის გმირულად შეებრძოლა რუსებს. სასტიკად დაამარცხა და მრავალი სიმაგრეებიც ჩანოართვა. ამნაირად პოლონეთმა იოანე მრისხანე ისეთ პირობებში ჩააყენა, უკანასკნელი იძულებული გახდა რომის პაპის გრიგოლ მესამესათვის მიემართა თხოვნით: ოღონდ პოლონეთთან ნაძუსიანი ზავი დამადებინე და კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადმოვალ. და იმასაც პირდებოდა რომ ურწმუნო ოსმალეთზედაც გვილაშქრებო. ზავი დაიდო 1633წ.

როგორც ვხედავთ, რუსეთის ძალიან ადრე დაებადა სურვილი პოლონეთის დაპყრობისა და ისიც მისი ძლიერების ხანაში.

იოანე მრისხანეს შემდეგ დიდი დრო გავიდა სანამ რუსეთი პოლონეთისადმი თავის ჭანზრახვას განახორციელებდა.

პოლონეთის დიდების ხანაში საქართველო მძიმე მდგომარეობაში იყო, სამცხე - საათაბაგოს და დასავლეთ საქართველოს თურქები აწუხებდნენ. პირველი საბოლოოდ მოსწყვიტეს საქართველოს და დასავლეთიც მუდმივ მუქარისა და შემოსევების ქვეშ იყო. მთელი საქართველო სპარსეთის ვასალურ მდგომარეობაში ჩავარდა და ასე გადაეცა ის ვახტანგ მეხუთეს. კახეთი ბრძოლას განაგრძობდა. ასეთ მდგომარეობაში ქართველი მეფეები კავშირის და დახმარების ძიებას განაგრძობდნენ დასავლეთის ქრისტიან სახელმწიფოებთან. ვახტანგი გარეგნულად მწყალობდა და ერთგული იყო შახისა. მაგრამ შემთხვევას არ უშვებდა რომ ჩუმად დასავლეთის ქვეყნებს დაკავშირებოდა. 1671 წელს ის წერილს სწერს პოლონეთის მეფეს იოანე კაზიმირს (წერილის პირი ფრანგულად გამოქვეყნებული აქვს შარდენს თავის მოგ-

ზაურობაში): პოლონეთის ელჩმა გაიარა საქართველოს მიწაზე და ქართველმა მეფემ მას დიდი პატივი მიაგო. ამ შემთხვევით ისარგებლა და მას გაატანა აღნიშნული წერილი. სხვათა შორის მან შარდენსაც გაუმხილა რომ ის იმყოფებოდა სპარსეთის ტყვეობაში და ყველაფერს აკეთებდა რომ ჩუმად ევროპის წარმომადგენლებთან, როდესაც შემთხვევა ეძლეოდა სიტყვიერი მოლაპარაკება ეწარმოებია.

ქართველები უფრო ადრე ცდილობდნენ კავშირის დამყარებას აღმოსავლეთ ერების ხალხებთან, რომელნიც თავიანთ მხრივ თურქეთის გავლენისა და ჩაგვრას განიცდიდნენ. ევროპის არქივებში შენახული საბუთები ნათელს ჰყოფენ რომ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებიც დიდ იმედებს ამყარებდნენ საქართველოზე თურქების წინააღმდეგ. ამ მხრივ დიდი სახელი გაითქვა ქართლის მეფე სიმონმა, როგორც შეურიგებელმა მებრძოლმა და დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ....

დაეუბრუნდეთ კვლავ პოლონეთის ბედს. მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე ველარაფერი ვაუბედეს რუსებმა პოლონელებს. რუსეთი განუწყვეტლივ იზრდებოდა და საჭირო იყო ახალი მიწებისა და ხალხების მონელება:

ეკატერინე მეორემაც ნახა შემთხვევა პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩარევისა. ისევ მეფის არჩევის საკითხი იდგა. ეკატერინემ ჯარი გაგზავნა პოლონეთში და ძალით იქ თავისი ფავორიტი სტანისლავ პონიატოვსკი გაამეფა. სწორედ ამ დროს მოხდა პოლონეთის პირველი განაწილება პრუსია - ავსტრიისა და რუსეთს შორის, თუმცა პოლონეთის რუსულმა ნაწილმა შეინარჩუნა ავტონომია.

სწორედ მეფის კანდიდატურის გარშემო ატყდა უთანხმოება რუსეთსა და თურქეთს შორის. შექმნილი მდგომარეობა თურქეთს არ აწყობდა და ამ ნიადაგზე თურქეთ - რუსეთ შორის დაიწყო ომი (1768 - 74). ეს ის ხანა იყო როდესაც ეკატერინემ სამხედრო კავშირი შეკრა ქართველ მეფეებთან: ირაკლისთან და სოლომონთან, იმ იმედით რომ ქართველების ომში ჩაბმით ამ ფრონტზე დააკავებდა თურქეთის საგრძნობ ჯარებს. ამ დროს ქართველები გამოიყენეს და მერე არ დააკმაყოფილეს...

თურქეთთან ომის გამო რუსეთმა თავისი ჯარები გამოიყვანა პოლონეთიდან, ამ დროს პოლონეთმა ჩაატარა მთელი რიგი რეფორმებისა და თავდაცვა გააძლიერა. იცოდნენ რომ რუსები მათ კიდევ ესტუმრებოდნენ.

როდესაც რუსეთმა თურქეთთან ომი დაამთავრა და იგრძნო რომ პოლონეთი ძლიერდებოდა, ბრძოლა განაახლა და ჯარები შეიყვანა პოლონეთში. რუსებმა იწყეს

ქვეყნის ნგრევა და დასუსტება შიგნიდან. ისინი ნახულობდნენ ადგილობრივ ძალებს და მათი ხელით აკეთებდნენ საკუთარ საქმეს, ისე როგორც ხდება დღესაც.

ბრძოლები ვათავდა 1793 წელს და ამ დროს მოხდა პოლონეთის მესამე განაწილება.

1794 წელს პოლონეთი აჯანყდა და მისი დამარცხების შემდეგ 1795 წელს მოხდა პოლონეთის მესამე განაწილება. ეს ის წელი იყო როდესაც საქართველოს შეესია სპარსეთის ალა მაჰმად ხანი... ასეთი ანალოგია გასდევდა ორი ერის ბრძოლებს თავისუფლებისათვის!

პოლონეთი ვერ ურიგდებოდა მტრის ბატონობას. ის განუწყვეტლივ იბრძოდა თავისუფლებისათვის. ამასობაში საქართველოც მოჰყვა რუსეთის ბატონობის ქვეშ და პოლონეთთან პარალელურად განაგებოდა აჯანყებებს რუსეთის წინააღმდეგ.

პოლონეთის 1831 წლის აჯანყება დიდ გავლენას ახდენდა საქართველოს შეთქმულებზე, რომელნიც 1832 წლის აჯანყებისათვის ემზადებოდნენ და რომელიც პოლონეთის დამარცხებამ ვერ შეაჩერა, თუმცა რუსებმა ის თავშივე ჩააქრეს. მეტად საგულისხმოა, ის ფაქტიც რომ საქართველოს აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში სამი ათასი პოლონელი იყო მზად.

ამნაირად პოლონეთის 1831 წლის აჯანყება დამარცხდა და თუ აქამდე მათ კიდევ მოეპოვებოდათ ზოგიერთი ავტონომიური უფლებები, ახლა ისიც დაკარგეს და პოლონეთი იქცა რუსეთის უბრალო პროვინციად...

ბრძოლა გრძელდება. ფიზიკური დამარცხებისა და ცოცხალი ძალების განადგურების შემდეგ მებრძოლი ერები გადადიან სხვა და სხვა მეთოდებზე. ერთი ასეთთაგანი იყო ბრძოლა რევოლუციონური. პოლონელები, როგორც ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რუსეთის რევოლუციონურ ბრძოლებში. მათთვის იგი გაიგიველული იყო ეროვნულ განთავისუფლებელ ბრძოლასთან. რუსეთის ტახტის დამხობიდანაც გამოელოდნენ ეროვნულ თავისუფლებას.

ამ მხრივ ეს ერები ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ 1905 წლის რევოლუციაში. რევოლუცია დამარცხდა და როგორც პოლონეთმა ისე საქართველომ ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. ბრძოლის ჟინი გრძელდება..

პოლონეთის დამოუკიდებლობის იდეა მწიფდებოდა და ნელ - ნელა თვით რუსეთის რევოლუციონურ და ლიბერალულ წრეებში თანაგრძნობას ნახულობდა.

რუსეთის დეკაბრისტების კავშირში შევიდნენ პოლონეთის რევოლუციონერებთან და მათ სრულ დამოუკიდებლობას ჰპირდებოდნენ. დეკაბრისტების ეს სიმპატია პოლონეთისადმი განსაკუთრებით გამოაშკარავდა პოლო-

ნეთის 1863 წლის აჯანყების დროს. ეს თანაგრძობა ბუნებრივი იყო, რადგან პოლონელები, ისე როგორც ქართველები, რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობაში დიდ როლს თამაშობდნენ.

პოლონეთთან ერთად განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდა რუსეთის იმპერიაში ფინლანდიასა და ამიტომ მათი საკითხი რევოლუციის დროს უმტკივნეულოდ ჩატარდა.

1914 წლის ომმა ზოგიერთი იმედები გაამართლა. მთელი საზოგადოება შეინძრა. რუსეთის დამარცხება იყო მათი იმედი და 1917 წლის რუსეთის რევოლუციამ თითქოს გაამართლა ეს იმედები.

პოლონეთის დამოუკიდებლობის საკითხი რუსეთის დროებითი მთავრობის დროს ადვილად გადაწყდა, რადგან მას მხარს უჭერდნენ მოკავშირეებიც, რომელთანაც დროებითი მთავრობა კავშირში დარჩა.

ამნაირად, მოკავშირე სახელმწიფოებთან და პოლონეთის საზოგადო მოღვაწეებთან შეთანხმებით, დროებითმა მთავრობამ აღიარა რუსეთის თანხმობა პოლონეთის დამოუკიდებლობაზე, ხოლო ფინლანდიას ნება მისცა ახალი კონსტიტუციის შედგენისა და საბოლოოდ მომავალი დამფუძნებელ კრებასთან შეთანხმებით მისი თვით გამოკვლევა.

სხვა ერები ისევ ალყა შემორტყმული რჩებოდნენ და მათ იმედებდნენ რომ მათ მდგომარეობას გადაწყვეტდა მომავალი დამფუძნებელი კრება, ყოველი ნიშნებით არც მაშინ უპირებდნენ დამოუკიდებლობის ცნობას.

ამავე გზას ადგა რუსეთის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭო, რომელიც იყო ფაქტურად მბრძანებელი მთელი რუსეთისა.

პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტი. მხოლოდ ლენინმა წამოაყენა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა რომ თითოეულ ეროვნებას ახლავე მიეცეს უფლება თავისი ეროვნული მისწრაფების განხორციელებისა. საბჭომ ეს წინადადება არ მიიღო. მაგრამ როდესაც ლენინმა ხელისუფლება ხელში ჩაიგდო, მაშინ კეხი შეიბრუნა.

რუსეთის ბოლშევიკებსა და მასთან სოციალ - დემოკრატებს პროგრ.მაში ჰქონდათ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი თვით გამოყოფამდე. არც დროებითი მთავრობა და არც საბჭო, რომელნიც აღნიშნულ პრინციპს აღიარებდნენ, ვას არ ასრულებენ. მიუხედავად საბჭოში განცხადებისა, ალბად ტაქტიკური მოსაზრებით, არც ლენინს სურდა მისი განხორციელება. მაშასადამე ამ საკითხში რუსები ერთად იყვნენ. ლენინი ვერ განახორციელებდა მ.ს რადგან, როგორც რუსის მოაზროვნე ბერდიაევი სწერს, ლენინი იყო იდეური მემკვიდრე პეტრე დიდისა,

ბაკუნინისა და ძმათა მისთა. მას უნდა განეგრძობა წმინდა რუსული ტრადიცია და ამას მარქსიც მიაყოლა. ლენინმა თავის მოქმედებას ასეთი დასაბუთება გამოუნახა: ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მისაღებია, მხოლოდ ის უნდა შეთანხმებული იყოს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესებთან (ე. ი. რუსეთის), რაც მოითხოვს პროლეტარიატის მთლიანობას. ამიტომ ყოველგვარ გამოყოფაზე ლაპარაკი ზედმეტია. და როდესაც განსაკუთრებით ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ყველა ერებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ეს ლენინისათვის მიუღებელი იყო და როგორც ვნახეთ, მან ისინი იარაღით ხელში ნელ-ნელა დაიპყრო და რუსეთის იმპერია აღადგინა.

როგორი იყო ამ დროს პოლონეთის მდგომარეობა. მას ის პრივილეგია ხვდა წილად რომ მის დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ მოკავშირეები და დროებითმა მთავრობამ იცნო მისი დამოუკიდებლობა, სხვა ერებს კი დამფუძნებელი კრების იმედით ჰკვებავდნენ.

ოქტომბრის გადატრიალებისთანავე დაიწყო სამოქალაქო ომი. დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ალ. კერენსკი ქალის კაბა - გადაცმული გაიპარა. მას არ აღმოაჩნდა სათანადო ხერხემალი ბოლშევიკებისათვის ბრძოლა მიეცა, რაც შეასრულეს რუსის თეთრმა გენერლებმა.

პოლონეთმა კი მოიპოვა რა დამოუკიდებლობა შეუდგა ქვეყნის აღმშენებლობას. მაშინადვე შეუდგა თავდაცვიანი ძალის შექმნას, რადგან იცოდა ლენინის ზრახვები.

ბოლშევიკებისათვის აუტანელი იყო პოლონეთის დამოუკიდებლობა და მისი გაძლიერება, ამიტომ მისი ბედიც ისევე უნდა გადაეწყვიტათ, როგორც სხვების.

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომი გათავებული არ იყო, რომ ლენინმა გადასწყვიტა პოლონეთის დაპყრობა. 1920 წელს მისმა ჯარებმა გაილაშქრეს ლვოვსა და ვარშავაზე. ზურგში მარიონეტული, „საბჭოთა პოლონეთის“ მთავრობაც შექმნა მარსელევსკის თავმჯდომარეობით. მაგრამ ამ ჯერად მას იმედი არ გაუმათლდა. მარშალ პილსუდსკის მეთაურობით პოლონეთის არმიამ ბოლშევიკები სასასტიკად დაამარცხა. 1920 წლის 20 აგვისტოს ვარშავის ბრძოლა ისტორიაში შევიდა, როგორც ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა მსოფლიო ისტორიისა.

ამ გამარჯვებით კი პოლონეთმა იხსნა მონობისაგან არა მარტო თავის ქვეყანა, არამედ დასავლეთი ევროპაც გაბოლშევიკებისაგან, რადგან მაშინ იქ ხელსაყრელი პირობები იყო, განსაკუთრებით გერმანიაში, უნგრეთსა და რუმინეთში. მხოლოდ ამის შემდეგ გამოიღვიძა ევროპამ და წარმოიშვა მუსოლინი და ჰიტლერი, რომელნიც საბოლოოდ დამარცხდებიან.

1921 წელს 18 მარტს დაიდო საზავო ხელშეკრულება პოლონეთსა და რუსეთს შორის. ეს ის დღე იყო როდესაც

რუსეთთან ბრძოლაში დამარცხებული საქართველოს ეროვნული მთავრობა გემზე ჯდებოდა პირით ევროპისაკენ.

ოცი წლის შემდეგ რუსები პოლონელებთან იმასვე გაიმეორებენ რაც გააკეთეს საქართველოსთან. 1920 წელს სათანადო ხელშეკრულებით იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. განაიარაღებინეს ჯარები, რვა თვის შემდეგ შემოესივნ და დაიპყრეს.

ასე თუ ისე პოლონეთის გმირულმა ბრძოლებმა უქმად არ ჩაიარეს. პოლონეთის დამოუკიდებლობამ კარგა ხანს გასძლო. ამ დროის განმავლობაში 35 მილიონმა ერმა აღადგინა თავისი ეროვნული, ტრადიციული სახელმწიფო თავისუფალი რესპუბლიკის სახით და შეუდგა კულტურულ და ეკონომიურ აღმშენებლობას. ის კვლავ ჩაება ევროპის სახელმწიფოთა ფერხულში.

პოლონეთის ერი დიდი იმედებით შესცქეროდა მომავალს. კვლავ იყო მოსალოდნელი რომ პოლონეთი არა მარტო თავის ქვეყანას მისცემდა პილსუდსკისთანა გმირებს, მსოფლიო კულტურის ს. განძურშიც თავის წვლილს შეიტანდა, ისე როგორც ხდებოდა წინად. პოლონეთმა მსოფლიოს მისცა მრავალი დიდი ადამიანი. პირველი იყო გ. მოჩინილი კოპერნიკი (1473 - 1543), რომელმაც პირველად დაადგინა ახალი მზის სისტემა და რომელიც ითვლება თანამედროვე ასტრონომიის მამად. მარია სკლოდოვსკაური, რომელმაც აღმოაჩინა რადიუმი და პოლონიუმი. რ. ვეიგელი, რომელმაც აღმოაჩინა ანტი - ტიფოიდის სერუმი. ლ. ზამენოფი, რომელმაც მოიგონა ესპერანტო. პოლონეთმა წარმოშვა მსოფლიოში განთქმული კომპოზიტორი შოპენი. მანვე მოგვცა მსოფლიო მნიშვნელობის მრავალი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე.

ასეთ პერსპექტივების წინაშე იყო თავისუფალი პოლონეთი, როდესაც კიდევ ერთხელ დასჩხვლა შავმა ყარანმა....

რუსეთთან დადებული ხელშეკრულების, 1921 - 1939 წლების განმავლობაში პოლონეთი სცდილობდა რუსეთს მეგობრული ურთიერთობა შეენახა. ამ მიმართულებით, მთელი ხელშეკრულებები იყო დადებული ორივე მხარის შორის.

1.— 9 თებერვლის 1929 წლის პროტოკოლი შეეხებოდა უშუალო განხორციელებას პარიზის 27 აგვისტოს 1928 წლის ხელშეკრულებისა. (კელოვის პაქტი).

— 25 ივლისს 1932 წელს დაიდო საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის თავდაუსხმელობის პაქტი, რომელიც 5 მაისის 1934 წლის შეთანხმებით გრძელდებოდა ათი წლის ვადით, 1945 წლამდე.

ამის შემდეგ მრავალჯერ იყო გაკეთებული დეკლარაცია თავდაუსხმელობის პაქტის ძალაში ყოფნაზე.

მაგრამ რუსეთმა ყველა ეს პირობები დაარღვია და 1939 წლიდან დაამყარა ჯერ ჩუმი ურთიერთობა გერმანიასთან და მას ყოველ მხრივ აქეზებდა პოლონეთს შესეოდ. ამავე დროს კი მოსაჩვენებლად პოლონეთს ეხმარებოდა და ჰპირდებოდა მეგობრობას, რომ გერმანიისათვის წინააღმდეგობა გაეწია და მათ შორის ომი გამოეწვია.

სტალინმა კარგად იცოდა რომ ჰიტლერს რუსეთი აინტერესებდა, ხოლო პოლონეთი მის გზაზე იყო. ჰიტლერი ვერ მიხვდა სტალინის გეგმებს. სტალინი კა იმედოვნებდა რომ ჰიტლერს ნაპოლეონის ბედი ეწვეოდა.

ამნაირად რუსეთი ელოდა ხელსაყრელ შემთხვევას რომ ეს თავისუფლების მოტრფიალე ერი, უკვე ბედნიერი, თავისი თვითმყოფობით, კიდევ ერთხელ მონაბის ქვეშ მოექცია.

დაიწყო 1939 წ. მეორე მსოფლიო ომი. ომი ჰიტლერმა დაიწყო პოლონეთის წინააღმდეგ. ინგლის - საფრანგეთმაც გერმანიას გამოუცხადა ომი. მაგრამ ომის რიალური გამომწვევი იყო სტალინი....

ომის დასაწყისში პარიზში, ლეონ ბლუმმა გამოაქვეყნა სტალინის განზრახვის საიდუმლოება. ყველას უკვირდა, საიდან იცოდა მან ის. და უკანასკნელ წლებში, როდესაც ამერიკაში გამოქვეყნდა ხრუშჩოვის მოგონებები, იქ ამოვიკითხეთ ის, რასაც მაშინ ლეონ ბლუმნი სწერდა.

ერთ დღეს სტალინი წარსდგა პოლიტიკურ ოში და განაცხადა. ჩვენ კავშირი უნდა შევკრათ ჰიტლერთანავე. ამ განცხადებით მთელი პოლიტიკური განცვიფრებული იყო: როგორ კაცი - ჭამა ჰიტლერთან კავშირი! სტალინმა ისინი დაამშვიდა და თავისი იდეა ასე განმარტა: თუ ომი არ მოხდა, ჰიტლერი მთელ ქვეყანას დაეპყრობს. სანამ ის გაძლიერდება, ახლავე უნდა დავამარცხოთ. ეს კი შესაძლებელია მისი ომში ჩაბმით. თუ ჩვენ კავშირში შევალთ ინგლის - საფრანგეთთან (მათი დელეგაცია ამ დროს მოსკოვში იყო და სტალინმა პირადად ის არც კი მიიღო) მაშინ ჰიტლერი ომს ვერ გაბედავს, ხოლო თუ ჩვენ კავშირს შევკრავთ და დასაწყისში კიდევ დავეხმარებით, მაშინ ჰიტლერი ომს დაიწყებს. და როდესაც დაიღლება ჩვენ მუსიკით შევალთ ბერლინშიო. დაახლოებით ასეთი იყო სტალინის აზრი.

მ.წ. შეკრა კავშირი ჰიტლერთან (აგვისტოს 1939წ.). ამით დაიმედებულმა ჰიტლერმა, როდესაც პოლონეთის მთავრობისადმი უკანასკნელ ულტიმატუმზე დადებითი პასუხი ვერ მიიღო, პირველ სექტემბერს 1939 წელს პოლონეთს ჯარი შეუსია.

რუსეთთან დადებული პირობით, ჰიტლერმა რუსთს დაუთმო ბალტიის ქვეყნები და პოლონეთიც გაინაწილეს. ამ პირობის თანახმად 17 სექტემბერს 1939 წელს რუსეთი შეესია პოლონეთს.

პოლონეთს კიდევ ერთხელ ეწია მწარე ბედი. მას ერთ მხრიდან გერმანელები ანადგურებდნენ და მეორე მხრიდან რუსები. განსაკუთრებული იყო რუსების მოქმედება. აქ მაგონდება პილსუდსკის ქვრივთან ერთი ინტერვიუ მეორე ომის წინ მას ჰკითხეს: თქვენთვის რა განსხვავებაა რუსეთსა და გერმანიას შორისო. მან მიუგო: გერმანელები გავასამართლებენ და ისე დაგზვრეტენ, ხოლო რუსები გაუსამართლებლად დაგზვრეტენო.....

სათანადო საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ ამ დროს რუსებმა გადაასახლეს 1.692. 000 პოლონელი, მათ შორის 230000 ჯარის კაცი და ოფიცრები. 210 ათასი გაიწვიეს წითელ ჯარში და თავი უკრეს ცენტრალურ რუსეთისაკენ. 1952 წელს შეერთებული შტატების კონგრესის გამოძიებით გადასახლებული პოლონელებიდან მხოლოდ 114. 500 დამიანი გადარჩა ცოცხალი.

ამავე დროს რუსეთმა გადასწყვიტა პოლონეთის შეიარაღებულ ძალისთვის თავი მოეკვეთა: ამ მიზნით დახვრიტა 14 ათასი რეგულიარული რეზერვის ოფიცერი. (ცნობილი კატინის საქმე). ისტორიაში გუგონარაი რამ!

სამარხების აღმოჩენის შემდეგ, მათ ეს სიველურე გადაბრალეს გერმანელებს. ხოლო გერმანელებმა ომის დროსვე, სათანადო დოკუმენტების გამოქვეყნებით დაამტკიცეს რომ ეს იყო რუსების საქმე, რაც დღეს ყველასათვის ცნობილია.

როდესაც რუსის ჯარი შეესია პოლონეთს, მოლოტოვის უთქვამს: „ვერსალის ზავის ბუში პოლონეთი საშულდამოდ გაჰქრა და ის ველარსოდეს აღდგებაო!“

პოლონეთმა გმირულად იბრძოლა და დამარცხდა. ამნაირად, ომის დასაწყისშივე რუსეთმა დიდი ლუკმა იგდო ხელში. გერმანიაც ეხმარებოდა რომ მომავალში მოკავშირეებთან თავი ძვირად დაეფასებინა.

მაგრამ რუსეთმა დიდხანს ვერ დაფარა თავისი ზრახვები. გერმანელები ბოლოს მიხვდნენ და მათ მიერ გამოქვეყნებული საბუთები ნათელს ჰყოფენ, რომ სტალინი ხელსაყრელ დროს უცდიდა. გერმანიამ ეს შეიტყო, დაასწრო და 1941 წლის ივნისში რუსეთს შეესია. სტალინი ასე ადრე არ ელოდა და დასაწყისში დაიბნა. მით უმეტეს რომ ცოტა ადრე მან მთელი მხედრობა გაანადგურა და დრო სჭირდებოდა სამხედრო რიგების შესახებად.

ის მალე გონს მოვიდა, სხვა საშუალება აღარა იყო, მაშინადადვე მოიწვია ჰიტლერთან კავშირის დროს გარიყული ლიტვინოვი და ამერიკაში აფრინა. ალბად ამერიკაც მოელოდა ამ დღეს და მაშინვე უამრავი იარაღი მიაყარა.

სტალინმა დიდი მობილიზაცია მოახდინა. მარტო საქართველოდნ მან გაიწვია მოსახლეობის 15 პროცენტი, რომელთაგან ნახევარი ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. ამნაირად განმტკიცდა გერმანიის საწინააღმდეგო ძალა

და მიუხედავად დასაწყისში ჰიტლერის დიდი გამარჯვებისა, როდესაც რუსეთი პოლონეთიდანაც გააძევა და მოსკოვსაც მიუახლოვდა, მისი დამარცხების პირველი ნიშანიც ამ დროს გამოჩნდა.....

მიუხედავად მოკავშირეთა შორის გარეგნული სოლიდარობისა, რუსეთს თავის განზრახვებზე პოლონეთის მიმართ ხელი არ აუღია. მან მის განკარგულებაში მყოფი პოლონური ჯარის ნაწილების გადამუშავება დაიწყო. ამაში დიდად იყენებდა პოლონეთის კომუნისტებს.

ამ დროს პოლონეთში შეიქმნა საიდუმლო მებრძოლი ორგანიზაცია, სტალინი მათ არ ენდობოდა და მათ შეუქმნა პარალელური მებრძოლი ძალა რათა მომავალში გამოეყენებინა და როდესაც გერმანიის დამარცხება დაიწყო, ის ფეხ და ფეხ მისდევდა რომ პოლონეთი ხელში ჩაეგდო კომუნისტების იქ გაბატონებით.

ამის შემდეგ ის განუწყვეტელ ინტრიგებს აწარმოებდა მოკავშირეებთან, რაც ცნობილია; და ისიც ცნობილია რომ სტალინმა ყველა თავისი გულის ნადები შეისრულა დაბრმავებულნი ჰიტლერის დამარცხების ეინით, სტალინს ყველაფერს უსრულებდნენ და არ ფიქრობდნენ თუ ამას რა მომავალი მოჰყვებოდა, რასაც დღეს მათი მემკვიდრეები ასე მძიმედ ეზიდებიან.

პოლონეთის მიმართ ინგლის - ამერიკამ სათანადო სიმტკიცე ვერ გამოიჩინეს, ვერ დაიცვეს მაშინ და მერეც და ის მიუგდეს რუსეთს საძიძენლად.

უპირისპირეს რუსეთში მათ მიერ შექმნილი საიდუმლო პოლონური კომუნისტური მთავრობა, რუსის ჯარით ზურგ გამაგრებული. 1944 წელს მოსკოვიდან რადიოთი ამცნობდნენ, რომ პოლონეთში უკვე შეიქმნა საიდუმლო ეროვნული საბჭო, რომელიც უძღვება პოლონეთის საქმეებსო. ეს იყო რუსეთის ქმნილება და უგულვებელს ჰყოფდა პოლონეთის ეროვნულ მთავრობას ლონდონში....

რუსეთის გამარჯვებული ჯარები პოლონეთს უახლოვდებოდნენ და თავს აცხადებდნენ პოლონეთის „განმანთავისუფლებლად“.

ამ დროს ემიგრანტულმა მთავრობამ და პოლონეთის საიდუმლო არმიამ გადასწყვიტეს მოქმედება დამპყრობელი გერმანელების წინააღმდეგ. გადაწყდა აჯანყება იმ დროისათვის როდესაც რუსის ჯარები ვარშავას მიუახლოვდებოდნენ. აჯანყება შეიძლება ნაკლები მსხვერპლითა და გამარჯვებით გათავებულყო, თუ რუსეთი დაპირებას შეასრულებდა და დაეხმარებოდა. რა მოხდა?!

ამერიკის კონგრესის გამოძიების მიხედვით 1944 წლის ივლისის ბოლოში წითელი არმიის ნაწილები უკვე ვარშავის გარე უბნებს უახლოვდებოდნენ, ქალაქს მხოლოდ მდინარე ვისტულა აშორებდა.



აქედან რუსები პოლონელებს აქეზებდნენ, დაეხმარათ ჩვენს არმიას, მოგდივართ თქვენს გასანთავისუფლებლად. მოსკოვის რადიო „კოსიუშკო“ აღმაფრთოვანებული ფრაზებით მოუწოდებდა პოლონელებს იარაღი აეღოთ ხელში გერმანელების წინააღმდეგ.

ამ დროს მთელი საიდუმლო ძალები პოლონეთისა ვარშავაში იყო თავმოყრილი (400 000 კაცი) თავის მხრივ გერმანელები ყველაფერს აკეთებდნენ სათანადო დახვედროდნენ პოლონეთის აჯანყებას.

პირველ აგვისტოს 1944 წელს საღამოს 5 საათზე ვარშავის ქუჩები ცეცხლის აღში იყო გახვეული. დაიწყო სისხლის მღვრელი აჯანყება და ორ დღეში ვარშავა აჯანყებულების ხელში იყო. მთელი ხალხი და თავსუფალი ვარშავა მზად იყო წითელი არმიის მიღებისათვის და სწორედ ამ დროს შეწყდა წითელი არმიის ზარბაზნების ხმაური. ამან ვარშავას ხალხი შეაშფოთა.

ლონდონიდან პოლონეთის მთავრობამ მიმართა სტალინს: ვარშავამ დადებითად უპასუხა რუსების მოწოდებას და სთხოვეს დახმარებას. სტალინმა უარი განაცხადა თავიანთ მოწოდებაზე და აჯანყების მოწყობას აბრალებდა პოლონეთის „რიაქციონერებს“ და „ფაშისტებს“ და სხვა „უპასუხისმგებლო“ ხალხს. გერმანიის გააფთრებული ბრძოლის გამო აჯანყებულები გასაქირში ჩავარდნენ, მაშინ ჩერჩილმა და რუზველტმაც მიმართეს სტალინს რათა მათი თვითმფრინავები ჩამოსულიყვნენ საბჭოთა ტერიტორიაზე და აჯანყებულებისათვის რამე მიემეველებინათ, სტალინმა ამაზეც უარი უთხრა.

რუსეთს უნდოდა პოლონეთის ძალები გერმანელების ხელით განადგურებინა.

ამერიკის კონგრესის კომიტეტი სწერდა: „უკვე ორ ოქტომბერს (1944) ვარშავაში აღარ იყო სასმელი წყალი, აღარც ცხენი, აღარც ძაღლი და კატა რომ ექმათ!“

დამარცხების გზაზე მდგარი გერმანელები სასტიკად უმასპინძლებოდნენ პოლონელ პატრიოტებს.... ამ აჯანყებამ იმსხვერპლა 250 ათასი პოლონელი....

მაგონდება მწარე ანალოგია საქართველოსთან, როდესაც რუსებმა საქართველოსთან ხელშეკრულებით მიღებული პირობა დაარღვიეს და სიამოვნებით უცქეროდნენ, აღამაჰმედ ხანი როგორ ანადგურებდა საქართველოს სატახტო ქალაქს. რუსეთის მიზანიც ეს იყო, საქართველო წელში გაეტეხად და მერე ადვილად დაეპყროთ.

პოლონეთი ვერასოდეს დაივიწყებს ამ მორიგ მოღალატურ აქტს რუსეთისა. ვერ დაივიწყებს 14 ათასი პოლონელი მხედრის უწყალო განადგურებას!

პოლონეთის არც დღევანდელმა „მბრძანებლებმა“ უნდა დაივიწყონ, რადგან ალბ დ მათაც ისეთივე ბედი მოელოთ რუსებისაგან, რაც სხვა, დაპყრობილი ქვეყნების

კომუნისტების მეთაურებს დაემართათ, როდესაც ს. კუთარი ერის შვილთა განმანადგურებლებმა, თვითონ გაყვეს თავი გილოტინაში!!!

კიდევ ერთხელ შევიდნენ რუსები პოლონეთში. გაანადგურეს ქვეყნის პატრიოტები, სათავეში ჩაუყენეს მათი აღზრდილი კომუნისტები და ქვეყანას დაეპატრონენ.

დიდი არაფერი განსხვავებაა ე. წ. საბჭოთა კავშირში მყოფ დამონებული ერებისა და ე. წ. სატელიტების შორის. პოლონეთი ვერც ამ მდგომარეობას შეურიგდა და არა ერთხელ სცადა განთავისუფლება მაგრამ მტერმა ყოველთვის სისხლში ჩაახრჩო ის....

ისიც არ უნდა დავივიწყოთ რომ მოკავშირეთა გამარჯვებაში, თვით დაპყრობილ პოლონეთს დიდი წილი ედო.

1939 წელს პარიზში შესდგა პოლონეთის მთავრობა და გენერალ სიკორსკიმ შეადგინა 4 - 5 დივიზია ფეხოსანი ჯარი, ერთი ჯავშნოსანი და ერთი კარპატის ბრიგადა; მათ მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის ბრძოლებში 1940 წელს. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ეს ჯარი გადავიდა ინგლისში. ამას დაუმატეთ 1942 წელს გენ. ანდერსის მიერ შედგენილი 75 ათასიანი არმია რომელიც 1944 წელს ავიდა ასი ათასზე. მათ მონაწილეობა მიიღეს ბრძოლებში: აფრიკაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ბელგიაში.

შიგნით პოლონეთში, როგორც ავღნიშნეთ, იბრძოდა ოთხასი ათასიანი საიდუმლო არმია, მათშორის ასი ათასი

ამ ძალამ ხუთი წლის განმავლობაში გაანადგურა და დააზიანა 7000 ლოკომოტივი, 17000 ვაგონი. თავდასხმით დააზიანეს გერმანიის ჯარის 700 მატარებელი, გაანადგურეს ათასზე მეტი ტრანსპორტი, დაანგრეს 38 ხიდი და ასეთ დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა პოლონეთის საიდუმლო ძალა გერმანელებს და ეს დიდი დახმარება იყო მოკავშირეებისათვის, მაგრამ ვერც ეს დააფასეს....

1944 წლის აჯანყებამ პოლონეთი წელში გატეხა. ამას დაემატა მატერიალური გაჭირვება. და როდესაც რუსის ჯარი შევიდა პოლონეთში, ის ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული რომ გადარჩენილ საიდუმლო ძალებს თავის მხარეზე გადმოიყვანდნენ, მით უფრო რომ მათ ჯერ კიდევ ლონდონის მთავრობა მეთაურობდა. ამიტომ რუსებმა მაშინადვე დაატუსაღეს საიდუმლო ორგანიზაციების მეთაურები, ეს დადასტურა ამ დროს სანფრანცისკოში მყოფმა მოლოტოვმა. ამაო იყო ინგლის - ამერიკელების პროტესტები.

21 ივნის 1945 წელს რუსებმა მოსკოვში შეადგინეს პოლონეთის ახალი მთავრობა და მოსაჩვენებლად ამ ჯერად იქ ცოტა კომუნისტები შეიყვანეს სხვა პარტიების წარმომადგენებლთან ერთად. ამან გაუადვილა რუსებს მოეპოებინა შემდეგი: 3 ივლისს 1945 წელს ინგლისმა და

შეერთებულმა შტატებმა შესწყვიტეს ცნობა ლონდონის პოლონური მთავრობისა.

სხვათა შორის, იალტის კონფერაციაზე რომ რუსებს დაუდასტურეს აღმოსავლეთ პოლონეთის ინკორპორაცია, ესეც პოლონეთის მთავრობის ჩაურევლად მოხდა.

1947 წლამდე რუსები შეინახეს პოლონეთის მთავრობაში სხვა პატრიოტების წარმომადგენელი; ამის შემდეგ კი ყოველივე ხელთ იგდეს და მოახდინეს სრული „სოვეტიზაცია“ და დაიწყო პოლონეთის გარდაქმნა:

1. ტაქტიკური რეჟიმის გასამაგრებლად და რუსეთის სრულ მორჩილებაში მოსაყვანად, ჯერ პოლიტიკური ძალები გაანადგურეს.

2. მერე მიადგნენ ეკლესიას. ბოლშევიკები საერთოდ ებრძოდნენ ეკლესიას. მაგრამ პოლონეთის მიმართ უფრო მეტი ენერგია გამოიჩინეს. რადგან პოლონეთი კათოლიკე ქვეყანაა, ხალხი მორწმუნე და საღმრდელოებას დიდი გავლენა აქვს მოსახლეობაზე. 1944 წლის შემდეგ როდესაც აღმოსავლეთ პოლონეთი შეიმტკიცეს, აქ პირველად საღმრდელოებას დაერივნენ. ზედმეტი არ იქნება ზოგი ფაქტის დასახელება: მრავალი ასეული მღვდელი იყო მოკლული და დატუსაღებული. ოცი ეპისკოპოსიდან ათს მოუსპეს თავისუფლება. ოთხასი სემინარია დახურეს. ორი ათასი კათოლიკე საერო პირი საკონცენტრაციო ლაგერში გამოამწყვდიეს და სხვა.

3. ეკლესიის შემდეგ რიგი იყო გლეხობისა. პოლონეთი გლეხური მეურნეობის ქვეყანაა. გლეხისათვის თავისი მიწა წმიდათაწმიდაა. მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს კოლექტივიზაციას. მრავალი აქტიური გლეხი დაატუსაღეს, თუმცა ამ დარგში დიდ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

4. პოლონეთის ეკონომიკა მთლიანად დაუმორჩილეს მოსკოვის მთლიან ეკონომიურ სისტემას და ამით მოშალეს ეროვნული ეკონომიკა. ამან დასცა პოლონეთი მატერიალურად და ჩააყენა მძიმე პირობებში რასაც ახლაც განიცდის.

5. შემოიღეს მონური შრომა, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში.

6. სამხედრო საქმის სათავეში ჩაუყენეს მოსკოვის მიერ გაწვრთნილი და კომუნისტურ ყაიდაზე აღზრდილი პირები და მთლიანად რუსეთის სამხედრო ძალას დაუმორჩილეს.

7. მთელი ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაცია დაუმორჩილეს მოსკოვს, რომლის გარეშე ადგილობრივ ხელისუფლებას არაფრის ვაკეთება შეუძლია. ყველა ქვეყანაში და ყოველ სფეროში პოლონეთის სახელმწიფოს სახელით მომქმედი წარმომადგენლობა, ძირითადად მოქმედობს მოსკოვის კარნახით.

ამგვარად, პოლონეთმა დაკარგა ყოველივე ნასახი დამოუკიდებლობისა, თუნდაც მისი კომუნისტური მთავრობით და იქცა ერთგვარ კოლონიურ ქვეყნად;

ხალხის სრული თავისუფლების აღკვეცამ, მატერიალურმა გაჭირვებამ და ეროვნულმა ჩაგვრამ, კვლავ ახალი მოძრაობა წარმოშვა და მოხდა გაუფონარი ამბავი! ამ ჯერად ბოლშევიკებს „ბურჟუები“ და „ფაშისტები“ კი არ აუჯანყდნენ, არამედ მუშათა კლასი, რომლის მფარველად და პატრონად მოვლენილი იყვნენ კომუნისტები. პროლეტარულ სახელმწიფოს პროლეტარიატი უჯანყდებოდა. ეს არის უდიდესი ლახვარი კომუნისტური რეჟიმისათვის. პოლონეთში ათი მილიონი მუშა შეკავშირდა, რომელსაც მთელმა ერმა სრული თანაგრძობა გამოუცხადა; მუშათა კლასმა მოითხოვა თავისუფალი კავშირების შექმნა. ამას უპასუხა ათ მილიონმა მუშამ. ეს უჩვეულო რეჟიმისათვის, მოსული იმავე მუშათა კლასისაგან, მთავრობისათვის დაუძლეველი შეიქმნა და ის დათმობაზე წავიდა. მუშებმა შექმნეს თავისუფალი კავშირი „სოლიდარიტე“.

პოლონეთის მუშებმა ანგარიში ვერ გაუწიეს იმ გარემოებას რომ საბჭოთა რეჟიმთან შეუთვისებელია თავისუფლების ყოველგვარი გამოვლენა. რადგან საბჭოთა რეჟიმი თავისუფლების აღკვეთაზეა დამყარებული და მისი ოდნავ შერყევა იქნებოდა თვით რეჟიმის დაცემა. ხოლო წარმატებით წაქეზებულმა მუშებმა მოითხოვეს გაცილებით მეტი.

რუსეთისათვის, რომელიც არის ბატონი და პატრონი პოლონეთისა, ცხადია მიუღებელი იყო ეს მოვლენა. თვით პოლონეთის მთავრობის დათმობაც; ამიტომ მოსალოდნელი იყო ისეთივე რეაქცია რაც მოხდა უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. რომ ისინი პოლონეთის მუშათა მოძრაობასაც სისხლში ჩაახრჩობდნენ.

მაგრამ თავისუფალი მსოფლიო ამჯერად ამხედრდა, ხმა აღიმალა და მოსკოვს დაემუქრა მეტად მძიმე შედეგებით თუ ის პირდაპირ ჩარევას გაბედავდა.

რუსეთმა გაითვალისწინა რა მისთვის საბედისწერო შედეგები ჩარევის შემთხვევაში, საკითხს თავისი ნაცადი გზით მოუარა და გადასწყვიტა პოლონეთის მუშათა მოძრაობა პოლონეთისავე ძალებით ჩახეზო. რომ პოლონელი კომუნისტები საიმედო ყოფილიყვნენ, ჯერ მათი რიგები გასწმინდა და პარტიას სათავეში ჩაუყენა ისეთი პირები ვინც მათ ბრძანებას უსიტყვოდ შეასრულებდა.

გენერალი დუბიციკი, რომელმაც პოლონეთი დასტოვა 1981 წლის აგვისტოში, და ყველაფერის ახლო მცოდნეა, ერთ გერმანულ ჟურნალს განუცხადა:

რუსეთს რომ დასავლეთ ევროპასთან კონფლიქტი მოუხდეს, პოლონეთს მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამისათვის საჭიროდ მიაჩნიათ პოლონეთში შექმნილი მდგომარეობა.

რეობის ლიკვიდაცია. ამ საქმის ხელმძღვანელობა ხელში აიღო მოსკოვის უმაღლესი მხედრობის ერთმა ჯგუფმა, რომელიც უკარნახებს თავის გადაწყვეტილებებს გენ. ჟერუჟელსკის. იმავე გენ. ლუბიციკის ცნობით, რუსის ჯარის ნაწილებისათვის გადაუცემვიათ პოლონური სამხედრო ფორმა და ყველა ნერვიულ ადგილებში ჩაუყენებიათ. რუსები პოლონეთის ჯარის ნაწილებს არ ენდობიან. ამიტომ დაიწყეს წმენდა და ზოგიერთი არა საიმედო ნაწილები კაზარმებში გამოჰკეტეს.

მთელი ეს სამზადისი წინ უსწრებდა სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებას. სანამ ყველაფერი მომზადდებოდა, „სოლიდარობას“ მოლაპარაკებით აძინებდნენ.

სამზადისი რომ დამრთავდა, 21 მხედრისაგან შემდგარმა საბჭომ, რომელსაც მეთაურობს გენ. ჟერუჟელსკი, სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა.

მუშათა ორგანიზაციები და მთელი პოლონეთი შებოქილი აღმოჩნდა. საბჭომ ყველგან ჯარები ჩააყენა. დაიწყო საშინელი დევნა მუშათა მეთაურების და გაზეთების ცნობით ორმოცდა ათი ათასი კაცი გამომწყვდია...

მოსალოდნელია რომ ეს დიდი მუშათა მოძრაობა მუშურ - გლეხურ სახელმწიფოში, იქნება ჩახრჩობილი. მთელი, მსოფლიოსი და შინაგანი ძალების წნევით, ალბად პოლონეთის ხელისუფლება წავა იმ მცირე დათმობაზე რომ „სოლიდარობას“ მთლად არ გააუქმებს მაგრამ რეჟიმის სრულ მორჩილებაში მოიყვანს; ეს იქნება ალბად ერთადერთი გამოსავალი რომ პოლონეთი ერთხელ კიდევ არ შთაინთქას ანარქიაში.....

**ალ. მანველიშვილი.**

**სან - ფრანსისკო - 1982.**



## გიორგი შიფიანი

ქ ვ ა ლ ა კ ა რ ა კ ო ბ ს

დავით ხარისჭირიშვილისა და სტეფანე კასრაძის ხსოვნას

აქ მებრძოლთა აჩრდილები  
ჩაჩრდინულნი ქვის სხეულში.  
დრო დაზფნილი სისხლის თმებით  
გვიხმობს, გვითხროს გაკვირვებით:  
ჩვენ ვიბრძოლეთ ორ ცეცხლს შორის,  
გულში ძვარდა გამარჯვება,  
მურობელ ქვეყნის სამსხვეპალოზე  
მიგველოდა ქართლის დედა!  
უხმოდ, ცივად, ქვის კედლებში  
მოვისუბრვით თქვენთან ყოფნა,  
აქაც - იქაც, საუბრობლოტვის  
ისტორიის ბანუყოფლად.  
ჩვენ გვინდოდა თქვენ საფლავზე  
წმინდა მსხვეპლის არდაქლება,

რომ თქვენ ძვლებთან რჩენილიყო  
ჩვენი სულის ქანდაკებაც.  
ო . . . . სიკცხვილო - ეს რა მოხდა!  
ბრძოლის ძმებმა ბავბავებმა.  
ღამე კვენის - ღამე ოხრავს  
ბრძოლებს ვერვინ დააძველებს“  
და დაირხა ლევიონი,  
წმინდა მსხვეპლი წარსდგა ღმერთთან  
ვით საქმენი საბმირენი  
ისტორიის უმნაპრთად.

1982

— არასწორი ცნობებით, ადგილობრივმა მართველობამ აკრძალა ლევილის ძმთა სასაფლაოზე დადგმული მსოფლიო ომში (1941 - 1945) საქართველოს გასანთავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულ ზამთლიშვილთა საპატივცემულო — მემორიალი.

ჩვენ ყოველთვის მივდივართ სახლიდან სხვაგან —  
 მივდივართ ახლოს,  
 მივდივართ შორს  
 და რადგან  
 წასვლისას მივეყვებით გზას ფართოს და სწორს  
 მივდივართ ხალისით;  
 ის კი არ ვიცით,  
 დავბრუნდებით როგორ და როდის,  
 ან დავბრუნდებით ნეტავი ოდეს!  
 ახ, შეიძლებაოდეს  
 განსჭვრეტა ყოვლის,  
 რომ სული ცხოველი  
 არ დაიტანჯოს უმზეო გვაღვით,  
 არ დაიხარჯოს შეცთომით მრავლით  
 და გზად მიმავალნი  
 არ გადვიქცეთ მოხეტიალედ,  
 რომ დრომ ტიაღმა  
 დარღთან ერთად არ გაგვიქარგოს,  
 ვით ზღვაში წვეთი არ დაგვიქარგოს  
 ყოველი ჩვენი მოსაგონარი;  
 შორს, სადღაც ერთი სახლი რომ არი  
 არ დავივიწყოთ მისი კიბე,  
 მისი სართული,  
 და მოვინახულოთ კიდევ როდისმე  
 თუ ღმერთი გვისმენს  
 და დაგვაბრუნებს  
 თუ სოფლის ბრუნება  
 არ გაგვწირავს და არ ჩაგვიძირავს  
 როგორც რამ გასაღებს,  
 რომელიც უკვე ვერა კარს აღებს . . .  
 ახ, შეიძლებაოდეს!  
 მაგრამ რაღა დროს, მივდივარ შორს  
 და გემშვიდობები, ვინ მეტყვის რა ხნით?!  
 ვის ესმის რა ხნით ვტირი და ვგლოვობ,  
 მაგრამ გულდაცლილი  
 მივდივარ მაინც,  
 მზერას ვარიღებ ნაცნობ ზენობებს  
 სადაც მე აღარ მელოდებიან.  
 თან მიმაქვს მარად უხდელი ვალები,  
 ასფალტს არ რჩება ჩემი ნაკვაღვით  
 და ჯიუტი, ურჩი  
 ვით ბოში ქალი მომყვება ქუჩა:  
 რამე მაჩუქეო, -  
 თითქოს ჩამრჩურჩულვებს, -  
 და გიმარჩიელებ.

მალე ეს ქუჩა იქცევა გზად  
 და ვინ იცის, სად  
 ექნება ბოლო ამ მღვრიე მდინარეს!?  
 ნეტავ ვინ არის,  
 ან არის განა  
 მენავე მისთანა,  
 რომ გამომყვეს თან  
 და ნუ ამაცილებს ათივ წრის სიმწარეს  
 ოლონდ დამაბრუნოს ამ ქვიან მხარეს.  
 ვაი, თუ შევრჩი მე შენს მოძულედ  
 შორეულ კუნძულებს,  
 თუ დაგივიწყე,  
 და წელთა წყებამ  
 თან გაიყოლა ჩემი წუხილი!  
 ვაჰ თუ გულგრილად  
 გავიხსენე შენი სახელი!  
 მირჩვენია ისევ სასჯელი,  
 შენ არ გიყვარდ;!  
 რომ შენ სხვას ჰყავდე  
 სასიხარულოდ მისი მოყვარული.  
 მაინც ვიქნებოდი წმინდა სულივით  
 მე ფრთაშესხმული.  
 მაგრამ როდესაც მივდივართ სახლიდან,  
 ჩვენ ყოველ სიტყვას ვსწავლობთ ახლიდან,  
 გულს ეუფლებიან ახალი ღმერთები,  
 ჩვენი ცრემლები სხვა წყალს უტრთდება  
 და გვსურს თუ არა,  
 ვლოცულობთ სხვაგვარად . . .  
 ახ შეიძლებაოდეს აცილება  
 იმ მანძილების  
 ბორკილებად რომ დადებიან ჩემს მძიმე ნაბიჯებს,  
 წაიშლებოდეს ნეტავ ის მიჯნები  
 ასე რომ ჰყოფენ შენს ბედს  
 და ჩემს ხვედრს!  
 ვის შევევედრო  
 შემეწყალოს, ცოტა მადროვოს  
 შენს ახლო დამტოვოს.  
 არ მინდა რა, გეფიცები, მე ამის მეტი  
 ნუ გამაჩუქებ, ნუ გამიშვებ, ნუ გამიმეტებ!  
 წასვლა, ხომ იცი, ადვილი იქნება, ო, რა ადვილი—  
 გზა ფართოდ ივლის,  
 ცა ილივლივებს,  
 დღე იმზიანებს.  
 მოსვლა, იოსებ, მოსვლა გახდება ძალზე გვიანი.

ოქტომბერი, 1973 წელი.

APOCALYPSE

აპოკალიფსი

- 1 -

ყვავილების სიყვარული,  
 მზე მხურვალე სხივთა ცქერა,  
 მიწა გულის სატრფიალო  
 და სიციცხლის ბედისწერა.  
 გაძარცვული დედამიწა,  
 მზე ახალი პატიმარი,  
 გონი რკინის ხრახნილები,  
 გული ქვეყნის საცივარი.  
 რაც კი მქონდა, აღარა მაქვს.  
 შემრჩა რაც არ მქონია,  
 უბილავის შემონახვა  
 ზღაპრის მონოლოგია.

- 2 -

დაუკარით ისევ ტაში  
 კაცის მკვლელს და კაცის მჭამელს,  
 გამომგონს და გამოგონილს,  
 მარადიულ კანიბალებს.  
 ააფეთქეთ დინამიტი!  
 ააფეთქეთ ატომები!  
 შესისხლული დედამიწა,  
 ცის და მიწის ნახტომები.  
 გალაქსებში კოლომბია,  
 პერშინგი და ეს - ეს ოცი,  
 ჯოჯოხეთის ფრინველები  
 დედამიწის განატყორცი.

- 3 -

მანქანები ძვლებს ისვრიან,  
 სააქაო სისხლში წვება.  
 მზეს ქარხნებში გამომწყვდეულს  
 ზეცის ხილვა ენატრება.  
 ყოველ მხრიდან რკინის ფარდა,  
 სამარცხვინო ქვის კედელი,  
 ოქტომბერი და იალტა  
 შეუმშრალი სისხლის მღვრელი.  
 ცა სივრცეებს ვეღარ იტევს.  
 ფრინველები გვამებს ჰყრიან.  
 გრგვინვა — ცეცხლი პირჯვარს იწერს,  
 მიწა იხვევს გულზე რკინას.

- 4 -

თვით ნოტრონი სულის მკვლეელი,  
 მატერიის გადამრჩენი,  
 მზე ღრუბლებში გარჩენილი  
 უსხივოსნო, ტანშიშველი.



უსულდგმულო ყვავილები,  
 გატრუსული მთა და ველი,  
 ზღვა გამშრალი — ძირ გამხმარი,  
 მოჩვენება საშინელი.

არც ბუნება — აღარც კაცი,  
 დასრულდება სულის სუნთქვა,  
 მეორდება ქვეყნის მარცხი,  
 აღსასრული უფალს უთქვამს.

- 5 -

ისე შიდის ჟამთაღენა  
 რასაც იძენს ისევ ჰკარგავს,  
 მოვა კაცი გალაქსიდან  
 და მკვდარ მიწას ფეხს დაადგამს.

1981 პარიზი.

შემოდგომის დასასრული

ზამთარი მიახლოვდება  
 ველი ჭალარა ბაბუას,  
 ქარბუქი თეთრი თითები  
 მომიქსოვს ღამის საბუღარს.

ღრუბლები ფიფქის ფრიალით  
 მერცხლებთან მამოგზაურებს,  
 სხივებს შევიძენ ვით ოქროს  
 ყინვებში აურ - დაურევ.

სიტბომ სიცივე გამითბოს,  
 გულმა გააპოს მყინვარი,  
 რომ გაიცინოს სიციცხლემ  
 მიწა არ ენახო მტირალი.

გავსცილდე მკვლელთა სამყაროს  
 გავხსნა კარები მზისანი,  
 ცამ სხივი გადმომამყაროს  
 მოსულნი ღვთიურ გზისანი.

არ მინდა გვარი - სახელი  
 არც ეროვნება მთლიანი,  
 მინდა სიციცხლის საწყისი  
 რომ ვიყო ადამიანი.

ამღერდეს მთელი სამყარო  
 სიმშვიდის სალამურებით,  
 სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ  
 ვიცოდე რომ დავბრუნდები.

ზამთარი მიახლოვდება  
 ველი ჭალარა ბაბუას,  
 ქარბუქი თეთრი თითები  
 მომიქსოვს ღამის საბუღარს.

1982წ.

საქართველოდან მოსული ცნობების მიხედვით იქ თავი მოიკლა პოეტმა პაოლო იაშვილმა. მისი ასეთი დასასრული ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი. მისი მდგომარეობა რთული იყო და სახიფათო, ეს ჩვენ ბერიას მაისის მოხსენებიდან გავიგეთ.

მისი თვითმკვლელობა სიმბოლიურ სახეს ჰყენს არა მარტო მის პირად დასასრულს, არამედ მთლიანად იმ პოლიტიკური ლიტერატურული ხასიათის მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოების საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოებას, და რომლის წარმოშობა პაოლო იაშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

აქ დღეს ამ პიროვნების საქმიანობის სრული გაშუქება ძნელია და იქნებ არა - სასურველიც.

პაოლო იაშვილი უთუოდ დიდი და ნამდვილი პოეტი იყო. კომპლექსური ხასიათის, უდავო ნიჭის და დიდი ტემპერამენტის პატრონი; მას ხშირად მოუცია მისაბაძი და აღმზნებელი მაგალითი, მაგრამ უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივი აზრი მის ქცევაში, შეიძლება ხშირად უმართებულოდ, ხედავდა მოქალაქეობრივი სულმდაბლობის ნიშნებს. პაოლო ანას მტკივნეულად განიცდიდა. — სხვა-ნაირად არც შეიძლებოდა, — და ელოდა სასოებით თვითმართლებების დროს. შეიძლება მეტსაც, თვით ამ საზოგადოების გასამართლების საშუალებასაც.

პ. იაშვილი ხანგრძლივად იყო არა მარტო ლიტერატურულ ვედეტად; მისი და მისი ჯგუფის პირველი ლიტერატურული გამოსვლები საზოგადოებას ახლაც ახსოვს იმ აურზაურის გამო, რომლთაც ის იაშვილს დაუხვდა. პაოლო და მისი მეგობრები იცნობდნენ მონპარნასს და მის ბოლემას, ლიტერატურული სკანდალების მომწყობ სტრატეგიას და საზოგადოების ამგვარი შეხვედრით კმაყოფილი იყვნენ. მისი ჯგუფის, ცისფერ ყანწელების, გამოსვლა ქუთაისში (დიდი ომის დასაწყისში.) არ იყო შემთხვევითი არც ადგილის და არც დროის მიხედვით, ქართველ სიმბოლისტთა მოვლენა ახალი იყო შინაარსითაც და ფორმითაც.

თუ განვიხილავთ განსაკუთრებულ და ვანცალკავებულ ვაჟა - ფშაველას, ახალი სიმბოლისტური სკოლა იყო უარის ყოფა არსებულ ლიტერატურულ მიმართულებათა, განსაკუთრებით კი იმ ხანებში პუბლიცისტიკაში გადაჩეხილ პოეზიას. ლექსთა წყობის კანონებთან, ლექსიკონთან მათ დაამყარეს ლიბერალური დამოკიდებულება. ლექსის მეტრიკას კი აშკარა ირონიით ეპყრობოდნენ, მათი პირველი ლექსები მიძღვნილი იყო „ორსულ მთვარისა“

„დამხრჩვალ კატისა“ და ამგვარ, წინათ გაუგონარ საგნებისადმი. არც დასაწყისში და არც შემდეგში მათ არ გამოუჩენიათ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სიუხვე; თვით პაოლო იაშვილს მისიანთ შორის, უთუოდ ყველაზე ნაკლები აქვს ნაწერი. ამ მხრივ და იმ განსაკუთრებულ მდგომარეობით, რომელიც მას თავის ჯგუფში მეგობრების მიერ უდავოდ მიჩნეული ჰქონდა, ის განსაცვიფრებლად მიაგავს ფრანგ პოეტ სტეფანე მალარმეს, რომლის ნაწარმოებთა სიმძირე ცნობილია, მაგრამ პოეზიის საუკეთესო ავტორიტეტი არის.

„ცისფერ ყანწელთა“ სკანდალური ლიტერატურული დასაწყისი თავისთავად არ იყო ორიგინალური; ფრანგმა სიმბოლისტებმა თავის დროზე თავისი საქციელით გამოიწვიეს ისეთი მკაცრი რიაქცია, რომ ლიტერატურულ წრეებში მისი გამოძახილი დღემდე არ გამქალა; ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ მათ წრიდან განოსულიყვნენ „უცვადანი“, როგორც არიან ანრი რენიე და პოლ ვალერი. ანალოგიური გზა განვლეს აგრეთვე მათმა მოძმე რუს სიმბოლისტებმაც. პ.იაშვილი და უმეტესი ნაწილი ნისი მეგობრებისა ბოდლერს, ვერლენს, მალარმეს და რემბოს იცნობდნენ დედნით და მიუხედავად მათი და მათშორის პაოლოს სხვებზე არა ნაკლებ, ბოლომდე დაპყვა რუს სიმბოლისტების, განსაკუთრებით ბლოკის, ბალმონტის და ბრუსოვის ღრმა გავლენა. ისინიც თავის მხრივ, ლიტერატურული პოზიციების დაკავების შემდეგ, გახდნენ მიღებულ ლიტერატურულ მემკვიდროებისა და ტრადიციების დამცველებად.

„ცისფერყანწელებს“ ქართულ საზოგადოებასთან ერთად ქართული კრიტიკაც, თუ არ ვცდებით, განსვენებულ კიტა აბაშიძის გამოკლებით, უარყოფითად შეხვდა. მხოლოდ საკმაყო ვადის გავლით დრომ მოუტანა მათ საყოველთაო ცნობა. სწორედ ამ ხანებში ჩვენ გვქონდა დამოუკიდებლობა. ამ ჯგუფმა დამოუკიდებლობის ხანასთან, მისი მაჯისცემასთან ვერ ააწყო ფეხი. ამ გარემოების ახსნა შორს წაგვიყვანს. იყო ეს მით განოწვეული, რომ ძველის ნგრევა მათ აწუხებდა და ახალი ეუცხოებოდათ, როგორც პოეტებს და ქართველთ, თუ იმ არა შესაფერი როლით, რომელიც მაშინდელმა მართველობამ მიუჩინა ეროვნულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ქართულ კულტურას საერთოდ და კერძოდ მწერლობას, ამაზე ძნელია დღეს პასუხის გაცემა, მაგრამ უდავოა ის არის რომ დამოუკიდებლობის ხანაში ეროვნული კულტურის დარგში არ გაკეთებულ-

ლა ბევრი რამ, არ გამოპარვიათ ჩვენი ცხოვრების უცხო ელ მთვალეურეთაც. როგორც იყო, დამოუკიდებლობის მიწურულში, იმათაც გამონახეს მათთვის შესაფერი ამოცანა: — ახლად წარმოშობილი ეროვნული სახელმწიფოს მისი ისტორიულ წარსულთან გადაბმა და მის მომავალ ვალდებულებათა დასახვა ლიტერატურულ ფორმებში ლანაზად და მოსწრებულად შეასრულეს. სიმბოლიურ სახეს ატარებდა მათი მხრივ ლიტერატურული აქტივობის გადატანა ბათუმში, საიდანაც გაისმოდა მათი ხმა საქართველოს საზღვრებს გარედ დარჩენილი ჩვენი აკვანის ბედის საზრუნავად.

წითელი ჯარის თბილისში შემოსვლის პირველ დღესვე პაოლო იაშვილი მათ მიეგება მიტოვებული და დაპყრობილი ხალხის მოურავის როლში; მას არ დაუგმია თავისი იდეალი და გუშინდელი მისწრაფება, მაგრამ წაქცეული მართველობის მიმართ მკაცრი და დაუზოგველი აღმოჩნდა. ხალხის მაშინდელ სულიერ ვითარებაში ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ იგი გამხდარიყო ოდიოზურ ანოვანებად და აქედან დაწყებული, არავინ ცდილა გაეგო მისი შემდეგი მოქმედების ნამდვილი მიზეზები.

პ. იაშვილის და მისი მეგობრების დამოკიდებულება მოსულთა ახალ ხელისუფლებასთან იმ თავითვე განსხვავებული დარჩა შედარებით ქართველ მწერლების იმ ნაწილთან, რომელიც დამოუკიდებლობის დროს ხელისუფლებასთან ახლო იდგა.

რუს და ქართველ კომუნისტების მიერ სოციალისტურ და დემოკრატიულ პრინციპთა შელახვას იაშვილი და მისი მეგობრები სრულიად არ შეუწუხებია. მათ წინაშე იდგა დიდი რუსეთის მიერ მათი პატარა სამშობლოს დაპყრობის უხეში ფაქტი, ბოლშევიკური რეჟიმის სიმკაცრე და სისასტიკე მათთვის უთოდ იმ თავითვე აშკარა იყო, რადგან თავისი პოლიტიკური ხაზის შემუშავებისათვის ცარიზმის ბატონობის პრეცედენტი მათ არ გამოუყენებიათ,

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი ხუთი კვირა წელიწადი მათი მუშაობისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. ერთი მხრივ ნების ხანა, დღევანდელთან შედარებით, თავისთავად მაინც იძლეოდა ეროვნულ - კულტურული მუშაობისათვის შეკვეცილ სარბიელს, ამას თან დაერთო ის გარემოება, რომ იმ ხანებში ხელისუფლებას და კომპარტიას სათავეში ედგა ის თაობა, რომელსაც თავისებურად და მრუდეთ, მაგრამ მაინც ჰქონდათ რაღაც წარმოდგენა თავის ვალდებულებათა შესახებ ქვეყნის წინაშე. ეს ის თაობაა, რომლის ლიკვიდაციას ბერია ენერგიულად ახდენს ამ ხანად. იაშვილისა და მისი მეგობრების პრივილეგიური და მონოპოლური მდგომარეობა ხელისუფლების წინაშე ერთი შეხედვით წარმოადგენდა კუროიზულ და ძნელად გასაგებ მოვლენას. ბოლოს და ბო-

ლოს, მარქსისტული ლიტერატურული მეთოდოლოგით (გზა და გზა რომ ითქვას) აქ, ემიგრაციაში არის ის მხოლოდ კიდევ მოწონებაში, თორემ იქ, საქართველოში, კარგა ხანია გაუქმებულია) სიმბოლისტები ანუ დეკადენტები, წარმოადგენენ გადაშენებულ ბუჟუაზიის „ხედნაშენს“ და აქ, ხელისუფლების მხრივ, ყოყმანს არ უნდა ჰქონებოდა ადგილი, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში მოხდა მოსალოდნელის სრულიად საწინააღმდეგო რან, ეს გარემოება კომუნისტებს კარგად ესმოდათ და თუ მას შეგნებულად სჩადიოდენ, სამისოდ საბატიო მიზეზებიც ჰქონდათ. ჯერ ერთი ის, რომ სიმბოლისტების „ნეიტრალი“ პოზიცია იმ ხანებში ნათთვის საკმაოდ დიდი პოლიტიკური სამსახურის გაწევა იყო, და მეორეს მხრივ, არ გააჩნდათ მათი შემცვლელი. ეგრედ წოდებული პროლეტარული მწერლობა ემბრიონულ მდგომარეობაში იყო და შემდეგშიდაც, მიუხედავად ყოველგვარ დახმარებისა ამ წრიდან მეტად უნიჭო ხალხი გამოვიდა, რომელთა გაპოეტება „დანიშნით“ მოხდა. ამ ექვსი წლის განმავლობაში პაოლოს და მისი მეგობრების მეოხებით მრავალი შინაარსიანი, სქელი და თხელი, სანწუხაროთ თავრობის წყალობით, უდღეური ლიტერატურული ორგანოები გამოიცა. ამ პერიოდში იგი იჩენდა მრავალი სახის აქტივობას; ის, რაც გაკეთებულა ამ ხანის განმავლობაში ქართულ კულტურულ ფრონტზე ფასიანი და სერიოზული, ბევრი მეტად, ზოგი ნაკლებად პაოლოს სახელთან არის დაკავშირებული. დღეს რომ საქართველო დიდი ზემოთ დღესასწაულობს ილიას დაბადებიდან ასი წლის თავს და შოთა რუსთაველის 750 წლის თავს, ამაში თავისი და საბატიო წილი პაოლოსაც მიუძღვის. იმ დიდ მუშაობას, რომელიც ამ დღესასწაულებით დასრულდა, მძიმე ბრძოლათა გადატანილი ისტორია აქვს. ეს იყო დიდი ამოცანა, რომელსაც უმთავრესად პაოლო იაშვილმა და მისმა მეგობრებმა მოანდომეს დიდი შრომა, რის შედეგად შესაძლებელი შეიქმნა საქართველოს ისტორიული და კულტურული წარსულის აღდგენა საკითხის დღისწესრიგში დასმა.

ალ. ყაზბეგის, ივ. მაჩაბელის, ვაჟა ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველის დღესასწაულთა გადახდა უეჭველად პაოლო იაშვილის აქტივში ჩაიწერება იმ დამატებით, რასაკვირველია, რომ ეს საბჭოთა ხელისუფლების მზაკერი, ორმაგ და თვალთმაქც ეროვნული პოლიტიკის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა.

როგორც პოეტი და უმთავრესად როგორც გარკვეული ლიტერატურული სულისჩამდგმელის პაოლოს დამსახურება და ამაგი ქართული ლიტერატურის წინაშე უდავოა; პაოლოს და მისი მეგობრების წყალობით ქართული პროზისა და პოეზიის სტილი „გამართალი“ („გამართალი სტი-

ლი“ - ს მოსწრებული გამოთქმაც მათ ეკუთვნის!) მათ ზევით ასწიეს ერთხანობაში დაცემული ლიტერატურული გემოვნება.

პაოლოს ლექსებს ახასიათებს მაღალ დონემდე ატანილი რიტმი, ლირიული განწყობილება და მუსიკალობა; მისი ლექსი „წერილი დედას“, ჩვენი დროის ქართული პოეზიის შედევრია; მას ჩვენს პოეზიაში უდავოდ უკავია, ის ადგილი, რაც ფრანგულში ბოდლერის ლექსს „ლანვიტა-სიონ ო ვოაიაჟ“.

1926 წლის გაზაფხულს პაოლომ სამეგრელოდან ჩამოიყვანა სახელგანთქმული, მაშინ უკვე მოხუცებული, ქართველი მოჭიდავე ესებუა, და დედაქალაქში შესაფერისი იუბილე გადაუხადა. რასაკვირველია ეს არ იყო უსაქმური კაცის თავისშექცევა და ეს თავისთავად სრულიად არ იყო არც კომიკური მოვლენა, როგორც ეს მაშინ თბილისელმა საზოგადოებამ მიიჩნია. ეს მაგალითი მოვიყვანეთ პაოლოს შეგნებისა და მოვალეობის გაგების დასახსიათებლად.

პაოლოს მოღვაწეობა, რომლის პასუხისმგებლობას სხვებიც გაიზიარებენ, — დიდხანს იქნება დავის საგნად. უიმედოა, რომ მისმა თანამედროვეებმა ის მიუდგომლად გაასაჩინოთ და განსაჯონ.

პაოლოს კარგად ესმოდა თავის ორჭოფული და ორმაგი მდგომარეობა ხელისუფლების წინაშე და საზოგადოებაში. მას ხშირად აძაგებდენ, უძეტესად ისინი, რომელნიც სწორედ მას თხოვდენ დახმარებას და მფარველობას ხელისუფლების წინაშე.

თავის დასასრულის მოახლოება უკვე მან უთუოდ კარგა ხნით ადრე იგრძნო; ამისათვის მას სათანადო ჭკუაც და გრძობაც ჰქონდა. მოსკოვში მისი წარდგომა სტალინის წინაშე, ქება - დიდების პოემით, მას მოაგონებდა მის წინაპართა სპარსეთის ყაენთან გამგზავრებას . . .

თუ წარსულში პაოლოს განუცდია სულიერი დაცემულობის წუთები, იგი თავისი ლირსეული დასასრულით, მსგავსად სხვა დაღუპული პოეტებისა, ჩაეწერა მარტივროლოგიაში.

.. „ქართლოსი“ - №9 - 10 - 1938წ.

**ნიკოლოზ ურუშაძე (ბეგი გოლაძე)**

დანამდვილებით ვერ გავიგეთ, თუ ცნობილი პოეტი, „ცისფერ - ყანწელი“ და თანამებრძოლი, მეგობარი პაოლო იაშვილისა ტიციან ტაბიძე და ცნობილი რომანისტი ნიხეილ ჯავახიშვილი ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ დახვერტილი იქმნენ. თუ ეს საშინელება სიმართლე არის, რაც აქ ყველას სჯერა, მაშინ ტიციანს აუსრულდა საკუთარი წინასწარმეტყველობა: „მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც მალე სადმე ჩაგვაძაღლებენ“.

„ქართლოსი“ - 1938 წ.

**თამარ ბერაქიანის ხსოვნას**

სილამაზის სხივთა - ფრქვევა  
 თავს გვევლება ვით სიზმარი,  
 სიკეთის და სიყვარულის  
 თვითჩვენება ჩვენთან არის.  
 მისი სახელია თამარ!  
 ტანმრხევადი ალვისრხევა,  
 ხანდაზნული და თამამი  
 ღვთიურ სახით გამოხედვა.  
 აღარაგვეყავს ვინც გვიყვარდა,  
 ვინც სიცოცხლის სულს ათბობდა,  
 წმინდანებსაც ალბად შურდათ  
 თამარქალის თვალთა კრთომა.  
 დრომ მოგვტაცა - დრომ იმსხვერაპლა,  
 დროს რომელსაც ველარ ვნახავთ,  
 დროს ეკუთვნის ვით საუნჯე  
 მოგონების შემონახვა.  
 სილამაზის სხივთა - ფრქვევა  
 თავს გვევლება ვით სიზმარი,  
 სიკეთის და სიყვარულის  
 თვითჩვენება ჩვენთან არის.

1983

**შემოდგომის ხე**

სამახსოვროთ ნათელა ყიფიანს

მოდით ჩიტუნებო,  
 გადმოჰყევით გორებს,  
 თქვენი ჟრიაშული  
 კიდევ გამაგონეთ.  
 აჩონჩხილი მხრები  
 ქარიშხალში ხმება,  
 ფოთლებ გაძარცული  
 შემოდგომის ხე ვარ.  
 მოდით ჩიტუნებო -  
 მოდით მომეფერეთ,  
 გაზაფხულის ფერებს  
 ერთად მოვიგონებთ.  
 სხივთა სამოსელში  
 დილას ველარ ვნახავ,  
 მიწა არ გამწირავს  
 ძირებს შემინახავს.

1983



# საზოგადოებრივი

ბ ი ბ ლ ი ო ზ რ ა ზ ი ა

— 1 — 2 — 1929წ. პარიზი.

კავკასიონის პირველი რვეული 1929 წელს გამოვიდა. მას პირველი და მეორე ნუმერი აწერია. მაგრამ მომდევნო რვეული ნუმერს არ ატარებს არამედ „რვეული მეორე“ აწერია და გრძელდება 1932 წელს გამოსულ მერვე წიგნამდე. მერვე წიგნით შეწყდა ჟურნალის გამოცემა და მხოლოდ 32 წლის შემდგომ ე. ი. 1964 წელს განახლდა. აქედან მოყოლებული, ჟურნალს რომელი რიცხვითი ნიშანი აწერია — მეცხრედან მოკიდებული ამ ოცდამეერთე ნუმერამდე. ვიქტორ ნოზაძის სიცოცხლეში განოსული უკანასკნელი რვეული ორმაგ ნუმერს ატარებს — 16 17; 1972 — 1973წ.

„კავკასიონის“ გამოცემა თავიდანვე დაიწყო „ქართველ სტუდენტთა ეროვნულმა გაერთიანებამ“ და პირველ ნომერს ელუარდ პაპავას მისამართი აწერია, ხოლო მეორე რვეულიდან უკვე ვიქტორ ნოზაძის და ასე დარჩა ბოლომდე.

რაც შეეხება გამომცემელთა ვინაობას: მესამე რვეული უკვე „ქართველ მწერალთა“ სახელით და ასე რჩება მერვე რვეულამდე. ხოლო 1964 წელს განახლებულ გამოცემას აწერია „დირექტორი ვიქტორ ნოზაძე“.

ვ. ნოზაძის გარდაცვალების შემდეგ 1976წ, აკაკი შაველიძის ფინანსური დახმარებით და სარედაქციო კოლეგიის სახელით (გ. ნოზაძე, მ. ქავთარაძე, გ. ყიფიანი) გამოიცა გარდაცვლილ რედაქტორისადმი მიძღვნილი მეთვრამეტე ნომერი. ხოლო ვინაიდან ბატონმა შავგულიძემ ჟურნალის განოცემის უზრუნველყოფა მომავლისათვისაც თავსიდვა, გამოცემის ხელმძღვანელობა და ფაქტიური რედაქტორობა გიორგი ყიფიანმა იკისრა. ამგვარად წინამდებარე ეს ოცდამეერთე რვეული მეოთხე წიგნია ვ. ნოზაძის ნიცვალების შემდეგ.

1929 წელს გამოსული „კავკასიონი“ დღეს 55 წლისაა. იგი სარკეა ქართული ემიგრაციის ცხოვრების ყოველი მხარისა — სარკე იმდენად ობიექტიური რამდენადაც ეს შესაძლო იყო მრავალ, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ვნებებით შეპყრობილ საზოგადოებაში — როგორც ყოველი ქვეყნის და დროის ემიგრაცია არის და ყოფილა.

დაკვირვებული მკვლევარი ქართული ემიგრანტული აზროვნების ნიუანსურ განვითარებასაც კი გაეცნობა ჟურნალის ფურცლებზე.

ჟურნალის დეკლარაცია უსათაუროდ. სიმონ ბერეჟიანი — ნასახლარი (ლექსი) ალ. გასიტაშვილი — იუდის კერძებს (ლექსი) გელა - ფიქრი უკვდავი; ჩვენი რაზმები; დედას (ლექსები) მეჩონგურე — (ლექსი)

რალფი — ჩემს ვარსკვლავს (ლექსი) ა. ტყემალაძე — პარიზი (ლექსი)

ვ. წილოსანი — ჩვენს დევნილებს (ლექსი) ვლასა მგელაძე — სამშობლო (პოემა)

სტეფანე კასრაძე — საზღვარზე გადმოსვლა (მოგონება) რაბინდრანათ ტაგორე სახლი და ქვეყანა (1 და 2 თავი) ვლ. ბაქრაძე — ლიტ. და თეატრ. კრიტიკა ქართულ კომ, პრესაში.

ის. მანწკავა — ქართული ლიტერატურა.

მ. წულიკიძე — ესკიზები თანამედროვე ქართ. ლიტერატურაზე: ვალაქტიონ ტაბიძე ჰაუპტმანის იუბილეს გამო — შილოცვა და პასუხი.

მ. ბილანიშვილი — ხელოვნების პრინციპები და ნიკო ფიროსმანიშვილი.

პაშალი (რომანსი შუსიკა ერეკლე ორბელიანისა) ქართველ საზოგადოებას (მიმართვა რედაქციისაგან) ექ. თაყაიშვილი — საორბელოს ძეგლების წარწერები.

მ. ხუნდაძე — საქარ. საკითხი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.

გ. ნოზაძე — ახალი ქალაქები.

მ. მანინი — სანავთო იმპერიალიზმი და „ქართული რევოლუცია.“

მ.-ბილანიშვილის ნახატი — ქართველი ქალი.

ნიკო ფიროსმანიშვილის ნახატები — ნადიმი ოჯახში და კინტოების ქეიფი.

ექვთიმე თაყაიშვილის ტაბულები.

ყდა მხატვარ ბილანიშვილის.

რედაქცია და გამომცემლობა: ქართველ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება..

მისამართი: ედ. პაპავა 25 ოგიუსტ. ბლანკი — პარიზი

ხელოვნებისა და მეცნიერების კრებული.  
პარიზი — 1929 წელი.

შინაარსი

რეო ამონი — დედაჩემი (ლექსი)  
 ვ. ბარელი — (უსათაურო ლექსი)  
 მ. დადიანი — დილა (ლექსი)  
 რალფი — სამშობლო (ლექსი)  
 ს. ტაიფუნი — აღმოსავლეთი (ლექსი)  
 ფატმან — ბარათი საქართველოდან (ლექსი)  
 პრ. აბულაძე — მთვარიდა (პროზაული პოეზია)  
 სტეფანე კასრაძე — სანაპირო ქალაქი (მოთხრობა)  
 ვლასა მგელაძე — დღიურიდან  
 ლამენე — გარდახვეწილი (ფრანგულით)  
 გიუი დე მოპასანი — დედმამის მკვლეელი;  
 მთარგმნელი — ან. ყ — ი.  
 რაბინდრანათ ტაგორე — სახლი და ქვეყანა  
 ვლ. ბაქრაძე კრიტიკული შენიშვნები. - ჯაყოს ხიზნები  
 ვერიკო სოსანი — ძველი ქართული მწერლობა  
 თინათინ ჯავარიანი — ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან.  
 შალვა ამირაჯები — მარიამ დედოფალი (ნარკვევი)  
 ედ. პაპაევა — საქართველოს მოსახლეობა  
 კაჟი — ევრაზიელობა  
 ა. შათირიშვილი — ერის რაობა  
 აკ. ასათიანი — ქართული მწერლობა უცხოეთში  
 ვარდანი (ვ. ნ.) — ნავთის შესახებ ლიტერატურა და საქართველოს საკითხი.  
 ყდა მხატვარ ბილანიშვილისა.  
 რედაქცია და გამომცემლობა:  
 ქართველ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება.  
 მისამართი: ვ. ნოზაძე — ლევილი

ხელოვნებისა და მეცნიერების კრებული - პარიზი 1929

რეო ამონი — დედა (ლექსი)

„ „ — გზაზე „ „

რალფი — გოგითას; ხსოვნა. (ლექსები)

სტეფანე კასრაძე — სანაპირო ქალაქი (დასასრული)

ერის მარია რემარკე — დასავლეთით ახალი არაფერია - (გერმანულიდან)

რაბინდრანათ ტაგორე — სახლი და ქვეყანა (ვაგარძელება)  
 თამარ ვარდანიძისა (ვ. ნოზაძე) — თათქარიძის მოდგმა-  
 (თეიმურაზ ხევისთავი)

ი. მანწყავა — ერის მარია რემარკე.

მ. წულიკიძე — ილია და აკაკი (პროფილი)

შალვა ამირაჯები — აჩრდილნი შარავანდედთანი

ს. შავმთელი — ანთიმოზ ივერიელი

ბ. ვარდანი (ვ. ნ) — ჩვენი მეურნეობის საკითხები

ს. ცომია — ანდრია რაზმაძე

ვ. ბოჯგუა — გილგამეშიანი

რ. არიოსი — ჯვაროსანთა დროიდან.

რედაქცია და გამომცემლობა:

ქართულ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება.

მისამართი: ვიქტორ ნოზაძე 43 ბანიოს ქუჩა ქალაქი - სო.

ქართველ მწერალთა გამოცემა. — პარიზი 1930

შინაარსი

რეო ამონი (აბულაძე) - სადა ხარ! მზეო მზეო! (ლექსები)  
 გ. ნაილი — დღიურიდან: დედას (მხატვრული პროზა)  
 გიორგი ყიფიანი — ჩემი მხარე (ლექსი)  
 ერის მარია რემარკე — დასავლეთით ახალი არაფერია  
 რალფი (რ. ყიფიანი) ჩემს კუთხეს; ქარიშხალი (ლექსები)  
 ს. კასრაძე - პოემა ძმობის შესახებ (მხატვრული პროზა)  
 ვლასა მგელაძე — ცხრათვალა მზე (ლექსი)  
 გ. ნაცვლიშვილი — მთიან საფრანგეთში (ლექსი)  
 ბ. ბებურიშვილი (ვ.ნოზაძე) — ქალწულს (პროზა)  
 დ. ლალიაშვილი - ცხოვრების ტალღებში (სცენა ორ მოქმედებად)  
 თ. შუშანია — (ლექსი)  
 ვერიკო სოსანი — ძველი ქართული მწერლობა  
 ისიდორე მანწყავა — ნიკო გერგესელი  
 შალვა ამირაჯები — ადამიანები და საქმენი

სარედაქციო კოლეგია

მისამართი — ვიქტორ ნოზაძე

ქართველ მწერალთა გამოცემა — პარიზი 1930

შინაარსი

ნოე რამიშვილი — ბიოგრაფია  
 (ცალკე დამატებული ფურცელი ფოტო - სურათი)  
 რეო ამონი — ქ. ჩოლოყაშვილის სიმღერა (ლექსი)  
 ვლასა მგელაძე — გოდება (ნაწყვეტი დღიურიდან)  
 გ. მარუშიძე — ვარდენი (მოთხრობა)  
 გ. ყიფიანი — გრძნობის ძახილი; შავი საათი (ლექსები)  
 გიორგი ჟურული - ნატვრის თვალი (ნახულ - გაგონილი)

- ა. ქეიბური — ძველი რვეულიდან ნასესხები ამბები
- ბ. ბებურიშვილი — მე, ბედი და შენ (მხატვრული პროზა)
- თანარ ისახარი (პაპავა) — დიდი ემიგრანტი
- (ეტიუდი არჩილ მეფეზე)
- ი. მანწყავა — საბრალმდებლო ოქმი
- (ქართული ინტელიგენცია და გუშინდელი ტრაგედია)
- მ. ხუნდაძე — დიდი ბრიტანეთი და ინდოეთის პრობლემა
- სარედაქციო კოლეგია
- მისამართი ვიქტორ ნოზაძე

№6

- ქართველ მწერალთა გამოცემა პარიზი - 1931
- გიორგი გამყრელიძე — ვრცელი ქალაქი; დამშვიდობება
- (ლექსები)
- რალფი — დედ - მამა (ლექსი)
- გიორგი ყიფიანი — ფერადი სურათები; ქარხანაში
- (ლექსები)
- დ. ყურულაშვილი — ფიქრები საქართველოზე (ლექსი)
- — ფიქრები ორი ამბაზი ემიგრანტის (ლექსი)
- ა. ქეიბური — ჩემი ცხოვრების დღე (ნოველა)
- გიორგი ჟურული — ნატვრის თვალი
- (ნაწყვეტები ნახულ - გაგონილიდან)
- შალვა ამირეჯიბი — უბნობანი ურგებნი თორნიკესნი
- (მოთხრობა)
- გ. ა. უტეხელი — მწერლობის მეგობრისადმი
- ისახარი — დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში
- დ. სალირაშვილი — სპარსეთის რეოლუცია
- ვ. ემუხვარი — მასალები ფულ - პოლიტიკურ ეტუდი-
- ისათვის.
- ედ პაპავა — აღწერები ძველ საქართველოში
- რაჟდენ არსენიძე — ბიბლ. შენიშვნები ვეფხის ტყაოსნის
- საკითხების შესახებ
- ლ. კვარაცხელია — ერთი წიგნის გამო
- (ზ. ავალიშვილის „ვეფხის ტყაოსნის საკითხები“)
- ვიქტორ ნოზაძე — ქართული სახლი
- (რეცენზია ფრიდრიხ ბაუმჰაუერის წიგნზე)
- სარედაქციო კოლეგია
- მისამართი ვ. ნოზაძე — პარიზი.

№7

- ქართველ მწერალთა განოცემა — 1932 პარიზი
- ვიქტორ ნოზაძე — პროკოფი აბულაძეს (ნეკროლოგი)
- გიორგი ყიფიანი — პროკოფი აბულაძეს (ლექსი)
- პროკოფი აბულაძის დაუბეჭდავი ლექსები
- გიორგი ყიფიანი — თბილისი (ლექსი)
- ა. ქეიბური — ქართულ ანბანზე (მხატვრული პროზა)

- გიორგი ჟურული — „ნატვრის თვალი“ (გაგრძელება)
- ვახტანგ ოდიშელი — მეორე მხარე (მხატვრული პროზა)
- კ. თუთბერიძე ბესიკი და მისი ანა
- მ. წულუკიძე — ახალი გერმანული ლირიკა
- ისახარი — დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში
- დ. სალირაშვილი — სპარსეთის რეოლუცია
- ვ. ემუხვარი — ფული - პოლიტიკური ეტუდიისათვის
- ქართული წიგნის მოყვარულთ — (მოწოდება საგამომ-
- ცემლო საქმის დასახმარებლად; ზ. ავალიშვილის. ექ. თა-
- ყაიშვილის, გ. ჟურულის. კ. ჯაყელის და ვ. ნოზაძისა)
- სარედაქციო კოლეგია: მისამართი ვ. ნოზაძისა

№8

ქართველ მწერალთა გამოცემა — 1932 პარიზი  
(1832 წლის შეთქმულების 100 წლის თავზე)

- გიორგი ყიფიანი — ასი წლის პოემა
- რაფ. ინგილო — საქართველოს სამეფოს ვითარება რუსე-
- თის მოსვლის წინ. (მიმოხილვა).
- ი. მანწყავა — 1801 - 32 წლების მანძილზე (მიმოხილვა)
- კახაბერი — 1832 წლის შეთქმულების შესწავლისათვის.
- ისახარი — დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში (ქართველი
- ქალი და 1832 წლის შეთქმულება)
- კ. თუთბერიძე — 1832 წელი და ქართული რომანტიული
- მწერლობა.
- ბ. ვარდანი ევროპის გავლენა საქართველოში (1832 წლის
- შეთქმულების გამო).
- ი. გოდაბრელიძე — ისტორიული პარალელი (1832 წლის
- შეთქმულებისა გამო)
- ბერ ფილადელფოს კიკნაძის მიერ შედგენილი „აქტი გო-
- ნიური“ - დან - „ფიცი წვერთა“.
- გრიგოლ ორბელიანის „უბნობა ჩვენი“.

შეთქმულთა ბიოგრაფიები

- ალ. ჭავჭავაძე
- გრ. ორბელიანი
- ალექსანდრე ორბელიანი
- სოლომონ დოდაშვილი
- ვახტანგ ორბელიანი
- ჟ. ტ. ფილადელფოს კიკნაძე
- ჟ. ტ. სოლომონ რაზმაძე
- გ. ჯ. გიორგი ერისთავი

- შ. ამირეჯიბი — თავადი ალ. ჭავჭავაძე
- ვ. ნოზაძე — ქართული ეროვნული „მე“ ობის გაორება

ანუ ქართული ეროვნული ფიქრი და მისწრაფება ცხოვრების სინამდვილის წინაშე.

მოთავსებული სურათები

თეკლა ბატონიშვილი  
ნანანა ორბელიანი  
ალექსანდრე ბატონიშვილი  
ნიკოლოზ ბარათაშვილი  
ალექსანდრე ჭავჭავაძე  
გიორგი ერისთავი  
გრიგოლ ორბელიანი  
დიმიტრი ყიფიანი  
ჯგუფის სურათი  
ძველი ტფილისი. მთაწმინდა  
ზუბოვის ნახატი 1833წ  
ძველი ტფილისი. ძველი და ახალი ციტადელი. ზუბოვის  
ნახატი 1833წ.  
ძველი ტფილისი. გაგარინის წიგნიდან პარიზი 1847.  
სარედაქციო კოლეგია. მისამართი ვ. ნოზაძისა

№9 1964

კრებულის მეცხრე წიგნი გამოიცა 32 წლიან შეწყვეტის შემდეგ — 1964 წელს მას აღარ აწერია „ქართველ მწერალთა განოცემა“ არც სარედაქციო კოლეგია მოიხსენება. მხოლოდ უკანასკნელი ფურცლის ქვევით ფრანგულად წერია: დირექტორი ვ. ნოზაძე 26 ლაკრეტელის ქუჩა პარიზი. ტირაჟი 500 ცალი. კრებულის ეს ნომერი მიძღვნილია — კავკასიონის — თანამშრომელთა ხსოვნისადმი.

შინაარსი

მიძღვნა.  
გიორგი ყიფიანი — დამწვინდობება (ლექსი)  
ტიციან ტაბიძე — გრიგოლ რობაქიძეს (ლექსი)  
ი. გრიშაშვილი — სონეტი რობაქიძეს  
გ. ყიფიანი — გრიგოლ რობაქიძეს  
გ. გამყრელიძე — გრ. რობაქიძეს  
დავით საღირაშვილი — გრ. რობაქიძე ტფილისში  
დ. ქიმერიძე — მწუხრი  
გიორგი გამყრელიძე — ეპიტაფია  
გრ. რობაქიძის წერილი ირაკლი აბაშიძისადმი  
გრ. რობაქიძის ლექსები და წერილები (ამათში ორი ფაქსიმილე)

აკაკი პაპავა — მცირე უწყება გრ. რობაქიძისათვის  
გიორგი ყიფიანი — ისევ ქუთაისი  
ვიქტორ ნოზაძე — გახსენებით  
პროკოფი აბულაძე — გადარჩენილი ფურცლები  
ევტეხი აბულაძე — სტეფანე კასრაძის ხსოვნას  
სტეფანე კასრაძე — ბაჯადო (მოთხრობა)  
გიორგი ყიფიანი — საქართველოდან; ერთი მარცვალი;  
საიდან სად (ლექსები)  
გიორგი გამყრელიძე — ამერიკას  
შოთა აბაშიძე — როკვა ქართული  
ირ. ოთხმეზური — ტექსელის ძმათა სასაფლაოზე  
ევტეხი აბულაძე — ლექსი  
რაე — საიათნოვას ყაიდაზე  
ვ. ნოზაძე — ივანე ზურაბიშვილის „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“; აკაკი პაპავას „მოწამეთობა“.  
მკითხველი (ვ. ნ.) — ვ. გოგუაძის „მოგონებანი“; „ბედი ქართლისა“  
არჩილ ზურაბიშვილი — ვ. ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება.“  
ბ. ვარდანი (ვ. ნოზაძე) — რაჟდენ არსენიძის „განხილვა ნეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა.“  
მიხ. ქავთარაძე — გიორგი გამყრელიძის „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე.“

სამგლოვიარო ფურცელი.

რ. ყიფიანი — ვლასა მგელაძის მოსაგონებლად.  
ბელინელი — მიხ. ახმეტელი.  
ერნსტ რიშ — კიტა ჩხენკელი  
ლუბა ჩაჩიბაიას ასული აბდუშელისა — შოთა ნიკოლაძე მეგობარი — არჩილ ზურაბიშვილი  
„კავკასიონის“ გამოცემისათვის.  
ვიქტორ ნოზაძე — მიმართვა ქართველობისადმი  
ალ. შათირიშვილი — „კავკასიონის“ გამოცემის გამო.  
ახალგაზრდებისაგან — „კავკასიონის“ რედაქციას.

№10

1924 — 1964

მიძღვნა

საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლთა ხსოვნისათვის.  
პროფესორი ლიქტორ ერინ ობსტ — საქართველო.  
(გეოპოლიტიკური ნარკვევი)  
რაჟდენ არსენიძე — აჯანყება საქართველოში  
ელისბარ მაყაშვილი — მეტეხის ციხე (რვეულიდან)  
გადარჩენილი, გულდამწვარი, შენი მეგობარი — შენი ხელი (ნამდვილი ამბავი)

მსმენელი და ჩამწერი — ეს რა არის შვილო?

გ. ყიფიანი — დაუსრულებელ სამსხვერპლოდან (ლექსი) ევტეხი აბულაძე — აგვისტოს დღეები (ლექსი)

გიორგი ქართველი — აგვისტოს მსხვერპლი (ლექსი) რალფი — სამშობლო (ლექსი)

დ. ქიმერიძე — ჩემი ბალი (ლექსი)

გივი შაურელი — ნეუფეო ზეცათაო (ლექსი) ევტეხი აბულაძე — ლტოლვილთა საფლავზე

დავით ვაშიაძე — ცოტა რამ აკაკი პაპავაზე

პროფ. დრ. ნაკაშიძე — სამელოვიარო სიტყვა

ბ. ბებურიშვილი (ვ. ნ.) — აკაკი პაპავას: ჰეპინიკოი ჰირ-მოი (გამარჯვების გალობანი.)

თრენოი (გამოტირილის გალობანი)

ვ. ნოზაძე — ძვირფასნო

წერილი ტფილისიდან.

გ. რობაქიძის ზოგი წერილი აკაკი პაპავასადმი.

სტეფანე კასრაძე — ძწუხარების აღფრთოვანება

ყაფლან ძეველი — არწივები და ტყვე უფლისწული

დ. ქიმერიძე — წარსულიდან (ლექსი)

ევტ. აბულაძე — თავი, გული და სამშობლო (ლექსი)

გიორგი ქართველი — ქართული მიწა (ლექსი)

გ. განყრელიძე — ლამაზი რაინდი და მისი მერანი;

სუვენირ ამურ ამურდო (ლექსები)

იოჰან ვოლფგანგ გოეტე — ფაუსტ (თარგმანი გ. გამყრელიძისა)

ევტეხი აბულაძე — ვერდენ (ლექსი)

ადამ მიცკევიჩი — ბატონი თადეოზ. ეპილოგი(თარგმანი ვიტალი უგრეხელიძისა)

ელიზბარ მაყაშვილი — ჯანდიერ (თქმულგბა)

ბ. ვარდანი (ვ. ნ.) — მეფენი რონელთაც თავისი პანაშ-ვიდი გადაიხადეს.

გ. ნ. — წიგნი ქართული ხელოვნების ისტორიაზე ალექსანდრე შათირიშვილი — აფექტური (გრძნობითი) მოვლენები რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

გ. ნოზაძე — წიგნი ქართული ხელოვნების ისტორიაზე ალექსანდრე შათირიშვილი — აფექტური (გრძნობითი) მო-ვლენები რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში.“

მარკოზ ტულუში — გიორგი დეკანოზიშვილი. ცხოვრე-ბა და მოქმედება. საქ. სოც. ფედერ. სარევიოლ - პარტია

გიორგი ყიფიანი — ვიქტორ ნოზაძეს (ლექსი)

სამგლოვიარო ფურცელი

კირილე ვეკუა — ნიკო იმნაიშვილი

მოსანგრე — ვახტანგ ციციშვილი

მეგობარი — დავით მარჯანიშვილი

ნაცნობი — პროფ. მიხ. მუსხელიშვილი

ვ. ნოზაძე — რუბენ ყიფიანი

ვ. ნოზაძე — მიხ. წერეთელი

ბანსილვანი წიგნთა:

ვიქტორ ნოზაძე — პერეტ ჟანტილ, მოხსენება შოთა რუ-სთაველის შესახებ ენევის უნივერსიტეტში 1963წელს; სერგო წულაძის მიერ თარგმნილი ვეფხისტყაოსანი.

თამაზ ჩილაია (ვ. ნოზაძე) — მარშალ დავიდ ლანგის წი-გნი „ქართული მონარქიის უკანასკნელი წლები“

ვ. ნ. — წერილი ქართულ - გერმანულ ლექსიკონის შე-სახებ.

მკითხველი (ვ. ნოზაძე) — რუი გონსალეს დე კლავიხოს მოგზაურობა საქართველოში.

მკითხველი (ვ. ნოზაძე) — რეცენზია გიორგი შარაშიძის წიგნისა: „მახდებური გადმონაშთი მთიელთა შორის“.

ნედეა — ეკატერინე რუბერტო - ბერიძის ლექსთა კრებუ-ლი.

№11 — 1966წ.

ჟურნალის ეს ნუვერი ეძღვნება რუსთველს 800 წლის - გამო.

გიორგი გამყრელიძე — პლანეტების სიმფონია (შ. რუს-თაველის 800 წლის გამო) (ლექსი)

ვ. ნოზაძე — შოთა რუსთაველს (მხატვრული მიმართვა)

გ. გამყრელიძე — შოთას; ასმათს (ძღვნად ლიდა ნოზაძეს)

ვ. ნოზაძე — ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიენოს გა-ნაცხადებს; ვით კატასა ვხოცდი ლომსა; ლეოპარდულ, პანთერა, ტიგრ, ვეფხთ, ძოწყულითა ნოსილი და სხვა

(რუსთველოლოგიური ნარკვევი)

(გაგრძელება იქნება)

შემოწირობები



გულნარა ურატაძისა	300	ნიკო ურუშაძე	200
გიორგი წერეთელი	200	გერასიმე ბოლქვაძე	150
მირიან მელუა	100	ლ. ნასყიდაშვილი	50
ლევან ფაღავა	100	მადლენ ტიტვინძე	50
ნამეტია გოგუაძე	50	ვალთა კეღია	50
ზოსიმე ჯისკარიანი	100	თამარ საბახტარი	50
მათიკო სტურუა	30	დოდოშა გეგეჭკორი	30
X	20	გრიგოლ წერეთელი	20
ქართველი ბრიუსელიდან	150	ალ. კარგარეთელი	50
სერგო დონდუა	100	იროდიონ ბეგიაშვილი	200
ვიქტორ ხომერიკი	200	პროკოფი ინჭკრიველი	200
სიმონ კეკელიძე	100	ტარიელ (ფაღავა)	50
უბა დუე	100	ალექსანდრე დონდუა	50
მიხეილ ხუნდაძე	100	ლუბა აბდუშელი	300
ქრისტეფორე იმნაიშვილი	100	დ. ყურულიშვილი	50
ნიკო ყურულიშვილი	50	ნელი მდივანი	100
ირაკლი ჯაფარიძე	100	გიორგი ნანაძე	300
ქ. ჯაყელი	100	რაფიელ ჯაში	200
ჯამლეთ გვაზავა	100	გიორგი კორძახია	100
აკაკი ბარკალაია	200	გ. ლომაძე	100
ა. მანველიშვილი	300	ვანო მაჩაბელი	120
ს. ბარათელი	270	პ. ს.	150
ლენინდე ჭეიშვილი	130	ალექსანდრე ჭეიშვილი	130
აკაკი გამსახურდია	50	არჩილ მჭედლიშვილი	100
მიხეილ გოგორიშვილი	300	x	100
სუნანა თოხაძისა	350	ნამეტია გოგუაძისა	100
თამარ საბახტარი	200	თამარ და შოთა ბერეჟიანი	100
ნიკო ურუშაძე	100	ირაკლი ჯაფარიძე	200
გერასიმე ბოლქვაძე	200	გიორგი წერეთელი	100
პროკოფი ინჭკრიველი	100	რუბენ გვეტაძე	100
ვიქტორ ხომერიკი	100	გრ. ბარამიძე	50
თამაზ ნასყიდაშვილი	50	რამინ ნასყიდაშვილი	50
თათარხან ანთაძე	200	ალ. შათირიშვილი	100
ასმათ და ლევან ფაღავა	200	კვიროსი ჩხაიძე	100
კაკო ალშიბაია	100	გრიგოლ წერეთელი	50
არჩილ მჭედლიშვილი	50	მია დადიანი	50
ვალთა კეღია	100	შალვა სეფისკვერაძე	70
ბიჭიკო ახვლედიანი	50	გულნარა ურატაძისა	100

ჟორა ასათიანი	100	ნუცა გორდელაძისა	50
ნუცა რამიშვილი	50	ერმალო ყაველაშვილი	100
ვლ. რუხაძე	100	კვიროსი ჩხაიძე	100
პავლე ვაშაძე	50	მ. გაფრინდ ჯივილი	150
დავით ვაშაძე	150	მოსე იმნაიშვილი	1200
მ. გოგორიშვილი	300	ირაკლი ოთხმეწური	100
მელიტონ ულენტი	100	ნამეტია გოგუაძისა	500
გიორგი წერეთელი	500	ნიკო ურუშაძე	500
ნიკო ურუშაძე	500	ჯანრი კაშია „რადიო თავისუფლება“	4500
გ. ყიფიანი კ. ბოკუჩავას ხსოვნას	300	ირაკლი ოთხმეწური	100
ვიქტორ ინაშვილი	250	გ. გაბლიანი. ს. ბერეჟიანის ხსოვნას	230
პ. ხვედელიძე. გ. დადიანის ხსოვნას	500	პ ხვედელიძე .ლ. აბდუშელის ხსოვნას	500
„ „ „ სერგო დონდუას ხსოვნას	500	„ „ აგვისტოს მსხვერპლთა ხსოვნას	1000
„ „ შოთა მშვიდლობაძის ხსოვნას	800	კაკო აღშიბაიას ხსოვნას	730
„ „ ეკატერინე(ეკა) დადიანის გარდაცვალებიდან ათი წლის აღსანიშნავად			800

ბატონო რედაქტორო. გაახლებთ ცხრაათასხუთას ფრანკს და ვინაიდან გავდივარ პენსიაზე, რის გამოც დაწმუნებული არა ვარ, რომ მომავალშიც მომეცემა ასეთი რაოდენობით შეწირულების გაღების შესაძლებლობა, გთხოვთ თქვენს პატივცემულ ჟურნალში მოათავსოთ შემდეგი პირების კეთილი ხსოვნის აღნიშვნა :

თამარ და ლადო შარაბიძეებისა, ლევან ზურაბიშვილისა, ვიქტორ ნოზაძისა— ამათგან მეტი წილის გარდაცვალების მეათე წლის თავთან დაკავშირებით. 1939— 1944 წლების პერიოდში ჩემი ამხანაგებისა და ბოლოს იმ ქართველებისა და მათი ოჯახების წევრებისა, რომლებიც მე დამეხმარენ უცხოეთში ყოფნის დროს. წინასწარი მადლობით პ. ხვედელიძე.

**ჟურნალის შემოსავალ-გასავლის ანგარიში**

**ხარჯები**

მექანიკოსს	6720	შემოსავალი	33480
ელექტრონის	3565		
ს. ბერეჟიანის წიგნი	5550	გამომცემლის მიერ ანაზღაურებულ დეფიციტი	
საფოსტო ხარჯები	3720		15075
ფრანგული სტამბა	29000		
<b>სულ</b>	<b>48555</b>		

**რედაქტორი:** — სარედაქციო კოლეგია.

**გამომცემელი:** — აკაკი შავგულიძე.

**კავკასიონის მისამართი:** —

G. KIPIANI

10, rue Jules Ferry, 91310 Leuville sur Orge (France)

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

გიორგი ყიფიანი—მარიამ დედოფალს (ლექსი)	6
ალ. მანველიშვილი — რუსეთ-საქართველოს 1783წ. ხელშეკრულება	7
პრ. გ. შარაშიძე—ორასი წელია რაც რუსეთმა საქართველოს ანექსია მოუხდინა (ფრანგულ ენაზე: გაზეთ მონდიდან)	14
შალვა ამირაჯიბი— აგვისტოს აჯანყება	17
გ. ყიფიანი — დაუსრულებელ სამსხვერპლოდან (ლექსი)	19
კარლო ინასარიძე— აგვისტოს აჯანყება	20
გიორგი ყიფიანი— ნიკოლოზ და გალაქტიონი (ლექსი)	24
ილია შენგელია(პოეტი მეომარი)— ლექსები დღიურიდან	25
გიორგი გამყრელიძე— პოეტების მეფე (ლიქსი)	28
ნამეტია გოგუაძისა— მოხუცის ვედრება(ლექსი)	29
ევტინი აბულაძე— გიორგი ყიფიანს (ლექსი)	29
შარლ ბოდლერ —პროზით თქმული პატარა პოემები (თარგმანი)	30
ელიზბარ მაყაშვილი— თქმულება გიგია ხევსურზე	31
წერილები: ექ.თაყაიშვილი აკაკი ჩხენკელს; კ. გამსახურდია ვ. ნოზაძეს;	34
პარიზის დიდი რაბინი ნ. ყორდანაის; გ.რობაქიძე ნიკო ურუშაძეს;	
გ. რობაქიძე ნიკო ურუშაძეს; გ.რობაქიძე გიორგი ყიფიანს ; გ.რობაქიძე ნიკო ურუშაძეს.	42
ფულებისა და საფოსტო ნიშნების ანაბეჭდები	44
პრ. გიორგი შარაშიძე—კოდექსი და პოლიტიკა გიორგი ბრწყინვალესი(თარგმანი)	59
ვიქტორ ნოზაძე—ნებათმეტყველება	68
ალ. მანველიშვილი— პოლონეთის მწარე ბედი	74
გიორგი ყიფიანი— ქვა ლაპარაკობს (ლექსი)	81
დოდონა კიზირია— რომ შეიძლებოდეს (ლექსი)	82
გიორგი ყიფიანი — აპოკალიპს (ლექსი)	83
ნიკოლოზ ურუშაძე— პაოლო იაშვილი	84
გ.ყიფიანი—თამარ ბერეჟიანის ხსოვნას; შემოდგომის ხე (ლექსები)	86
„კავკასიონის “ ბიბლიოგრაფია—პირველიდან მეთერთმეტე ნუმრამდე	87
შემომწირველთა სია და ყურნალის ანგარიშები	91

შეცდომის გასწორება . ოცდამეათე გვერდის მეორე სვეტი , ზემოდან მეოთხე პწკარი. უნდა იყოს განმცდელი და არა —განსაცდელი.

